# ბიულეტენი

№ 54
2001
მაისი

## საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813

ეკონომიკურ რეფორმათა სტრატეგია და ბიუჯეტურ-ფულად-საკრედიტო პოლიტიკა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში

ჩრდილოვანი სექტორის თავისებურებები გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში

საქართველოს ოფშორული ტერიტორიები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

FRIEDRICH
EBERT
STIFTUNG

C 02 - 00945

„Strategie der Wirtschaftreformen und die Etat- Geld- und Kreditpolitik in den Postsozialistischen Ländern. Zu Besonderheiten der Schattenwirtschaft der Wirtschaft Georgiens in der Übergangsperiode. Die off-shore-Territorien Georgiens und deren Einfluss auf Wirtschaft des Landes“
*Bull. Nr.54; Mai 2001*

**Auflage:** 1000
**Verfasser:** Zentrum für Strategische Studien und Entwicklung Georgiens
**Seitenzahl:** 58
**Sprache:** Georgisch
**Originaltitel:** `ekonomikur reformata strategia da biujetur-fulad-sakredito politika postsocialistur qveknebsi'; ‚crdilovani seqtoris taviseburebebi gardamavali periodis saqartvelos ekonomikasi'; 'saqartvelos ofsoruli teritoriebi da mati gavlena qveknis ekonomikaze'

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

მალხაზ ჩიქობავა

**ეკონომიკურ რეფორმათა სტრატეგია და ბიუჯეტურ-ფულად-საკრედიტო პოლიტიკა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ..... 3**

ზვიად ჭეიშვილი

**ჩრდილოვანი სექტორის თავისებურებები გარდამავალი პერიოდის საქართველოს ეკონომიკაში ..... 34**

ნარიმან ტერაშვილი
ალეკო კირვალიძე

**საქართველოს ოფშორული ტერიტორიები და მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე ..... 42**

C 02-00945

მალხაზ ჩიქობავა

ეკონომიკურ რეფორმათა სტრატეგია და ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ 1929-1933 წლების პერიოდს, რომელიც ისტორიაში დიდი დეპრესიის სახელითაა ცნობილი. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებას რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკისაკენ მივყავართ. პოსტსოციალისტური სივრცის სახელმწიფოებში ეკონომიკური რეფორმები წინააღმდეგობრივად და მნიშვნელოვანწილად შეფერხებით, განუზომლად დიდი სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დანაკარგებით მიმდინარეობს. წარსულის მემკვიდრეობა მართლაც უმძიმესი აღმოჩნდა, მაგრამ არანაკლებ დამამძიმებელია რეფორმების ცალმხრივად, ჩვენი ქვეყნის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად გატარება. გარდამავალი პერიოდი, ადრე თუ გვიან ისტორიას ჩაბარდება, მაგრამ მთავარია აღმოვჩნდებით თუ არა უკეთეს მდგომარეობაში. ამას კი მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ მაქსიმალურად გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკას, ეროვნულ თავისებურებებს და ამაზე ავაგებთ ეკონომიკურ პოლიტიკას.

უმთავრესი ამოცანა, რომელიც დგას სახელმწიფოს წინაშე ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში, ამ რეფორმების ოპტიმალური სტრატეგიის არჩევაში გამოიხატება.

უმთავრესი ამოცანა, რომელიც დგას სახელმწიფოს წინაშე ეკონომიკური რეფორმების განხორციელების პროცესში, ამ რეფორმების ოპტიმალური სტრატეგიის არჩევაში გამოიხატება.

ეკონომიკურ რეფორმათა კონცეფცია ყოველ ცალკე აღებულ ქვეყანაში, რა თქმა უნდა, მისი ისტორიული განვითარების თავისებურებებიდან, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის სპეციფიკიდან გამომდინარეობს. მაგრამ არსებული განსხვავებების მიუხედავად ადრე ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს მთლიანობაში ერთნაირი ეკონომიკური სისტემა ჰქონდათ, რომელიც ეფუძნებოდა ცენტრალიზებულ დაგეგმვას. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნების წინაშე მდგარი კონკრეტული პრობლემები მემკვიდრეობითაა მიღებული, რის გამოც ერთმანეთის ანალოგიურია. ეს პრობლემებია: წარმოების დაბალი ეფექტიანობა, ეკონომიკის სტრუქტურის ღრმა დისპროპორციები, საქონლის დეფიციტი, ინფლაცია, მნიშვნელოვანი საგარეო დავალიანება და ა.შ.. ამიტომ, არა მარტო საბოლოო მიზნის (საბაზრო სისტემის ფორმირების ბაზაზე ეკონომიკის, ეფექტიანობის ამაღლება), არამედ თავისი ძირითადი შინაარსითაც ეკონომიკურ რეფორმებს ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში უთუოდ ბევრი საერთო რამ გააჩნიათ. ისინი ერთმანეთისაგან შეიძლება განვასხვაოთ რადიკალურობის ხარისხით, რეფორმების გატარების ვადითა და თანმიმდევრობით და მიმდინარე ამოცანათა გადაჭრის საშუალებებით.

ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმათა შორის საერთო ნიშნები სამი ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადაწყვეტის აუცილებლობაში გამოიხატება. ესენია:

1. ეკონომიკაში სისტემური ცვლილებების გატარება, რომელიც მოიცავს ინსტიტუციურ და სტრუქტურულ გარდაქმნას. ინსტიტუციური გარდაქმნა აუცილებელია საბაზრო სისტემის საფუძვლების შესაქმნელად, საბაზრო მეურნეობის მამოძრავებელი ძალების-მეწარმეობისა და კონკურენციის ასამოქმედებლად. ეს ითვალისწინებს ცვლილებებს საკუთრებით ურთიერთობებში, პრივატიზაციასა და მიწის რეფორმას, შრომისა და კაპიტალის ბაზრების ფორმირებას, მეწარმეობისა და ანტიმონოპოლიური საქმიანობის მხარდამჭერი პოლიტიკის გატარებას, საფინანსო ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბაზრო ეკონომიკის საკანონმდებლო ბაზის დამუშავებას, საგადასახადო სამსახურის, სასამართლო და სამართალდამცავი სისტემის შექმნას და ა.შ.. სტრუქტურული გარდაქმნა სამამულო და მსოფლიო ბაზრის ცვალებადი მოთხოვნილებებისადმი ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის ადაპტაციის პროცესია. ის აუცილებელია, რათა ადრე არსებული გეგმიური ხარჯვითი სისტემა გარდაიქმნას სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების წარმოებად, მოხდეს მისი შეგუება მოთხოვნის სტრუქტურის ცვლილებებისადმი, გატარდეს სამხედრო წარმოების კონვერსია, ჩამოყალიბდეს ახალი საექსპორტო ბაზა და ამაღლდეს რესურსების გამოყენების ეფექტიანობა.

2. ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ეკონომიკაში სახელმწიფოს ფუნქციის შემცირება და მისი პრინციპული ცვლილება. ლიბერალიზაცია ითვალისწინებს ეკონომიკური ცხოვრების სახელმწიფო

რეგლამენტაციის შემცირებას, საკანონმდებლო და ბიუროკრატიული ბარიერების აღმოფხვრას ეკონომიკურ საქმიანობაში (მაგალითად, კერძო ფირმათა ფორმირების გზაზე), იმ მექანიზმების დემონტაჟს, რომელიც დაკავშირებულია ფასების მკაცრ რეგულირებასთან, რესურსების განაწილებასთან, საგარეო ვაჭრობის ადმინისტრაციულ შეზღუდვასთან და მყარი ვალუტის გამოყენებასთან. სწორედ ლიბერალიზაციის პროგრამა თამაშობს მთავარ როლს ბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის რღვევაში, ბაზრისაკენ სწრაფად სვლაში, კერძო სექტორის ზრდასა და ღია ეკონომიკის ფორმირებაში. ლიბერალიზაციის გარეშე წარმოუდგენელია ახალი შეფარდებითი ფასების ფორმირების პროცესი, რომელიც ასახავს მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობას და სტიმულს აძლევს სტრუქტურულ ძვრებს და ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას.

3. ფინანსური (მაკროეკონომიკური) სტაბილიზაცია. პრაქტიკულად ყველა პოსტსოციალისტური ქვეყანა საბაზრო გარდაქმნათა პროცესს ძლიერ დისბალანსირებული სახელმწიფო ფინანსებითა და მოშლილი ფულადი მიმოქცევით დახვდა. ფინანსური სტაბილიზაციის უმთავრესი ამოცანაა - ღია ინფლაციის შემცირება, რომელიც ლიბერალიზაციის გატარების შემდგომ, როგორც წესი, აუცილებლად იჩენს თავს სასაქონლო დეფიციტისა და დათრგუნული ინფლაციის სანაცვლოდ. სტაბილიზაციის პროგრამა მოიცავს მკაცრ ბიუჯეტურ და ფულად-საკრედიტო შეზღუდვებს, ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის და თვით, ხელფასის რეგულირებასაც.

ეკონომიკის საბაზრო ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელება ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების არა ცალცალკე, არამედ ერთობლივი გადაჭრით განისაზღვრება.

ბაზარზე გადასვლის კონკრეტული სცენარის შემუშავება საჭიროებს არა მარტო იმის ღრმა ცოდნას, თუ როგორ ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა, არამედ იმისა, თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა შევიყვანოთ მოქმედებაში მისი ძირითადი ელემენტები. თეორიული თვალსაზრისით ნათელია, რომ საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა აშკარა ხდება მაშინ, როცა ჩამოყალიბებულია ყველა მისი ძირითადი ელემენტი, ხოლო რეფორმათა ნაწილობრივი განხორციელება იწვევს ან ნეგატიურ, ან ნაკლებად შთამბეჭდავ შედეგებს.

ამასთან, პოსტსოციალისტური ეკონომიკის ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულება (სისტემური გარდაქმნა, ლიბერალიზაცია და ფინანსური სტაბილიზაცია) მისი განხორციელებისათვის საჭირო დროისა და ეკონომიკური რეგულირების გამოსაყენებული ინსტრუმენტების მიხედვით არათუ ემთხვევიან, არამედ ბევრად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს: ლიბერალიზაცია და ფინანსური სტაბილიზაცია შეიძლება გატარდეს ერთდროულად, საკმაოდ მოკლე ვადაში და თანდაყოლილი უნდა იყოს მკაცრი ფინანსური პოლიტიკით, სისტემური გარდაქმნა კი მიეკუთვნება გრძელვადიან პროცესს და საჭიროებს ფინანსური მანევრირების თავისუფლებას.

რომელი გზა უნდა ავირჩიოთ ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად? ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის საკითხი გამარტივებული სახით ორი შესაძლებელი გზიდან ერთის არჩევამდე დაიყვანება. პირველი გულისხმობს რადიკალური რეფორმების მაქსიმალურად უმოკლეს ვადაში გატარებას (ე.წ. „შოკური თერაპია"). ამ შემთხვევაში საუბარი ეხება ლიბერალიზაციისა და ფინანსური სტაბილიზაციის სწრაფად გატარებას და სისტემური ცვლილებების ერთდროულად დაწყებას. მეორე გზა, რომელიც ცნობილია „გრადუალიზმის" სახელწოდებით, ეფუძნება ეკონომიკის თანდათანობით ტრანსფორმაცის (ეკონომიკის ნაბიჯ-ნაბიჯ ლიბერალიზაციას და საბაზრო სტრუქტურათა ფორმირებას და მისი ელემენტების ეტაპობრივად გაღრმავებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის სტრატეგია პრიორიტეტების არჩევაში გამოიხატება: ან ლიბერალიზაციისა და ფინანსური სტაბილიზაციის ამოცანა ან სისტემური, უპ. ყოვლისა, ინსტიტუციური ცვლილებები.

„შოკური თერაპიის" პროგრამა - აღნიშნული პროგრამა გულისხმობს იმ რეფორმათა კომპლექსის განხორციელებას, რომელიც მიმართულია ცენტრალიზებული დაგეგმვის საბაზრო ეკონომიკის ელემენტებით შეცვლისაკენ. მისი მიზანია მაქსიმალურად შემცირდეს მტკივნეული გარდამავალი პერიოდი და ეკონომიკის სწრაფად განსახელმწიფოებრიობით მიღწეულ იქნას საბაზრო გარდაქმნის ერთგვარი „კრიტიკული ეტაპი", რათა გამოირიცხოს ერთ წერტილზე გაყინვა და ადრე არსებული ეკონომიკური სისტემისაკენ უკანდახევა. ამ ლოგიკიდან გამომდინარე, რადიკალურ რეფორმათა არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთავრობამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ის პერიოდი, როცა მოსახლეობა ურიგდება ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესებიდან გამომდინარე სირთულეებს. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, „ტრანსფორმაციული ეიფორიის" პერიოდი ძალზედ სწრაფად გადის და რეფორმათა მსვლელობაში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ზრდამ შეიძლება არათუ შეაფერხოს ტრანსფორმაციის ტემპი, არამედ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი განხორციელებაც.

„შოკური" რეფორმის ძირითადი ამოცანაა სწრაფად შექმნას პირობები, სადაც კერძო ეკონომიკურ აგენტთა საქმიანობა, რომლებიც საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობენ, უზრუნველყოფენ ეკონომიკურ ეფექტიანობას. ასეთი პირობები ხშირად იდეალურ, საბაზრო ეკონომიკის ქრესტომათიულ მოდელთან ასოცირდებიან.

„შოკური თერაპიის" პროგრამა ყურადღებას ამახვილებს, ერთის მხრივ, ფინანსურ სტაბილიზაციაზე და საკუთრების უფლებათა ცვლილებაზე (პრივატიზაციაზე) - ე.ი. იმ ზომებზე, რომელთა მიზანია შესაბამისად რაციონალური ეკონომიკური ქცევის მაკროეკონომიკური და ინსტიტუციური (უპ. ყოვლისა, სამართლებრივი) ჩარჩოების შექმნა და, მეორე მხრივ - ეკონომიკურ აგენტთა უფლებების რადიკალურად გაფართოვება და სამეურნეო ურთიერთობათა ლიბერალიზაცია. „შოკური თერაპიის" კონცეფცია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საბაზრო გარემოთა ფორმირების იმ ზომებზე, რომლებიც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს; კერძოდ: ფასების ლიბერალიზაცია, ვაჭრობის კომერციალიზაცია, წვრილ მეწარმეთა საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნა, სავალუტო შეზღუდვების გაუქმება. იგულისხმება, რომ ასევე სწრაფად შეიძლება გატარდეს ეკონომიკის სტაბილიზაციაც,





თანაც საკმაოდ მარტივი ზომების დახმარებით. „შოკურ" მეთოდს საფუძვლად უდევს რამდენიმე ძლიერი სტაბილიზატორების ერთდროულად გატარების იდეა. ისინი საშუალებას იძლევიან ამოქმედდეს დასანერგი, მაგრამ ჯერ კიდევ არასაკმარისად საიმედო და ეფექტიანი ეკონომიკური მექანიზმები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის.

სტაბილიზატორებზე დამოკიდებულებით რეფორმების გატარებისას შეიძლება გამოვყოთ ორთოდოქსული და ჰეტეროდოქსული (არაორთოდოქსული) მიდგომები. პირველ შემთხვევაში სტაბილიზაციის პოლიტიკა ხორციელდება მკაცრი ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ხარჯზე. მონეტარული სტაბილიზაციის დროს ნომინალურ სტაბილიზატორად გვევლინება ფულადი მასის მოცულობა, გაცვლითი კურსის საფუძველზე სტაბილიზაციის შემთხვევაში კი-ფიქსირებული ნომინალური გაცვლის კურსი (ან ადრე გამოცხადებული კურსის მკაცრ კრნტროლს დაქვემდებარებული ცვლილება).

ჰეტეროდოქსური ვარიანტიც ითვალისწინებს მკაცრი ფულად-საკრედიტო და ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, მაგრამ ფასებზე და შემოსავლებზე კონტროლის შეხამებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორთოდოქსული პროგრამა ივსება ხელფასის სტაბილიზატორის გამოყენებით (ფიქსირდება ნომინალური ხელფასის დონე). მსგავსი გადაწყვეტილება რეკომენდირებულია ქრონიკულად მაღალი ინფლაციის მქონე ქვეყნებისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში, მათი გამოყენება ჩვეულებრივ, სტაბილიზაციის მხოლოდ და მხოლოდ საწყისი ეტაპით იზღუდება.

სტაბილიზაციის პროგრამები, როგორც ორთოდოქსული, ასევე ჰეტეროდოქსული, უკანასკნელი ოცი წელია ტარდება მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც განსაკუთრებით მწვავეა ინფლაციის პრობლემები. ამ პროგრამათა კლასიფიკაცია გამოსაყენებელ სტაბილიზატორთა კრიტერიუმის მიხედვით მოცემულია ცხრილ №1-ში.

ჰეტეროდოქსული მიდგომის კლასიკური მაგალითია 1985 წელს ისრაელში განხორციელებული სტაბილიზაციის პროგრამა. გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულ იქნა 1992 წელს რუსეთში და ცოტა მოგვიანებით, ოდნავი სახეცვლილებით საქართველოში, შეიძლება მივაკუთვნოთ ორთოდოქსული ტიპის გადაწყვეტილებას. გარდაქმნის სტრატეგია, რომელიც პრაქტიკულად ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ყველა ქვეყანაში გატარდა, არაორთოდოქსულია.

„შოკური თერაპიის" კონკრეტული პროგრამა მოიცავს მოკლევადიანი ხასიათის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია თავისუფალი ბაზრის შექმნა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა. იდეალურ სიტუაციაში გაითვალისწინება მათი ერთდროული განხორციელება. კერძოდ:

· ფასების ლიბერალიზაცია მათი რაციონალური თანაფარდობის დასამყარებლად, რომელიც აწონასწორებს მოთხოვნასა და მიწოდებას და ხელს უწყობს რესურსების გადანაწილებას ეკონომიკის ყველაზე უფრო ეფექტიან დარგებში;

· ხელფასისა და შემოსავლების ზრდის შეზღუდვა (ზოგჯერ გაყინვაც), რაც აუცილებელია „ხელფასი-ფასების" აკუმულაციური ინფლაციური სპირალის აღსაკვეთად და წარმოების ხარჯების შესამცირებლად;

· ბიუჯეტური ხარჯების მკვეთრი შემცირება; განსაკუთრებით შეიარაღებაზე ხარჯების, ცენტრალური ინვესტიციების, ბიუჯეტური დოტაციებისა და სუბსიდიებისა მაქსიმალურად შეზღუდვა;

· ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვა დეფიციტური ფინანსირების შემცირებისა და გადასახადების ზრდის მეშვეობით;

· დაკრედიტების პირობების გამკაცრება, მიმოქცევაში არსებული ფულის მასის მოცულობის მკაცრი კონტროლი;

· საგარეო ვაჭრობის ადმინისტრაციული შეზღუდვების მინიმუმამდე შემცირება და ეროვნული ვალუტის მცურავი გაცვლის კურსის დაწესება მისი კონვერტირებადობის უზრუნველყოფისა და საბოლოო ჯამში, სტაბილიზირების მიზნით.

„შოკური თერაპიის" სცენარით ეკონომიკური რეფორმების გატარების ყველაზე ნათელი მაგალითია რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნების პროგრამა, რომელიც განხორციელდა პოლონეთში 1990 წლის იანვარში თ. მაზოვეცკის მთავრობის მიერ (ხშირად მას

სტაბილიზაციის პროგრამათა კლასიფიკაცია

ცხრილი №1

| | ორთოდოქსული | ჰეტეროდოქსული |
|---|---|---|
| მონეტარული | ყაზახეთი (1994-95წწ.)<br>რუსეთი (1994-95წწ.)<br>უკრაინა (1994-95წწ.)<br>საქართველო (1994-95წწ.) | ბულგარეთი (1991-92წწ.)<br>ლატვია (1992წ.)<br>ლიტვა (1993წ)<br>პერუ (1990წ)<br>რუმინეთი (1991-1992წწ)<br>სლოვენია (1992წ.) |
| სავალუტო კურსის საფუძველზე | არგენტინა (1978-91წწ.)<br>ბოლივია (1985 წ.)<br>ურუგვაი (1978 წ.)<br>ჩილი (1978 წ) | ბრაზილია (1986-89წწ.)<br>ისრაელი (1985 წ.)<br>მექსიკა (1987 წ.)<br>პერუ (1985 წ.)<br>პოლონეთი (1990 წ.)<br>ჩეხოსლოვაკია (1991წ.)<br>ესტონეთი (1992 წ.) |

წყარო: "Вопросы экономики", 1995, №12, ст. 27.

უწოდებენ „ბალცეროვიჩის გეგმას“, რომელიც მთავარი როლი ითამაშა მის შემუშავებაში).[1]

[illegible]

„შოკური თერაპიის“ ირითადი დოქტრინაა თავისუფალ ფასწარმოქმნაზე გადასვლა. პოლონეთის მთავრობის დოქტრინის შესაბამისად, საქონელთა 90%-ზე ფასების დაწესება გადაყვანილ იქნა საბაზრო საფუძველზე, საქონელთა 5%-ზე ფასები სახელმწიფოსაგან ადმინისტრაციულად რეგულირდებოდა, ხოლო საქონელთა დარჩენილ 5%-ზე ფასების ცვლილება საჭიროებდა წინასწარ შეთანხმებას სახელმწიფო ორგანოსთან. შედეგად ფასები სწრაფად გაიზარდა (მარტო 1990 წლის იანვრისათვის საშუალოდ 60%-ით), თანაც სახელმწიფო წავიდა ადმინისტრაციულად რეგულირებადი ფასების მკვეთრ ზრდაზე: საცალო ფასები ქვანახშირზე გაიზარდა 7-ჯერ, ელექტროენერგიაზე და გაზზე - 5-ჯერ, 5-ჯერ იქნა აგრეთვე ფასები გაზრდილი ცენტრალურ გათბობაზე და კომუნალური მომსახურების სხვა სახეობებზე.

ფასების ასეთი ნახტომისებური ზრდის დროს ფინანსური სტაბილიზაციის სწრაფი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკაცრად შეიზღუდება მოსახლეობის შემოსავლების ზრდა და არ იქნება დაშვებული „ხელფასი-ფასების“ ინფლაციური სპირალის დახვევა. ამიტომ, თ. მაზოვეცკის მთავრობამ შეიმუშავა ხელფასის ფონდის ზრდაზე კონტროლის სპეციალური მექანიზმი, რომლის დროსაც შესაძლებელი იყო მისი ზრდა ინფლაციის კვალობაზე, მაგრამ გარკვეული ჩამორჩენით. ფასების ზრდა კომპენსირდებოდა მაკორექტირებელი კოეფიციენტის შესაბამისად: 1990 წლის იანვარში მხოლოდ 30%-ით, თებერვალში-20%-ით და ა.შ.. მაკორექტირებელი კოეფიციენტის სიდიდე იმყოფებოდა იმ ვადისაგან უკუ დამოკიდებულებაში, რომლის განმავლობაშიც დაგეგმილი იყო ინფლაციის ჩახშობა. დაწესებულ ზღვარს ზემოთ ხელფასის ფონდის ნებისმიერი ზრდა იბეგრებოდა ძალიან მაღალი გადასახადებით. მაგრამ ხელფასისა და სხვა შემოსავლების ასეთი ფაქტიური გაყინვა მხოლოდ ნახევარი წლით იყო გათვალისწინებული. ვინაიდან, სამომხმარებლო ხარჯები ერთობლივი მოთხოვნისძირითადი კომპონენტია, ხოლო ხელფასისა და შემოსავლების ხანგრძლივ გაყინვას შეეძლო ეფექტიანი მოთხოვნის მკვეთრი შემცირება, რაც წარმოების გაფართოვებას აზრს დაუკარგავდა, პოლონეთის მთავრობამ ეს მომენტი გაითვალისწინა და ხელფასისა და შემოსავლების შეზღუდვა დაუშვა მხოლოდ ნახევარი წლით (აღნიშნული გარემოება ჩვენთვის განსაკუთრებით გასათვალისწინებელია). დროის ამ მონაკვეთში პროგრამის ავტორთა გაანგარიშებით, ინფლაციის ტემპი მკვეთრად უნდა შემცირებულიყო, რაც განხორციელდა კიდეც.

ასეთი ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარების შედეგად აუცილებლად იზრდება სხვაობა ფასებისა და ხელფასის ზრდას შორის, რაც, ერთი მხრივ, გადახდისუნარიანი მოთხოვნის მხრიდან ზღუდავს ფასების შემდგომ ზრდას, მაგრამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს მოსახლეობის რეალური შემოსავლების დონეს.

პრინციპული ცვლილებები განიცადა ბიუჯეტურმა პოლიტიკამ. 1990 წლისათვის დაგეგმილი ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე შემცირდა თითქმის 10-ჯერ (მშპ-ს 2,5%-მდე) წამგებიანი საწარმოების სუბსიდირების შეწყვეტის, ფასების სახელმწიფო დოტაციების, სოციალურ-კულტურულ სფეროზე, თავდაცვაზე და მეცნიერებაზე ხარჯების შემცირების გზით. ადგილი ჰქონდა საციალურად მნიშვნელოვანი საქონლისა და მომსახურების მხოლოდ ვიწრო წრის (რძე, ქვანახშირი, სამგზავრო ტრანსპორტი და სხვა) ფასების დოტაციებს ბიუჯეტიდან. ამასთან, რათა არ შერყეულიყო მოსახლეობის ნდობა რეფორმისადმი და რამდენადმე, თუნდაც მცირედ რომ შერმსუბუქებულიყო „შოკი“, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიზარდა დოტაცია საბინაო-კომუნალური მეურნეობის მიმართ.

გარდა ამისა, ბიუჯეტურ სფეროში „ბალცეროვიჩის გეგმა“ მოიცავდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ახალი არაინფლაციური დაფინანსების მექანიზმზე გადასვლას სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების დახმარებით, რომელთა ფასი იზრდებოდა ინფლაციის ტემპთან შესაბამისად. მეორე მხრივ, პროგრამაში გათვალისწინებული იყო საწარმოთა დაბეგვრის ერთიან სისტემაზე გადასვლა საკუთრების ფორმათა მიუხედავად; მთელი რიგი საგადასახადო შეღავათებისა და ფასჩამოკლების გაუქმება, რაც შემდგომ საწარმოთა მუშაობის რეალური ეფექტიანობის გამოვლენისა და მეურნეობრიობის თანაბარი პირობების შექმნის მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ფულად-საკრედიტო სფეროში „შოკი“ ბანკთაშორისი საკრედიტო განაკვეთის მკვეთრ (თითქმის 2-ჯერ) ზრდაში და შესაბამისად, კომერციული ბანკების კრედიტების გაძვირებაში გამოიხატა, რამაც შეამცირა კრედიტზე მოთხოვნა და სამეურნეო აგენტები დააინტერესა სწრაფად დაეფარად ადრე აღებული კრედიტები. ყოველივე ამასთან ერთად შეიმჩნეოდა მოსახლეობის მიერ დაზოგვისადმი მიდრეკილების ზრდაც.

1.პოლონეთში „შოკური თერაპიის“ პროგრამის სრულყოფილი აღწერა იხ.: С.Алексашенко. Экономическая реформа: польский путь. “МЭиМО”, 1991, №7; Г.Колодко. Стабилизация инфлации в Польше: год спустя. “Вопросы Экономики”,1991,№5. Р.Наринский. Экономическая програма правительства Т. Мазовецкого. “Вопросы экономики”, 1990,№4.





საბოლოოდ, ბაზარზე გადასვლის პროგრამის უმთავრესი ელემენტი გახდა ეროვნული ვალუტის შიდა კონვერტირებადობა, სავალუტო ბაზრის შექმნა და საგარეო-სავაჭრო ოპერაციის რეგულირების გამარტივება. შემოღებულ იქნა ზლოტის ერთიანი ოფიციალური კურსი ყველა საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების მიხედვით და ერთდროულად შეწყდა უცხოური კონვერტირებადი ვალუტის მიმოქცევა შიდასავაჭრო ბრუნვაში. მთავრობამაც აგრეთვე დააწესა ერთიანი საბაჟო რეგულირება ქვეყანაში ყველა შემოსული საქონლისათვის და მნიშვნელოვნად შეამცირა ექსპორტზე შეზღუდვები.

გარდა ამისა, პოლონეთის გამოცდილებიდან გამომდინარე რადიკალური საშუალებების გამოყენებით უმოკლეს ვადაში განხორციელებადი სტაბილიზაციის პროგრამისაგან განსხვავებით სხვა რეფორმათა უმრავლესობა ხორციელდება საკმაოდ ნელა. პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა შეიძლება დასრულდეს ერთიორი წლის განმავლობაში, მაგრამ მსხვილ საწარმოთა მართვის პრინციპების ცვლილება აუცილებლად საჭიროებს გაცილებით მეტ დროს. რაც შეეხება სამართლებრივი ინსტიტუტებისა და საბაზრო ტიპის ახალი საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას, ის რამდენიმე წელს და ზოგჯერ ათწლეულებსაც მოითხოვს, ვინაიდან საჭიროებს ორგანიზაციული სტრუქტურების, პროფესიონალ კადრთა მომზადების სისტემისა და მათი ფსიქოლოგიის ძირეულ ცვლილებებს. მიუხედავად ამისა, რეფორმათა პროცესი შეიძლება დაირღვეს არა მარტო მისი სირთულის, არამედ გარდაქმნათა პოლიტიკური წინააღმდეგობების (მაგალითად, სოციალურ სფეროში) გამო.

რადიკალური რეფორმები, საერთოდ, არაერთგვაროვანი ტემპებით ხორციელდება, რის გამოც თვით ენერგიული რეფორმატორებიც კი იძულებულნი არიან აღიარონ, რომ საწყის ეტაპზე ეკონომიკურ ურთიერთობათა მრავალი ასპექტები არაეფექტიანი ჩანს, მაგალითად: ახალი საკუთრებითი ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, სამართლებრივი სისტემა და ინფორმაციის წყაროები არ არიან საბაზრო მექანიზმთან შეხამებულნი, კერძო საწარმოები და ფერმერული მეურნეობა პრაქტიკულად მოკლებულია საბანკო კრედიტებს, მთავრობა უმრავლეს შემთხვევაში ჯეროვნად ვერ ახერხებს გადასახადების ამოღებას ახალი საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების პირობებში და ა.შ..

ამასთანავე, აუცილებელია რადიკალური რეფორმების შედეგად სწრაფად იქნას მიღწეული გარკვეული შედეგები, რათა მოპოვებულ იქნას მოსახლეობისა და კერძო კომპანიათა ნდობა, უკეთესობისკენ შეიცვალოს მათი სამეურნეო ქცევა და საერთოდ, უზრუნველყოფილ იქნას პირველი შედეგების შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობა.

გრადუალიზმის სტრატეგია - ბაზარზე თანდათანობით გადასვლის (ანუ გრადუალიზმის) მომხრენი თვლიან, რომ „შოკური“ სტრატეგია ძალზედ ძვირადღირებული ღონისძიებაა, უპირველეს ყოვლისა, სოციალური თვალსაზრისით. ამიტომ მან შეიძლება გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს, თვით ძველი სისტემის აღდგენის მცდელობის თვალსაზრისითაც.

რადიკალურ ღონისძიებათა განხორციელების საწყის ეტაპზე,

როგორც წესი, გარდაუვალია ნეგატიურ პროცესთა წარმოშობა, რომელთა შორის განსაკუთრებით საგრძნობია:

✓ინფლაცია, რომელიც დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენს სამეურნეო ცხოვრების ყველა მხარეზე, განსაკუთრებით იმ დარგებზე, რომლებიც ხასიათდებიან წარმოების სეზონურობითა და ხანგრძლივი საწარმოო ციკლით;

✓ წარმოების დაცემა, რომლის მასშტაბები დამოკიდებულია ეკონომიკის სტრუქტურაში მემკვიდრეობით მიღებული დეფორმაციის დონეზე და მოთხოვნის შეზღუდვაზე. ეს უკანასკნელი კი განისაზღვრება სტაბილიზაციის ღონისძიებათა გატარების პროცესში;

✓ ინვესტიციების შემცირება, რომელიც სარისკოა მაღალი ინფლაციის შემთხვევაში;

✓ შემოსავლების დიფერენციაცია; სოციალურ ფენებად დაყოფა; მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების დონის დაცემა, განსაკუთრებით იმ ნაწილისა, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული შემოსავალი;

✓ უმუშევრობის ზრდა, რომელიც წარმოების დაცემისა და ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებების შედეგია.

მოდელი, რომელიც გულისხმობს რეფორმების ეტაპობრივად გატარებას, დასაწყისში ექსპერიმენტული წესით შეიძლება იქნას რეალიზებული. თუ ეს უკანასკნელი წარმატებით დაგვირგვინდა, მაშინ მოხდება მისი გავრცელება. ლიბერალიზაცია თავდაპირველად კრიზისში მყოფ დარგებს შეიძლება შეეხოს (მაგალითად, სოფლის მეურნეობას). შემდგომ საბაზრო ტრანსფორმაცია თანდათანობით, ეკონომიკის სხვა სფეროზეც გავრცელდება შესაბამისი ინსტიტუციური სტრუქტურის აუცილებელი ელემენტების ჩამოყალიბების კვალობაზე.

გრადუალიზმის მომხრენი ეწინააღმდეგებიან ფასების ერთჯერად ლიბერალიზაციასა და სწრაფ პრივატიზაციას. მათი აზრით, რეფორმების გატარების პროცესში არ უნდა იქნას დაშვებული წარმოების მასშტაბური დაცემა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდა. ამიტომ გრადუალისტური სტრატეგია წამყვან როლს წარმოების სტაბილიზაციას აკუთვნებს: მათი ფილოსოფიით, პროდუქციის მდგრადი გამოშვების პირობებშია მხოლოდ შესაძლებელი რესურსების უწყვეტი მოდინების უზრუნველყოფა, რაც აუცილებელია მოხმარებისა და ინვესტიციების სათანადო დონის დასაკმაყოფილებლად და ტრანსფორმაციის პირობებში მოსახლეობის სოციალური ადაპტაციის წინაპირობის შესაქმნელად.

ასეთი სტრატეგია ეფუძნება საწყისი ნაწილობრივი რეფორმების შედეგად წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შემოსავლების ზრდის ვარაუდს, რაც ერთგვარ ბიძგად უნდა იქცეს შემდგომი, უფრო რთული გარდაქმნების განსახორციელებლად. გრა-

დუალიზმის სტრატეგია მთავრობას განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს-თანდათანობითი ზომების მომხრე რეფორმატორებს უნდა გააჩნდეთ იმის უნარი, რომ არ აცდნენ რეფორმების სტრატეგიულ კურსს პირველი სიძნელეების გაჩენისას და გადალახონ ეკონომიკის შერჩევითი ლიბერალიზაციის ყოველგვარი გვერდითი ეფექტები. მაგრამ, რამდენადაც ბაზარი და მეურნეობის გეგმიანი მართვა გარკვეული დროის მანძილზე შეიძლება თანაარსებობდნენ, კერძო პირებსა და კომპანიებს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკის სექტორიდან უფრო მაღალი ფასებისა და რენტაბელობის მქონე ლიბერალიზებულ სექტორში საქონლისა და ფინანსური რესურსების გადასროლით ეკონომიკური რენტის მიღების მძლავრი სტიმულები უჩნდებათ.

ბაზარზე თანდათანობით გადასვლის მოდელზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ჩინეთის გამოცდილება, რომელიც, 1978 წლიდან საბაზრო ძალების სულ უფრო მზარდი წახალისების, ეკონომიკურ გადაწყვეტებათა მიღების პროცესის დეცენტრალიზაციისა და მატერიალური სტიმულებისა და კონკურენციის გამყარების გზით მიემართება. ჩინეთში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები პრაქტიკულად ყველა ასპექტში განსხვავდება რადიკალური მიდგომისაგან, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მრავალ ქვეყანაში და დღესაც გამოიყენება დსთ-ს ქვეყნებში. ჩინური რეფორმისათვის დამახასიათებელია ნაწილობრივი, ექსპერიმენტული მიდგომა, რომელიც ეფუძნება ე.წ. „ცდისა და შეცდომების“ მეთოდს. ამ შემთხვევაში გარდაქმნის ინსტრუმენტები და მეთოდები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან როგორც დარგების, ისე გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით და მათი სანქცირება ხდება ცენტრის მიერ მხოლოდ ადგილობრივ დონეზე წარმატების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში ოც წელზე მეტია, რაც რეფორმები ტარდება, ის ყოვლისმომცველად მაინც ვერ ჩაითვლება როგორც საკუთრებითი უფლებების განსაზღვრაში, ასევე ბაზრის ინსტიტუციური სტრუქტურების ფორმირებასა და მთლიანად ეკონომიკის ლიბერალიზაციის საქმეში. „უფსკრულის ერთი ნახტომით დაძლევის“ ცდის მაგივრად, ჩინეთი, ინარჩუნებს რა პოლიტიკურ სისტემას უცვლელად, ეკონომიკური სისტემის გარდაქმნის ურთულეს ამოცანას წყვეტს მცირედი ნაბიჯების სერიებით. ამ რეფორმების ეტაპობრივი სტრატეგიის საფუძველია დენ სიაოპინის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპი: „იმისათვის, რათა გავიდეთ მდინარეზე, ფეხებქვეშ უნდა ვგრძნობდეთ ქვებს“.

ამასთან, შედეგების თვალსაზრისითაც ჩინური მოდელი მკვეთრად განსხვავდება სხვა ქვეყნების გამოცდილებებისაგან. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური ზრდის მიხედვით არადამაკმაყოფილებელ შედეგებთან შედარებით ჩინეთში მშპ-ს საშუალოწლიური ზრდის ტემპი 1980-94 წლებში მსოფლიოში ყველაზე მაღალი იყო და 10%-ს აჭარბებდა, ხოლო მშპ მოსახლეობის ერთ სულზე უკანასკნელი 10 წლის მანძილზე საშუალოდ 7,8%-ით გაიზარდა. უკეთეს შედეგს ამ თვალსაზრისით მხოლოდ ტაილანდმა მიაღწია.[2]

რეფორმები, რომლებიც ტარდება ჩინეთში, შეიძლება დაიყოს 4 ძირითად სტადიად.[3] პირველი სტადია მოიცავს 1978-84 წლებს. რამდენადაც ჩინეთი, მიუხედავად გატარებული რეფორმებისა, რჩებოდა უპირატესად აგრარულ ქვეყნად და შრომისუნარიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის 71% დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, საწყის ეტაპზე თითქმის ყველა რეფორმა მიმართული იყო სოფლის მეურნეობის აღსადგენად. აგრარული რეფორმა დაიწყო სახალხო კომუნის თანდათანობითი ლიკვიდაციით (რომელიც დასრულდა 1984 წელს) და ე.წ. „სასოფლო პასუხისმგებლობის სისტემის“ შემოღებით (საოჯახო იჯარა)). ამ სისტემამ, მიწაზე კოლექტიური საკუთრების შენარჩუნების პირობებში, გლეხებს შესაძლებლობა მისცა ის ინდივიდუალურად დაემუშავებინათ და საბოლოოდ მიეთვისებინათ მთელი შემოსავალი ხელშეკრულებით დადებული ვალდებულებების გადახდის შემდეგ. ამგვარად, გლეხთა დაინტერესება წარმოების ზრდაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ერთდროულად, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის მიზნით, მნიშვნელოვნად გაიზარდა შესასყიდი ფასები ძირითად კულტურაზე.

შემდგომ, ჩინეთის ხელისუფლებამ შეამსუბუქა შეზღუდვები, რომლებიც მოქმედებდნენ სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა საქმიანობის მიმართ (ე.ი. იმ საწარმოთა მიმართ, რომლებიც ეკუთვნოდნენ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებსა და შრომით კოლექტივებს)) და შექმნა კერძო სექტორისათვის საქმიანობის მრავალი სფერო. ნებადართული იქნა სასოფლო საწარმოო კოოპერატივების შექმნა, რომლებიც მუშაობენ საბაზრო პრინციპებზე. დაიწყო თანდათანობითი გადასვლა ღია ეკონომიკაზე ერთობლივი საწარმოებისა და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნის გზით, რომლებიც გადასახადებით დაბეგვრის, დაკრედიტებისა და სავალუტო ოპერაციების სფეროში დღესაც სარგებლობენ რა მნიშვნელოვანი შეღავათებით, სტიმულს აძლევენ უცხოურ ინვესტიციებს და ჩინეთის საექსპორტო პოტენციალის ფორმირებასა და ზრდას. პარალელურად დაიწყო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და საცალო ვაჭრობის სისტემის განსახელმწიფოებრიობა.

რეფორმების მეორე სტადიაზე 1984-1988 წლებში სახელმწიფომ გააუქმა მრავალი წლის მანძილზე არსებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების იძულებითი შესყიდვის სისტემა და შემოიღო

2. იხ. "From Plan to market. World Development Report 1996". The Wopld Bank. გვ.188-189, 208-209.

3. იხ. Gelb A., Jefferson G., Singh I. Can Communist Economics Transform Incrementelly? The Experience of Chine. "Economics of Transition", 1(3), Washington, D.C. 1993.





ხელშეკრულებითი სისტემა: ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქციის მოცულობა იყიდებოდა სახელმწიფოს მიერ დაწესებული ფასებით, ხოლო ნამატი თავისუფლად რეალიზდებოდა ბაზარზე. თანაც, შემოღებულ იქნა ორმაგი ფასწარმოქმნის სისტემა, ე.ი. ფიქსირებული სახელმწიფო და საბაზრო ფასების თანაარსებობა. 1988 წლისათვის საცალო ვაჭრობიდან ამონაგების 30% მიღებულ იქნა გეგმიანი ფასების მიხედვით და 80%-ზე მეტი სახელმწიფო სავაჭრო კომპანიები გაყიდულ იქნა ან იჯარით გადაეცა კერძო მფლობელებს. ერთდროულად, მთავრობა ასტიმულირებდა სასოფლო სამრეწველო საწარმოთა ზრდას საგადასახადო შეღავათების დახმარებით.

1984 წელს გატარებულმა ბიუჯეტური უფლებამოსილების დეცენტრალიზაციამ ნება მისცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს ადგილზე დაეტოვებინათ ადგილობრივი წყაროებიდან მიღებული საგადასახადო შემოსავლები, რამაც უდიდესი სტიმული მისცა ადგილობრვი მრეწველობის განვითარებას. დაწყებულ იქნა რეფორმა სახელმწიფო საწარმოთა მართვაშიც. სახელმწიფო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის გადაგმულმა ნაბიჯებმა მოიცვა კორპორაციული მართვისა და ადმინისტრაციასთან ხელშეკრულებების დადების გზით ხელმძღვანელობის მეთოდის სრულყოფა, ბუღალტრული აღრიცხვის ახალი სტანდარტების შემოღება, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისადმი კონტროლის ფუნქციის გადაცემა, საწარმოთა გადაცემა გრძელვადიანი იჯარით, აქციონირება, აგრეთვე შიდა და უცხოურ საფონდო ბაზრებზე იმ საწარმოთა აქციების გაყიდვა, სადაც სახელმწიფო არ ფლობდა საკონტროლო პაკეტს. სახელმწიფო საწარმოთა დაფინანსებაში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს საბანკო სისტემა, რომელიც ადრე მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდებოდა.

რეფორმების მესამე სტადიაზე 1988-91 წლებში ჩინეთში სერიოზული პრობლემები შეიქმნა, რაც გამოწვეული იყო მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობით. 1988 წელს სამომხმარებლო ფასების ზრდამ 30%-ს გადააჭარბა. იმავე წელს რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტი 10,8%-ით გაიზარდა, ხოლო სამრეწველო წარმოება, სოფლის ჩათვლით - 17,4%-თაც კი.[4]

ეკონომიკური ზრდის აღნიშნული ტემპები აშკარად „ინფლაციური გადახურების“ მატარებელი იყო. ეკონომიკის გაჯანსაღების მიზნით 1988 წლის შემოდგომიდან ჩინეთში აღებული იქნა კურსი სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის შემცირებაზე, მკაცრი ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაზე და საწარმოო და სამომხმარებლო მოთხოვნის მაქსიმალურად შემცირებაზე. გამოცხადდა „გამოსწორების“ პროგრამა, რომელიც მოიცავდა 2 წლით ფასების ლიბერალიზაციის შეჩერებას. პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 1989 წელს ტიანანმენის მოედანზე მომხდარ ტრაგედიას მოჰყვა, რეფორმები დროებით შეაჩერა და გააძლიერა ეკონომიკის ადმინისტრაციული რეგულირება.

1987 წლიდან ჩინეთში დაწყებული რეფორმა გეგმის ბაზართან შეთავსების ცდაა. ეკონომიკის გარდაქმნის ეს პრინციპი მკაფიოდ ჩამოყალიბდა ჩინეთის კომუნისტური პარტიის XIII ყრილობაზე 1987 წელს: „სახელმწიფო არეგულირებს ბაზარს, ბაზარი კი ორიენტაციას აძლევს საწარმოებს“. თავისუფალი ბაზარი ვითარდებოდა კონტროლირებადთან პარალელურად, სადაც სახელმწიფოს მხრიდან მიწოდების მოცულობა დაბალი საგეგმო ფასების შემთხვევაში უცვლელი იყო. თავისუფალ ბაზარზე მიწოდება მკვეთრად იზრდებოდა და შესაბამისად, შეუცვლელად იზრდებოდა მისი წილი წარმოების საერთო მოცულობაში. სხვა სიტყვებით, 90-ანი წლების დასაწყისში საბაზრო ფასები უკვე დომინირებდნენ, ხოლო გეგმური ფასები თანდათანობით იზრდებოდნენ საბაზრო ფასების დონემდე. შედეგად, 1992 წლიდან რეფორმების მეოთხე სტადიაზე გაცხადებული იქნა ახალი მიზანი - „სოციალისტური საბაზრო ეკონომიკა“, რომელმაც გვაუწყა მცირედან დიდ საბაზრო ტრანსფორმაციაში გადასვლა, ე.ი. მცირე მწარმოებლების ფორმირებიდან მსხვილი და საშუალო სახელმწიფო საწარმოების ბაზრის სუბიექტად გადაქცევა. მთლიანად ლიბერალიზებული იქნა სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა და 1995 წლისათვის საცალო ფასების 90% და ნედლეულზე და ნახევარფაბრიკატებზე ფასების 95% განთავისუფლდნენ სახელმწიფო კონტროლისაგან და საბაზრო ფაქტორებით განისაზღვრებოდნენ.[5] ფასების ორი სისტემის - საბაზროსა და საგეგმოს შერწყმა პრაქტიკულად უარყოფითი შედეგების გარეშე განხორციელდა.

რეფორმათა ფარგლებში გადაწყდა საშუალება მიეცათ ბანკებისათვის განთავისუფლებულიყვნენ სახელმწიფო პოლიტიკის კარნახით კრედიტების აუცილებელი გაცემის მანკიერი წესისაგან და გარდაქმნილიყვნენ ჭეშმარიტ კომერციულ დაწესებულებებად. სოციალურ სფეროში დაიწყო ჯანდაცვისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის რეფორმა, თუმცა ის დღესაც საკმაოდ ფრთხილად მიმდინარეობს.

ამასთან ერთად, 90-ან წლებში დაიწყო ახალი ეტაპი „ღია“ ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. მისი შემადგენილი ნაწილია განსაკუთრებული შეღავათების მქონე რაიონების განვითარება უცხოური ინვესტიციების წახალისების მიზნით. მხოლოდ 1992 წელს სხვადასხვა დონეზე სანქცირებული იქნა დაახლოებით 2 ათასამდე ახალი პრეფერენციული ზონების შექმნა.[6] შედეგად, საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდის საშუალოწლიური ტემპები, რომლებიც მათ გარეშეც ისედაც მაღალი იყო, უფრო გაიზარდა და 1990-94 წლებში ექსპორტისათვის 14,3%, ხოლო

4. იხ. "МЭиМО", 1992, №12, გვ. 103.

5. იხ. "From Plan to Market. World Development Report 1996." The World Bank. გვ. 32

6. იხ. П. Мозиас. Формирование открытой экономики в Китае: региональные проблемы. "МЭиМО", 1994, №3.

იმპორტისათვის - 24,8% შეადგინა.[7]

ჩინეთში ეკონომიკური რეფორმები დღესაც გრძელდება. აღნიშნული ფენომენი, როგორც ყველაზე ნათელი მაგალითი გრადუალიზმის სტრატეგიისა, გულისხმობს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის თანდათანობით ცვლილებას, ადრე არსებული მართვის მკაცრი ადმინისტრაციული ფორმებიდან არაპირდაპირ რეგულირებასა და კონტროლზე გადასვლას, რომელიც უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით სარგებლობას ეფუძნებოდა. ამასთან, ჩინეთში ნებისმიერ სფეროში საბაზრო რეფორმათა პროცესი იყო არასრული და არამდგრადი, ხშირად ფერხდებოდა გადახვევებით, სახელმწიფო უწინდებურად ინარჩუნებს სამეურნეო საქმიანობის პირდაპირი ადმინისტრაციული რეგულირების მრავალ ბერკეტს.

პოლონეთისა და ჩინეთის მაგალითზე ზემოთ განხილული პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ტრანსფორმაციის ორი ძირითადი მოდელი - „შოკური თერაპია" და „გრადუალიზმი" გვევლინება, როგორც ალტერნატიული ნიმუში („იდეალური ტაპები"). პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება ტრანსფორმაციული სტრატეგიული შერეული ვარიანტები, რომლებიც იხრებიან განხილული სტრატეგიებიდან ერთ-ერთისაკენ. მათგან თითოეული დაკავშირებულია როგორც გარკვეულ რისკთან, ასევე სარგებელთან. მაგრამ, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მრავალი ქვეყანა ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე მოკლებულია არჩევის შესაძლებლობას, ამიტომ განსახორციელებელი რეფორმების ტიპები და მათი შედეგები ბევრწილად დამოკიდებულია ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებზე.

ჩინეთის მიერ არჩეული თანამიმდევრული და ფრთხილი გარდაქმნების სტრატეგიის განხორციელება შესაძლებელი გახდა და დადებითი შედეგები გამოიღო უმეტესწილად იმ უნიკალური ფაქტორების შეხამების წყალობით, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურებებთან, მის პოლიტიკურ მოწყობაზე, ხალხის მენტალიტეტზე და ა.შ.. მაგრამ მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ იმას, რომ ჩინეთი 70-ანი წლების ბოლოსათვის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან, რამაც მას შესაძლებლობა მისცა მოეძებნა რეფორმების განსაკუთრებული გზა. ჩამოვთვალოთ ამ განსხვავებებიდან ზოგიერთი მათგანი:

✓ როგორც ვნახეთ, „შოკური თერაპიის" ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი - ფასების ლიბერალიზაცია განხორციელდა იმ მოტივით, რათა საბაზრო მექანიზმთა ამოქმედებით მიღწეულიყო მოთხოვნისა და მიწოდების დაბალანსება მაკროეკონომიკის დონეზე და აღმოფხვრილიყო ინფლაციის მაღალი დონე. ჩინეთის წინაშე რეფორმების დასაწყისში, განსხვავებით სსრკ-ს ყოფილი რესპუბლიკებიდან, დღის წესრიგში არ მდგარა ფინანსური სტაბილიზაციის პრობლემა: ფულადი მასა (M2)) შეადგენდა მშპ-ს მხოლოდ 25%-ს (1992 წლისათვის საქართველოში ანალოგიურმა მაჩვენებელმა 300%-ს გადააჭარბა). ამის გამო, ჩინეთმა შესძლო რეფორმების პირველ წლებში არ დაეშვა ინფლაციის მაღალი ტემპები და შეენარჩუნებინა ეროვნული ვალუტისადმი ნდობა;

✓ჩინეთის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებული იყო ქვეყნის სამუშაო ძალის მცირე ნაწილი - 1978 წელს ეს მაჩვენებელი შეადგენდა 19%-ს[8] (შედარებისათვის - საქართველოში 1992 წლის მონაცემებით დასაქმებულთა 92%-ზე მეტი მოდიოდა სახელმწიფო სექტორზე). გარდა ამისა, ჩინეთში, განსხვავებით რუსეთისაგან, გაცილებით ნაკლები იყო სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი. ყოველივე ამან, ჩინეთს საშუალება მისცა გვერდი აევლო რეფორმების პირველ წლებში სახელმწიფო საწარმოთა რადიკალური რეფორმებისათვის-ძირითადად, აქცენტი გაკეთდა სოფლის მეურნეობის რეფორმირებაზე;

✓ განუვითარებელმა ინფრასტრუქტურამ და ცალკეული რაიონების თვითუზრუნველყოფისაკენ სწრაფვამ („საკუთარ) ძალებზე დაყრდნობის" კონცეფციასთან შესაბამისად გამოიწვია დაბალი რეგიონალური სპეციალიზაცია და მცირე და საშუალო საწარმოთა რიცხვის ზრდა. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ეკონომიკა სსრკ-ს სახალხო მეურნეობისაგან განსხვავებით მნიშვნელოვნად მცირედ იყო დამოკიდებული ერთიან გეგმაზე და ცენტრის განკარგულებებზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მეტი უფლებამოსილება გააჩნდათ, რომლის წყალობითაც ეკონომიკის თანდათანობით და შედარებით უმტკივნეულო დეცენტრალიზაციის სათანადო საფუძველი არსებობდა.

როგორც აღვნიშნეთ, მთავრობა, რომელიც იწყებს ეკონომიკის ეტაპობრივ რეფორმირებას, დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, იქნება თუ არა საწყისი ძალისხმევა წარმატებული და შეძლებს თუ არა ქვეყნის ეკონომიკაზე კონტროლის შენარჩუნებას ნაწილობრივი ლიბერალიზაციის შემდგომ. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ზოგიერთ და დსთ-ს ქვეყნების მთავრობებმა ვერ შეძლეს ვერცერთი ზემოთ ხსენებული პირობების გარანტირებული შესრულება.

ამ ქვეყნებში ნაწილობრივი რეფორმების ადრეულმა ცდებმა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ 60-70-ან წლებში, ვერ გამოიწვიეს ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა, ძირითადად იმიტომ, რომ ეს რეფორმები იყო ძალზედ შეზღუდული და ეკონომიკის არავითარ სტიმულირებას არ ახდენდნენ. ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში (მაგალითად, უნგრეთში და იუგოსლავიაში) „მესამე გზის" დაჟინებულმა ძიებამ, რომელიც განსხვავდებოდა ცენტრალიზებული დაგეგმვისა და კაპიტალისტური სისტემისაგან, ვერ უზრუნველყვეს მდგრადი ეკონომიკური ზრდა. ბაზარზე გადასვლისა და თანდათანობითი რეფორმების შესაძლებლობა, ცხადია, არსებობდა გეგმიანი ეკონომიკის კრიზისის მომწიფების ეტაპზე, მაგრამ ამ

7. იხ. "From Plan to Market. World Development Report 1996." The World Bank. გვ. 280.
8. იხ. "From Plan to Market. World Development Report 1996." The World Bank. გვ. 27.





რეფორმათა განხორციელებას აკლდა შეუპოვრობა.

80-ანი წლების ბოლოსათვის მეურნეობის გეგმიანი გაძღოლის სისტემა ცენტრალური და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში უკვე ფაქტიურად დაშლილი იყო. ყოვლისმომცველმა ქაოსმა და ეკონომიკის ნგრევამ, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების განუხრელი დასუსტების თანხლებით მიმდინარეობდა, პრაქტიკულად გამორიცხა თანმიმდევრული გარდაქმნის ყოველგვარი შესაძლებლობა. ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის ერთადერთ მისაღებ ვარიანტად დარჩა რადიკალური და ყოვლისმომცველი რეფორმების გატარება.

მაგრამ, ამოსავალი პირობების ამ მსგავსების მიუხედავად, მთელი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ სხვა ქვეყნების გამოცდილებათა მექანიკურად გადმოღებას. მაგალითად, პოლონეთში „შოკური თერაპიის" პროგრამის რეალიზაცია შესაძლებელი გახდა მთელი რიგი სპეციფიკური პირობების არსებობის წყალობით, რომელიც არ შეიძლება სხვა ქვეყანაში მაინცდამაინც არსებობდეს.

პოლონეთში რადიკალურ ეკონომიკურ რეფორმებს წინ უსწრებდა მძიმე ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის ათწლეული, რომელმაც მკაფიოდ უჩვენა, რომ ბაზარზე გადასვლას არ გააჩნდა ალტერნატივა და ეს უნდა განხორციელებულიყო სწრაფად, მიუხედავად ამ ნაბიჯის სიძვირისა, რადგანაც ნებისმიერი დაყოვნება მხოლოდ გაართულებდა სიტუაციას. თანდათანობითი ეკონომიკური რეფორმების გატარების ცდები ისეთ სიტუაციაში, როცა თვალწინ ინგრეოდა არსებული პოლიტიკური სისტემა, განწირული იყო მარცხისათვის, რამეთუ ძველი ხელმძღვანელობისადმი ნდობის კრედიტი სრულიად ამოწურული იყო. მეორე მხრივ, ახალი პოლიტიკური ძალები, რომლებიც მოვიდნენ ხელისუფლებაში, სარგებლობდნენ ხალხის განსაკუთრებული ნდობით - „შოკური რეფორმების" დაწყების წინ გამოკითხულთა 82% მხარს უჭერდა თ. მაზოვეცკის მთავრობის პროგრამას, რამაც ფაქტიურად მანდატი მისცა მას რადიკალური რეფორმების გასატარებლად.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ პოლონეთში საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფი გარდაქმნების შესაძლებლობა შემსუბუქებული იქნა ეკონომიკაში ფართო სექტორის არსებობით, სადაც საბაზრო ძალებს არ ჰქონდათ შეწყვეტილი მოქმედება II მსოფლიო ომამდე. საუბარია, უპირველეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობაზე, რომელიც უპირატესად კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა. სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და ხელოსნობაში მესაკუთრეთა ძლიერი ფენის არსებობამ ბევრად უზრუნველყო საზოგადოების მომწიფება ბაზრის იდეამდე.

პოლონეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უარესი საწყისი პირობები და რეფორმების გატარების უარესი პირობები არ შეიძლება რეფორმების არათანმიმდევრულობის გასამართლებელ საბუთად ჩაითვალოს. რაც უფრო უარეს მდგომარეობაში იმყოფება ეკონომიკა, მით უფრო მწვავედ დგას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პრობლემა, მით უფრო ცხადია ტრადიციული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდებით პრობლემათა გადაჭრის უპერსპექტივობა, მით უფრო მეტია მოთხოვნილებები საბაზრო ძალების სწრაფად აქტივიზაციისა და ეკონომიკური სისტემის ლიბერალიზაციის მიმართ.

მაგრამ მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობის დონე ვერ გამოდგება რეფორმების ამა თუ იმ მოდელის არჩევის ფაქტორად. უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი არაეკონომიკური ფაქტორებიც, როგორიცაა ქვეყნის პოლიტიკური მოწყობა, მისი ისტორია, კულტურა და გეოპოლიტიკური მდგომარეობა.

რადიკალური ეკონომიკური რეფორმები მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო მიზანსწრაფულია და ღრმა პოლიტიკური ცხოვრების ცვლილებები, როგორც ეს ჩანს ბალტიის ქვეყნებისა და ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის უმრავლეს სახელმწიფოთა მაგალითზე. რადიკალური საბაზრო რეფორმების განხორციელება, რომელიც მიმართულია ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობისა და ლიბერალიზაციისაკენ, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, საჭიროებს ძლიერ სახელმწიფოს, რომელიც სარგებლობს მოსახლეობის მხრიდან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი მაღალი ნდობით. რადიკალური საბაზრო რეფორმების პროგრამა უნდა ხასიათდებოდეს პოლიტიკური მხარდაჭერით, რომლის უზრუნველყოფა შესაძლებელია დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი პოლიტიკური სისტემით.

მაგრამ „საგანგებო ეკონომიკური პოლიტიკა" როგორც კი კარგავს თავის აქტუალობას, რეფორმების გზაზე სულ უფრო ახალი ბარიერები წარმოიშობა. ასეთ სიტუაციაში ადგილი აქვს ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფებების აღმოცენებას, რომლებიც გაერთიანებულნი არიან საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებით და იზრდება მათი უკმაყოფილება, რომელთაც განსაკუთრებით მძიმედ აწვებათ ტრანსფორმაციის შედეგები. ამასთან, რეფორმის მსვლელობაში ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც იგებენ მიმდინარე ცვლილებებით და ახალი ჯგუფები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიმდინარე ცვლილებების ხასიათის შენარჩუნებით. სამწუხაროდ, ყოველივე ზემოთქმული ნიშანდობლივია ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც რეფორმებით იგებენ საკმაოდ მცირედი, მიზერული ეკონომიკური ზრდა ვერ პოულობს ასახვას მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, უმუშევრობის მასშტაბები კატასტროფულია, ხოლო კორუფციამ ეროვნული უბედურების სახე მიიღო, ეკონომიკური გარდაქმნები ან საერთოდ ერთ წერტილზეა გაყინული, ან უკეთეს შემთხვევაში ძალიან მდორედ მიმდინარეობს. ამიტომ, რეფორმების გრძელვადიანი წარმატებისათვის საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა უპირველესი პირობაა, თუმცა ამ უკანასკნელის მიღწევა წარმოუდგენელია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფად გაუმჯობესების გარეშე.

იმისათვის, რომ რეფორმატორთა მიმართ ნდობის კრედიტი საბოლოოდ, საპნის ბუშტივით არ გაქრეს, აუცილებელია, რომ რეფორმებმა საკმაოდ სწრაფად მოგვცენ საგრძნობი შედეგები. მთავარია, დაიწყოს

რეალურ შემოსავალთა და ცხოვრების დონის ზრდა, მაგრამ ეს შეუძლებელია მიღწეულ იქნას წარმოების აღდგენის გარეშე. შემოსავალთა ძალზედ არათანაბარზომიერი განაწილების შემთხვევაში, როგორც ეს ჩვენი სინამდვილისთვისაა დამახასიათებელი, შესაძლებელია მოხდეს საზოგადოებაში პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობა, ამიტომ აქტიური სოციალური პოლიტიკა უნდა გახდეს ეკონომიკურ რეფორმათა პროგრამის განუყოფელი ნაწილი.

ეკონომიკურ რეფორმათა რადიკალურობა არ ნიშნავს მის სწრაფად დასრულებას. სრულყოფილი საბაზრო ეკონომიკის შექმნა შეუძლებელია 2-3 წლის მანძილზე. იმისათვის, რომ რეფორმათა პროცესი წარმატებული იყოს გრძელვადიანი პერიოდისათვის, აუცილებელია პრივატიზაციისა და დემონოპოლიზაციის გატარება, სამართლებრივი ბაზისა და საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა, მოფიქრებული სამრეწველო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება. ჩამოთვლილ ღონისძიებათა რეალიზაცია ძალზე რთული საქმეა და დიდ დროს საჭიროებს. ამ თვალსაზრისით, „შოკური თერაპიის" დოქტრინა, რომელიც ყურადღების კონცენტრაციას საფინანსო და საფასო საკითხებზე ახდენს, მხოლოდ პირველი ეტაპია გარდაქმნის ხანგრძლივი პროცესისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თვით ყველაზე რადიკალური რეფორმები აუცილებლად შეიცავენ გრადუალიზმის სტრატეგიის ელემენტებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მთავრობა, რომელიც ატარებს რადიკალურ რეფორმებს, აწყდება სერიოზული რისკის გაწევის აუცილებლობას და განუსაზღვრელობის პრობლემებს. საბაზრო რეფორმათა განხორციელება იმას ნიშნავს, რომ მთავრობა ეკონომიკურ ცხოვრებაში ნაკლებად აქტიურ როლს თამაშობს და ცალკეულ სამეურნეო სუბიექტებს მეტ უფლებებს გადასცემს. ამგვარად, მთავრობას, რომელიც ისწრაფვის რეფორმათა წარმატებით განხორციელებისაკენ, არ შეუძლია მისი მსვლელობის სრულად გაკონტროლება. ეკონომიკური რეფორმა საკუთარი ლოგიკითა და დინამიკით ხასიათდება და შეიძლება გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. ამით აიხსნება ის, თუ რატომაა, რომ ბევრ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში რეფორმები მიმდინარეობს შენელებულად, მთავრობები ხშირად ძალზედ ფრთხილად მოქმედებენ, რომლებიც ერთის მხრივ, აცნობიერებენ რა რეფორმების აუცილებლობას, ხოლო მეორე მხრივ - შიშობენ დაიწყონ პროცესები, რომელთა გაკონტროლება მათ არ ძალუძთ, რაც წარმოშობს არასასურველი პოლიტიკური შედეგების საშიშროებას.

რამდენად მისაღებია ჩვენი ქვეყნისათვის მიმდინარე რეფორმათა სტრატეგიული კურსი? როგორც ცნობილია, ის თავისი არსით ზემოთ განხილული „შოკური თერაპიის" პოლონური მოდელის სახესხვაობას წარმოადგენს და თავისი იდეოლოგიით ეფუძნება თანამედროვე მონეტარიზმის პრინციპებს. ამ უკანასკნელის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ბიუჯეტის დეფიციტის სწრაფად შემცირება იმ პირობებში, როცა უმუშევრობის ზრდა და წარმოების დაცემა მიმდინარეობს ინფლაციის ფონზე. ცხადია, ამ დროს სახელმწიფო იძულებული ხდება გვერდი აუაროს სოციალურ პროგრამებს, რაც სოციალური დაძაბულობის ზრდას იწვევს. ინფლაციის აღმოფხვრა აჯანსაღებს ფულად ერთეულს, რაც საწყისი ეტაპია ეფექტიანი საბაზრო გარემოს ფორმირებისათვის.

მონეტარული პროგრამის შემდეგი ნაბიჯი დაკავშირებულია ეფექტიანი ბაზრის რეალიზაციასთან, რომელიც განიწმინდება ჩამორჩენილი წარმოებებისაგან. მწარმოებლები, რომელთა პროდუქცია ბაზრის ახალ მოთხოვნილებას ვერ უპასუხებს, გაკოტრდებიან. ჩვეულებრივ, ბაზარი ამ ფუნქციებს თანდათანობით ასრულებს, მაგრამ წარმოების ტრანსფორმაციული დაცემის დროს ბანკროტობა იძენს მასიურ ხასიათს. ბაზარზე, ამ მკაცრი ოპერაციების შემდგომ, ავანგარდულ პოზიციებზე უნდა გამოჩნდნენ ძლიერი და ადაპტირებული მწარმოებლები, რომლებმაც უნდა მოახდინონ ერთობლივი მიწოდების გაფართოება, წარმოების ზრდა და უმუშევრობის მასშტაბების შემცირება. ეკონომიკური დაცემის მექანიზმის ანალიზმა საშუალება მისცა მონეტარიზმის ამერიკელ იდეოლოგს მ. ფრიდმენს გაეკეთებინა დასკვნა იმის შესახებ, რომ სახელმწიფომ კი არ უნდა გადაარჩინოს სუსტი მწარმოებლები, არამედ უნდა დააჩქაროს ჩამორჩენილი წარმოებისაგან განთავისუფლების პროცესი: ყოველივე ეს განაპირობებს ეფექტიანი ბაზრის ჩამოყალიბებას. მაშასადამე, სახელმწიფომ ერთგვარად ხელი უნდა შეუწყოს კრიზისის გაღრმავებას, რათა ამ უკანასკნელმა სწრაფად შეასრულოს ახალი სამეურნეო პროპორციების ფორმირებისა და ეკონომიკის ბალანსირებული ზრდისათვის პირობების შექმნა. საამისოდ მონეტარისტებს თავისებურად ესმით სარგებლისა და საადრიცხვო განაკვეთების გამოყენების ტექნიკა. თუ მაგისტრალური ეკონომიკური თეორიის მიმდევრები ასაბუთებენ იაფი კრედიტის გამოყენების აუცილებლობას, მონეტარისტების აზრით ის უნდა იყოს ძვირი და ნაკლებადხელმისაწვდომი. ყოველივე ეს მართლაც დასტურდება ჩვენი ქვეყნის რეალობით. ერთი სიტყვით, მათ მიერ რეკომენდირებულია სარგებლისა და საადრიცხვო განაკვეთების ზრდა. ეს, რა თქმა უნდა, აძლიერებს ბანკროტობის პროცესს, რომლის შედეგად ბაზარზე უნდა დარჩეს ძლიერი მწარმოებლები, რომელთა სამეურნეო საქმიანობათა წახალისება შემდგომ ეტაპზე საგადასახადო განაკვეთების შემცირებით უნდა მოხდეს. საბოლოოდ, ამ კონცეფციის მიხედვით, ჩამოყალიბდება ჯანსაღი, ეფექტიანი ბაზარი, რომელიც წარმოების გაფართოების საფუძველია. საბოლოოდ, შესაძლებელი გახდება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდა და უმუშევრობის მასშტაბების ბუნებრივ დონემდე შემცირება.

მონეტარული პროგრამები წარმატებით გამოიყენებოდა რ. რეიგანისა და მ. ტეტჩერის მთავრობების მიერ. ამ პროგრამათა სირთულე დაკავშირებულია წარმოების დაცემის შეგნებულ გაღრმავებასთან. ქვეყანა ვარდება უმძიმეს პირობებში, რომლის გამართლება მხოლოდ უსწრაფეს განკურნებას შეუძლია. ეს კი შესაძლებელია მაშინ, როცა საწარმოთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს და ისინი სწრაფად რეაგირებენ საბაზრო კონიუნქტურის





ცვლილებებზე. მაგრამ საამისო პირობები ჩვენ არ გაგვაჩნია და არც შეიძლება ყოფილიყო საქართველოში, რადგანაც ბაზარი ახლად ყალიბდება და სათანადო საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

საქართველოში მიმდინარე რეფორმები უნდა ითვალისწინებდეს მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის სპეციფიკას, ვინაიდან ის განსაზღვრავს რეფორმის მიმართულებას. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის სპეციფიკა გამოიხატება იმაში, რომ ის მკვეთრად განსხვავდება ტიპიური ჭარბწარმოების ციკლური კრიზისისაგან. ეს უკანასკნელი წარმოიშობა, როგორც განვითარებული საბაზრო ურთიერთობის შედეგი, რომელმაც მიაღწია სიმწიფის გარკვეულ სტადიას.

საქართველოში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს გააჩნია სხვა საფუძველი. ის ჩამოყალიბდა არა როგორც მომხმარებლის განვითარებული ბაზრის დისპროპორციის ზრდის, არამედ საბაზრო მექანიზმის არარსებობის პირობებში სახელმწიფო სოციალიზმის კრახის შედეგი. ჩვენთან მოქმედებდა მიმწოდებლის ბაზარი, სადაც მომხმარებლები ერთმანეთს უწევდნენ კონკურენციას. მსგავსი დეფიციტური ბაზარი კი საკმაოდ შორსაა ჭარბწარმოების კრიზისისაგან. ტოტალური სისტემის დაშლა ნიშნავდა ბიუროკრატიული რეჟიმის დაშლას. ამ მოვლენას არ შეეძლო არ გამოეწვია ანარქია, სამეურნეო კავშირების დეზინტეგრაცია და შედეგად, წარმოების დაცემა და უმუშევრობის ზრდა.

რა თქმა უნდა, სამეურნეო კავშირები თანდათან აღსდგება, მაგრამ საამისოდ გარკვეული დროა საჭირო, ხოლო ამ ხნის განმავლობაში ვერსად გავექცევით წარმოების დეპრესიული მდგომარეობის გახანგრძლივებას. კრიზისიდან გამოსვლა შესაძლებელია საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირების საფუძველზე, რაც გულისხმობს: საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, საშუამავლო სტრუქტურის ქსელის, განვითარებული სატრანსპორტო სფეროს შექმნას და ა.შ.. მხოლოდ ამ მატერიალურ ბაზაზე დაყრდნობით შეუძლია ბაზარს რესურსების მობილურობის უზრუნველყოფა, რომლებიც აღადგენენ ეკონომიკურ წონასწორობას. ერთი სიტყვით, საბაზრო ინფრასტრუქტურის ფორმირებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რომლის მოკლე ვადაში განხორციელება შეუძლებელია.

**საქართველოში მიმდინარე გარედან თავსმოხვეული „შოკური" რეცეპტები ნამდვილად შეუთავსებელია ჩვენი ქვეყნის სპეციფიკასთან. ამდენად, საჭიროა მისი მოდიფიკაცია და არსებულ გარემოებასთან შეთავსება**

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ჩვენი საწარმოები ზემდგომი ორგანოების მოთხოვნილებებს უფრო არიან შეგუებულნი, ვიდრე საბაზრო მოთხოვნილებებს. მიზეზი მარტივია, საქართველოში დღევანდელ სიტუაციაში ეროვნული ქონების მთელი მოცულობა ძირითადად ნომენკლატურის ხელშია მოქცეული, ეს უკანასკნელი ფენა კი პროდუქტია მძარცველური მანკიერი საბჭოთა ეპოქისა. ცხადია, მათ არ აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ბაზრის ცვალებადი კონიუნქტურისადმი ადაპტაციის უნარი, რაც ეკონომიკურ პროცესებს შესაძლებლობას არ აძლევს შეიძინონ აუცილებელი დინამიზმი.

ყოველივე ზემოთქმული აძლიერებს დეპრესიას, რის გამოც გარდამავალი პერიოდი ხანგრძლივი და მტკივნეული ხდება. წარმოების დაცემის ამგვარ სახესხვაობას ი. კორნაის თქმით ტრანსფორმაციული შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც განსხვავებულია ჩვეულებრივი ციკლური სამრეწველო კრიზისისაგან.

აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ კრიზისიდან გამოსვლა გულისხმობს არა მხოლოდ წარმოების ტექნიკური ბაზის სრულყოფას, არამედ ახალ ტექნოლოგიურ დონეზე გადასვლას, რაც კონდრატიევისეული ეკონომიკური ციკლის ფაზაში შესვლაცაა. ამრიგად, საქართველოში არსებული ეკონომიკური კრიზისი ზემოთ აღნიშნულ ციკლურ ხასიათსაც ატარებს, რის გამოც ის უფრო პრობლემატური ხდება.

ტრანსფორმაციული კრიზისის ხანგრძივობა ზღუდავს მონეტარული პროგრამების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც მწარმოებლის საბაზრო რეგულატორებთან სწრაფი ადაპტაციის მექანიზმის შექმნას გულისხმობს. გარდა ამისა, საქართველო ძალზედ მწირი შემოსავლების ქვეყანაა და ვერ აიტანს ცხოვრების დონის ხანგრძლივ დაცემას, რასაც სავსებით შეიძლება მოჰყვეს სოციალური აფეთქება.

რაც შეეხება „შოკური თერაპიის" წარმატებით განხორციელებას პოლონეთში, ეს ზემოთ ნახსენები ფაქტორების გარდა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ფაქტორმაც განაპირობა. ვინაიდან პოლონეთში პირველად დაიწყო კომუნისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, ამას უდიდესი პოლიტიკური დატვირთა ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის პრესტიჟის ამაღლებისა და კომუნისტურ სისტემასთან უპირატესობის დამტკიცების თვალსაზრისით. ამიტომ, პოლონური „სასწაული" ამ ორ სისტემას შორის საბოლოო იდეოლოგიური ბრძოლის არენად გადაიქცა.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ პოლონეთის მიმართ დასავლეთის მხარდაჭერის მასშტაბები, კერძოდ 100 მილიარდი დოლარის ინექცია. თუმცა, უსამართლო იქნება სათანადოდ არ შეფასდეს პოლონელ რეფორმატორთა, უპირველეს ყოვლისა, ლ. ბალცეროვიჩის დამსახურება რეფორმების წარმატებით განხორციელებაში. მაგრამ, მიუხედავად დასავლეთის მხარდაჭერისა და რეფორმატორთა ფხიანობისა, პოლონურ „სასწაულს" არ ჩაუვლია მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე. არ შეიძლება არ აღინიშნოს საშუალო ფენის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი დაცემა, რამაც ძირითადად განაპირობა მემარჯვენე იდეოლოგიის მიმდევრის, ყოფილი დისიდენტისა და პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტის ლ. ვალენსას მარცხი (განსაკუთრებით ბოლო საპრეზიდენტო

არჩევნებში) მემარცხენე კვასნევსკისთან. ცხადია, ყოველივე ამაზე გავლენა იქონია პოლონეთის მოსახლეობის უკმაყოფილებამ „შოკური“ გარდაქმნების შედეგებისადმი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე გარედან თავსმოხვეული „შოკური“ რეცეპტები ნამდვილად შეუთავსებელია ჩვენი ქვეყნის სპეციფიკასთან. ამდენად, საჭიროა მისი მოდიფიკაცია და არსებულ გარემოებასთან შეთავსება.

გარდა მონეტარული რეცეპტებისა, საქართველოში მაგისტრალური ეკონომიკური მიმდინარეობის (რომელიც ნეოკეინსელობის სახელითაა ცნობილი) პროგრამების განხორციელების სერიოზული შეზღუდვები არსებობს, ვინაიდან: 1. ეს პროგრამები ეფუძნება ბიუჯეტური დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის ზრდას. ორივე მაჩვენებელმა ჩვენს ქვეყანაში კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწია. გარდა ამისა, საქართველოს ჯერაც არ გააჩნია ბიუჯეტური დეფიციტის პირობებში არაინფლაციური განვითარების საკმარისი გამოცდილება. ამდენად, ჩვენს პირობებში ბიუჯეტური დეფიციტის ზრდა ყოვლად გამორიცხულია; 2. ნეოკეინსური პროგრამა გულისხმობს მულტიპლიკატორ-აქსელერაციის ეფექტს, რომელიც მხოლოდ ინტეგრირებული ეკონომიკის პირობებში ვლინდება. ჩვენი ეკონომიკის პირობებში კი ეს ეფექტი ან საერთოდ ვერ იმოქმედებს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, უმნიშვნელო იქნება. ე.ი. ავტონომიურ ინვესტიციებს დროის მშედარებით მოკლე პერიოდში საეჭვოა მოჰყვეს სტიმულირებადი ინვესტიციები.

ამრიგად, ეკონომიკური რეფორმის დასავლური რეცეპტები წმინდა სახით არ გამოგვადგება, ვინაიდან ისინი პრობლემათა სულ სხვა ჯგუფს განეკუთვნებიან. საბაზრო მექანიზმის საფუძვლების ფორმირების პროცესი - აი რა დგას საქართველოში ეკონომიკური გარდაქმნების დღის წესრიგში. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს როგორც კერძო მესაკუთრეთა ფორმირებას, ასევე კონკურენტული გარემოს შექმნას, სადაც ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტი იმოქმედებს, როგორც ბაზრის აგენტი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამის დონეზე ჩამოყალიბებას. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს შესაბამისი ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით.

## ბიუჯეტის დეფიციტი: მიზეზები, დონე და დაფინანსების წყაროები

ეკონომიკაში სახელმწიფო სექტორის ფუნქციონირება კონცენტრირებულ ასახვას ჰპოვებს ბიუჯეტურ-საგადასახადო სისტემაში, რომლის მდგომარეობის განზოგადებული მაჩვენებელია სახელმწიფო ბიუჯეტის სალდო. პრაქტიკულად ყველა თანამედროვე ეკონომიკის, მათ შორის, რა თქმა უნდა, გარდამავალი ეკონომიკის სახელმწიფო ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშანია მისი დაუბალანსებლობა, ე.ი. დეფიციტი ან, უფრო იშვიათად - სიჭარბე.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაუბალანსებლობა ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე და მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე. კერძოდ, ბიუჯეტური სალდოს სიდიდე გავლენას ახდენს ერთობლივი მოთხოვნისა და შემოსავლების ზომაზე, ფასების დონეზე, საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე და ა.შ..

სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობა განისაზღვრება სამი ძირითადი ფაქტორით:

1. საგადასახადო შემოსავლებისა და სახელმწიფო ხარჯების დინამიკის გრძელვადიანი ტენდენციით;
2. საწარმოო ციკლის სტადიით, რომელშიც იმყოფება ეკონომიკა განსახილველ პერიოდში;
3. საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების სფეროში მთავრობის მიმდინარე პოლიტიკით, რომელსაც შეუძლია მისი სიდიდეების გადახრა გრძელვადიანი ტრენდიდან.

ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის სხვადასხვა სტრატეგიას ბიუჯეტის დეფიციტისა და სიჭარბის სხვადასხვა ტიპები შეესაბამება (შემდგომ საუბარი გვექნება მხოლოდ დეფიციტზე, ვინაიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სწორედ ასეთი მდგომარეობაა დამახასიათებელი თითქმის ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის). სახელმწიფო ბიუჯეტის სალდოს სიდიდის ცვლილება შეიძლება ხდებოდეს როგორც ეკონომიკის ე.წ. „ჩაშენებული“ ანუ ავტომატური სტაბილიზატორების მოქმედების საფუძველზე (ციკლური დეფიციტი), ასევე დისკრეციული ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში (სტრუქტურული დეფიციტი).

დისკრეციული პოლიტიკის დროს მთავრობა მიზანმიმართულად ცვლის ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილებს შორის თანაფარდობას. კერძოდ, ეკონომიკური აქტივობის დაცემის პერიოდში ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირების მიზნით მთავრობა ღებულობს სპეციალურ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართულია, დასაქმების დონისა და გამოშვების ზრდისაკენ. ასეთ შემთხვევაში მთავრობა ზრდის ხარჯებს (მაგალითად, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით) ან ამცირებს გადასახადებს. ამგვარად, მთავრობა ფაქტიურად მიზანმიმართულად ქმნის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთავრობის დისკრეციული პოლიტიკა დაკავშირებულია მნიშვნელოვან შიდა დროით ლაგთან, ვინაიდან ბიუჯეტური ხარჯების სტრუქტურისა და გადასახადების განაკვეთის ცვლილება გულისხმობს საკანონმდებლო ხელისუფლებაში მათ ხანგრძლივ განხილვას.

არადისკრეციული ფისკალური პოლიტიკის დროს ბიუჯეტის დაუბალანსებლობა წარმოიქმნება ავტომატურად, ეკონომიკის „ჩაშენებული“ სტაბილიზატორების მოქმედების შედეგად. მაგალითად, ერთობლივი შემოსავლების შემცირების შედეგად საქმიანი აქტივობის დაცემის დროს ხდება საგადასახადო შემოსავლების ავტომატური შემცირება და გარკვეული სახის ტრანსფერტული გადასახდელების ზრდა, რაც იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ციკლური დეფიციტის წარმოშობას და ერთობლივი მოთხოვნის





შემცირებას ნაწილობრივ აკომპენსირებს.

სხვა თანაბარ პირობებში, ბიუჯეტის ციკლური დაუბალანსებლობის სიდიდე და ეკონომიკის ავტომატური სტაბილურობის ხარისხი მით უფრო მაღალია, რაც უფრო მაღალია ზღვრული საგადასახადო განაკვეთის დონე, რაც უფრო მაღალია უმუშევრობაზე შემწეობის დონის ცვლილების დამოკიდებულება ეროვნული შემოსავლის სიდიდის ცვლილებაზე. ამავე დროს, ეკონომიკის ავტომატური სტაბილურობის ხარისხის ზრდა ეწინააღმდეგება მეორე, ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის უფრო გრძელვადიან მიზნებს - წარმოების ფაქტორთა მიწოდების გაფართოვებისადმი სტიმულირების გაძლიერებას და ეკონომიკურ ზრდას. ინვესტირებისადმი, სამეწარმეო რისკისადმი და შრომისადმი სტიმულები უფრო ძლიერია დაბეგვრის ზღვრული განაკვეთების თანდათანობით შემცირების პირობებში. მაგრამ ეს შემცირება თანდაყოლილია ბიუჯეტის დეფიციტის ან ნამატის სიდიდეთა შემცირებით და შესაბამისად, ეკონომიკის ჩაშენებული სტაბილურობის ხარისხის შემცირებით.

ამასთან, ავტომატური სტაბილიზატორები კი არ ხსნიან ფაქტიური მშპ-ის პოტენციური დონის გარშემო ციკლური რხევების მიზეზებს, არამედ მხოლოდ ზღუდავენ მის ამპლიტუდას. ამიტომ, ეკონომიკის ავტომატური სტაბილიზატორები, როგორც წესი, ავსებენ მთავრობის დისკრეციული ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის ზომებს, რომელიც მიმართულია რესურსების სრული დასაქმების უზრუნველყოფისაკენ. ამ ზომების გამოყენების შედეგად წარმოიქმნება სტრუქტურული დეფიციტი - ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა მშპ-ს პოტენციურ მოცულობასთან მიმართებაში. ამიტომ, ციკლური დეფიციტი ხშირად გამოითვლება, როგორც ბიუჯეტის ფაქტიური და სტრუქტურული დეფიციტის სიდიდეებს შორის სხვაობა.

რესურსების სრული დასაქმების სიდიდის, უმუშევრობის ბუნებრივი დონისა და გამოშვების პოტენციური მოცულობის განსაზღვრის სირთულე ართულებს ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტის გაანგარიშებას, თუმცა სწორედ ამ მაკროეკონომიკური ინდიკატორის დინამიკის საფუძველზე შეიძლება მსჯელობა გრძელვადიანი თვალსაზრისით ფისკალური პოლიტიკის ზომების ეფექტიანობაზე. ცხრილში №2 მოცემულია ციფრები სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური და სტრუქტურული დეფიციტის დინამიკის შესახებ საშუალოდ ქვეყნების 2 ჯგუფის - ინდუსტრიულად წამყვანი და შედარებით ნაკლებად-განვითარებული ქვეყნების მიხედვით.

აღნიშნული ცხრილის მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ დასაქმებისა და გამოშვების რხევების მზარდ სინქრონიზაციას ქვეყნების ორივე ჯგუფს შორის: მთავრობათა ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია რესურსების პრაქტიკულად სრული დასაქმების უზრუნველყოფისაკენ იმ ვარაუდით, რომ 2001 წლისათვის სტრუქტურული ბიუჯეტური დეფიციტის მაჩვენებელი ერთნაირად დაბალი იქნება, კერძოდ, ქვეყნების I ჯგუფში ის საშუალოდ მშპ-სთან შედარებით 3,5%-დან 1,5%-მდე, ხოლო ქვეყნების II ჯგუფში - საშუალოდ 4,7%-დან 1,5%-მდე შემცირდება. ეს იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკის მაქსიმალური მიახლოვების „ფასი“ რესურსების სრული დასაქმების მდგომარეობამდე 2001 წლისათვის 2-ჯერ უფრო ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე იყო 1992 წელს, რაც მიუთითებს გრძელვადიანი პერსპექტივისათვის ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის მზარდ ეფექტიანობაზე.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის შეფასების დროს ფართოდ გამოიყენება მისი ზომებით მანიპულირება - ხელოვნურად ზრდა ან, უფრო ხშირად, ბიუჯეტის სიდიდის შემცირება მიმდინარე წელს. ეს მანიპულირება შიძლება განხორციელდეს ისეთი ინსტრუმენტების დახმარებით, როგორიცაა:

- ✓ „საგადასახადო ამნისტია“, რომელიც გადასახადის გადამხდელებს უფლებას აძლევს თავი აარიდონ მის გადახდას, შეიტანონ ერთჯერადი თანხა, რომელიც საერთო გადასახადების გარკვეული ნაწილის ტოლია;
- ✓ გადავადებული გადასახადების მოკრების ღონისძიებები;
- ✓ დროებითი და დამატებითი გადასახადების შემოღება;
- ✓ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების გადავადება;
- ✓ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთათვის ხელფასის გადავადება;
- ✓ ინფლაციის დონის დინამიკასთან შესაბამისად ხელფასის აუცილებელი ინდექსაციის გადავადება;
- ✓ სახელმწიფო აქტივების ფართოდ გაყიდვა.

ამრიგად, გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი უმეტესწილად სახელმწიფო რეგულირების მიმდინარე ზომებით განისაზღვრება, ვიდრე ეკონომიკის ციკლური რხევებით. გარდამავალ ეკონომიკაში სტრუქტურული დეფიციტის გაზომვა ხშირად უფრო რთულია, ვიდრე მისი შეფასება ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში. ამიტომ, გარდამავალ ეკონომიკაში სტაბილიზაციის სტრატეგიისა და სტრუქტურული რეფორმების შემუშავების დროს გვიწევს დავეყრდნოთ ბიუჯეტის დეფიციტის ჩვეულებრივ შეფასებებს, თუმცა ოპტიმალური გრძელვადიანი ფისკალური პოლიტიკა უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული სტრუქტურულ დეფიციტზე, ვიდრე ფაქტიურზე.

უფრო მეტიც, როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ბიუჯეტის დეფაციტისა და სახელმწიფო ვალის რაოდენობის ობიექტური შეფასებები რთულდება შემდეგი ფაქტორებით:

- ✓ სახელმწიფო შემოსწვლების სიდიდის შეფასებისას მიზანშეწონილი იქნებოდა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში ამორტიზაციის გათვალისწინება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის ზომები ობიექტურად მაღლდება;
- ✓ სახელმწიფო ხარჯების უმთავრესი მუხლია დავალიანების მომსახურება, ე.ი. სარგებლის გადახდა

ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წონა მშპ-ში (პროცენტებში)

ცხრილი №2

| | 1980-89 | 1990 | 1991 | 1992 | 1993 | 1994 | 1995 | 1996 | 1997 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინდუსტრიულად მაღალგანვითარებული წამყვანი ქვეყნები* ფაქტიური დეფიციტი | -3,0 | -2,1 | -2,7 | -3,8 | -4,3 | -3,5 | -3,3 | -2,9 | -2,3 | -1,5 |
| გადახრა მშპ-სგან** | -0,4 | 2,7 | 0,5 | -0,4 | -1,8 | -1,2 | -1,4 | -1,4 | -1,1 | -0,2 |
| სტრუქტურული დეფიციტი*** | -2,8 | -3,3 | -3,0 | -3,5 | -3,3 | -2,7 | -2,5 | -2,1 | -1,6 | -1,5 |
| 2.ინდუსტრიულად შედარებითი ნაკლებადგანვითარებული ქვეყნები**** ფაქტიური დეფიციტი | -4,1 | -2,5 | -3,8 | -4,7 | -6,0 | -5,1 | -4,4 | -2,9 | -2,0 | -1,6 |
| გადახრა მშპ-სგან** | -0,6 | 2,5 | 1,1 | -0,1 | -2,3 | -1,6 | -1,2 | -1,2 | -1,1 | -0,1 |
| სტრუქტურული დეფიციტი*** | -3,8 | -4,3 | -4,8 | -4,7 | -4,3 | -3,8 | -3,5 | -2,1 | -1,4 | -1,5 |

მის მიმართ და ვალის ძირითადი თანხის თანმიმდევრული დაფარვა (ვალის ამორტიზაცია). ხშირად წარმოდგენილი ანგარიშების დროს ოფიციალური ბიუჯეტის დეფიციტი იზრდება სახელმწიფო ხარჯების მოცულობის გადაჭარბებით ვალზე ინფლაციური სარგებლის დარიცხვის შედეგად; ინფლაციის მაღალი ტემპების დროს, როდესაც განსხვავება ნომინალური და რეალური სარგებლის განაკვეთების დინამიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო ხარჯების ეს გადამეტება შეიძლება საკმაოდ არსებითი აღმოჩნდეს. შესაძლებელია ისეთი სიტუაციაც, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტის ნომინალური (ოფიციალური) დეფიციტი და ნომინალური ვალი იზრდება, ხოლო რეალური დეფიციტი და ვალი მცირდება, რაც ართულებს მთავრობის ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შეფასებას. ამიტომ, ბიუჯეტის დეფიციტის გაზომვის დროს აუცილებელია გამოირიცხოს ინფლაცია: ბიუჯეტის რეალური დეფიციტი არის წლის დასაწყისში სახელმწიფო ვალის სიდიდესა და ნომინალურ დეფიციტს შორის სხვაობა გამრავლებული ინფლაციის ზრდის ტემპზე. ბიუჯეტის საერთო დეფიციტი ვალის მიმართ სარგებლის დარიცხვის ინფლაციური ნაწილის გამოკლებით იწოდება ოპერაციულ დეფიციტად.

ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება გულისხმობს აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის პირველადი დეფიციტის დინამიკაზე მუდმივი კონტროლის განხორციელებას, რომელიც არის სხვაობა საერთო დეფიციტის სიდიდესა და ვალის მიხედვით გადასახდელთა მთელ თანხას შორის. ეკონომიკაში პირველადი დეფიციტის არსებობა ვალის სიმძიმის ზრდის ფაქტორია, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება თანაფარდობით „ვალი - მშპ". პირველადი ბიუჯეტის დეფიციტის არსებობა ვალის როგორც ძირითადი თანხის, ასევე მისი მომსახურების კოეფიციენტის ზრდის ფაქტორია, რაც იწვევს სახელმწიფო დავალიანების თვითგაძვირებას.

✓ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შეფასებისას, როგორც წესი, არ გაითვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტთა მდგომარეობა, რომლებიც შეიძლება სიჭარბითაც ხასითდებოდნენ. არც თუ ისე იშვიათად, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები მიზანმიმართულად ამახინჯებენ ინფორმაციას რეგიონალური ბიუჯეტის მდგომარეობის შესახებ, რათა შეამცირონ ცენტრალურ ბიუჯეტში გადასარიცხი თანხა. ეს კანონზომიერება დამახასიათებელია პრაქტიკულად ყველა გარდამავალი ეკონომიკისათვის, სადაც რეფორმების გატარების პროცესში ადგილი აქვს ბიუჯეტურ-საგადასახადო რეგულირების დეცენტრალიზაციას;

✓როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე განსაკუთრებით, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტის ოფიციალური დეფიციტის გვერდით არსებობს მისი ფარული დეფიციტი, რომელიც განპირობებულია კვაზიბიუჯეტური ხარჯებით. კვაზიბიუჯეტურ ხარჯებს მიეკუთვნება ცენტრალიზებული კრედიტი, რომელიც გაიცემა შეღავათიანი პირობებით ცენტრალური ბანკის მიერ. მაგალითად, ცენტრალური ბანკის მიერ ეკონომიკური რეფორმების საწყის ეტაპზე კომერციული ბანკებისადმი გამოყოფილი კრედიტი, როგორც წესი, გადაიხდება ცენტრალური ბანკის მიერ დაწესებული შეღავათებით. გარდა

* ეს ჯგუფი აერთიანებს „დიდი შვიდეულის" ქვეყნებს.
** „მშპ-სგან გადახრის" მაჩვენებელი გვიჩვენებს მშპ-ს ფაქტიური დონის გადახრას მის პოტენციურ დონესთან შედარებით.
*** სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურული დეფიციტი ამ ჯგუფის ქვეყნებისათვის მოცემულია საშუალოდ პროცენტებით გამოშვების პოტენციური მოცულობის საშუალო სიდიდესთან შედარებით.
**** ეს ჯგუფი 1980-89 წლებში მოიცავდა ესპანეთს, ჰოლანდიას, ბელგიას, შვეციას, ავსტრიას, დანიას, ირლანდიას, ავსტრალიას, და ახალ ზელანდიას. შემდგომი პერიოდებისათვის მათ დაემატა ფინეთი, საბერძნეთი, ნორვეგია და პორტუგალია.
წყარო: World Economic Outlook, October 1996, გვ. 22-23





ამისა, ცენტრალურ ბანკს შეუძლია დააფინანსოს ცალკეული ოპერაციები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ვალთან; დაფაროს ზარალი გაცვლის კურსის სტაბილიზაციის ღონისძიებებზე; მოახდინოს მთავრობის სოფლის მეურნეობის, სამრეწველო და საბინაო პროგრამების რეფინანსირება და ა.შ..

კვაზიბიუჯეტურ ოპერაციათა შედეგად, როგორც მთავრობის, ისე ცენტრალური ბანკის საქმიანობა არატრანსფერენტულია (ე.ი. არ არის ნათელი და გასაგები ეკონომიკური აგენტებისათვის), რაც ამწვავებს მაკროეკონომიკური პოლიტიკისადმი უნდობლობის პრობლემას. ცენტრალურ ბანკს უმცირდება თავისი სტატუსი და კარგავს დამოუკიდებლობას, რომელიც მთავრობის მითითებით არაკომერციულ მიზნებს ემსახურება. ამის საფუძველზე წარმოშობილი ბიუჯეტურ-საგადასახადო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მსგავსი „ნარევი", რომელიც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკისათვის, ხშირად აზარალებს ცენტრალურ ბანკს და აძლიერებს ინფლაციურ ტენდენციებს, რაც მთლიანობაში მნიშვნელოვნად ამცირებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევის ზომების ეფექტიანობას.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფარული (კვაზიბიუჯეტური) დეფიციტი მნიშვნელოვნად ამცირებს ფაქტიური დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის სიდიდეს, რაც ხშირად მიზანმიმართულად კეთდება (მაგალითად, მორიგი არჩევნების წინ; ამის დასტურია საქართველოში 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ ცენტრალური ბანკის მიერ 20 მლნ ლარის კრედიტის გამოყოფა 7%-ანი განაკვეთით).

თუ მთავრობა ცდილობს გაატაროს ყოველწლიურად ბალანსირებულ ბიუჯეტზე ორიენტირებული პოლიტიკა, მაშინ ეკონომიკის ავტომატური სტაბილიზატორების მოქმედების ხარისხის შემცირება გარდაუვალია. გარდა ამისა, ეს გამოიწვევს საგადასახადო განაკვეთების ხშირ ცვლილებას, საინვესტიციო აქტივობის შემცირებას და შემოსავლების განაწილების ეფექტიანობის დაქვეითებას.

რადგანაც ყოველწლიურად ბალანსირებული ბიუჯეტის მიღწევა დაკავშირებულია მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ ხარჯებთან, იმდენად ინდუსტრიულად. განვითარებული და გარდამავალი ქვეყნების მთავრობათა უმრავლესობა ისწრაფვის ბიუჯეტის გრძელვადიან პერსპექტივაში დაბალანსებას - ციკლურ ან ფუნქციონალურ საფუძველზე. ამ დროს, ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის მიზნობრივი ორიენტირები, რომლებიც ზღუდავენ მთავრობის მოქმედების თავისუფლებას და მას გარკვეული რაოდენობრივი თანაფარდობისაკენ მიმართავენ, არის შემდეგი:

სახელმწიფო ვალის საერთო მოცულობის შემცირება;

✓ვალი-მშპ-ს თანაფარდობის სტაბილიზაცია;

✓სახელმწიფო ხარჯებისა და მშპ-ს ზრდის ტემპების გამოთანაბრება;

✓ინვესტიციების წმინდა მოცულობის სახელმწიფო ვალის წმინდა მოცულობასთან გათანაბრება ან გადაჭარბება.

მითითებული მიზნობრივი ორიენტირები მხარჯავ სახელმწიფო უწყებებს „მადას" უმცირებებენ, რომლებიც იძულებული ხდებიან ახალ საბიუჯეტო რესურსებზე თავიანთი მოთხოვნილებები ამ შეზღუდვებს შეუსაბამონ). მსგავსი შეზღუდვების გარეშე სახელმწიფო ბიუჯეტის ფაქტიური დეფიციტის დინამიკა შეიძლება ძნელადსამართავი აღმოჩნდეს.

ცხრილი №3-ის მონაცემები გვიდასტურებენ, რომ აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს სახელმწიფოებში შენარჩუნებულია ბიუჯეტის დაუბალანსებლობის მაღალი დონე, თუმცა სიტუაცია ზოგიერთ მათგანში თანდათანობით უმჯობესდება.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წილი (%-ში)

ცხრილი №3

| ქვეყნები | 1992 | 1995 | 2000* |
|---|---|---|---|
| აზერბაიჯანი | 2,8 | -5,4 | -6,8 |
| ალბანეთი | -21,5 | -13,1 | -14,9 |
| ბელორუსია | 0,1 | -2,6 | -7 |
| ბულგარეთი | -15 | -6 | -5 |
| ესტონეთი | -0,3 | -0,8 | -0,1 |
| თურქმენეთი | 13,2 | -1,6 | -1,8 |
| ლატვია | -0,8 | -3,4 | -1,1 |
| ლიტვა | -0,5 | -3 | -1 |
| მოლდოვა | -26,2 | -5,5 | -8,3 |
| მონღოლეთი | -12,7 | -11,1 | -10 |
| პოლონეთი | -8 | -2,7 | -1,6 |
| რუმინეთი | -4,6 | -2,5 | -1,2 |
| რუსეთი | -18,9 | -5 | -8 |
| საქართველო | -25,7 | -5,7 | -2** |
| სლოვაკეთი | -11,9 | -0,4 | -1 |
| სომხეთი | -31 | -9,9 | -11 |
| ტაჯიკეთი | -30,5 | -12 | -5 |
| უზბეკეთი | -12,2 | -4,2 | -4 |
| უკრაინა | -29,3 | -3,5 | -3 |
| უნგრეთი | -6,8 | -6,7 | -4,9 |
| ყაზახეთი | -7,3 | -3,3 | -2,8 |
| ყირგიზეთი | -17,4 | -10,4 | -12 |
| ჩეხეთი | -2,2 | -1,6 | -1,2 |

## სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლევადიანი და გრძელვადიანი დაუბალანსებლობის მიზეზები გარდამავალ ეკონომიკაში

ბიუჯეტის გრძელვადიანი დაუბალანსებლობა დაკავშირებულია წლების განმავლობაში სახელმწიფო ხარჯებსა და შემოსავლებს შორის გარღვევის ზრდა-

წყარო: World Economic Outlook, May 1996, p.78; World Economic Outlook, October 1996, p.29; IMF Survey, September 23, 1995, p.297.
* აღნიშნული წლისათვის მონაცემები აღებულია-IMF Survey, Jenuary 30, 2001, p. 12.
** აღნიშნული წლისათვის, საქართველოს ეს მონაცემი გულისხმობს ბიუჯეტის სეკვესტრის შემდგომ შესრულებას.

სთან. დაუბალანსებლობა მოკლევადიანი ხასიათისაა, თუ ბიუჯეტის გარღვევის ზრდა იზღუდება 1 ფინანსური წლით, რაც ბიუჯეტის შედგენის პერიოდში მაკროეკონომიკური სიტუაციის ცვლილებების ამსახველია.

[redacted]

ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა იმ ქვეყნებშია მნიშვნელოვანი, სადაც სახელმწიფო ხარჯების სულ უფრო დიდი წილი თავდაცვის მრეწველობის ან სახელმწიფო ვალის მომსახურებას ხმარდება. ჩვენი ქვეყნისათვის, რა თქმა უნდა, ნიშანდობლივია მეორე მომენტი.

სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკათა შეუსაბამობის ფონზე ბიუჯეტურ-საგადასახადო სფეროში დაუბალანსებლობა დამახასიათებელია ყველა ტიპის ქვეყნისათვის. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში გრძელვადიანი პერიოდისათვის იზრდება როგორც სახელმწიფო ხარჯები, ისე ბიუჯეტური შემოსავლები. მაგრამ თუ წარსულში სახელმწიფო შემოსავლები არ ჩამოუვარდებოდნენ ხარჯებს (მათი შედარებითი „პარალელური დინამიკა" II მსოფლიო ომიდან 70-ან წლების შუა პერიოდამდე შენარჩუნდა), უკანასკნელი წლების განმავლობაში სახელმწიფო ხარჯები სისტემატურად ჭარბობდა შემოსავლებს, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ვალის ზრდას. ამ ქვეყნებში 1960 წლიდან 1995 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წილი მშპ-ში საშუალოდ 28%-დან 44%-მდე გაიზარდა, თანაც ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, დანია, ფინეთი, შვეცია და ა.შ.) ეს მაჩვენებელი აჭარბებდა 50%-ს. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ეს მაჩვენებელი ტრადიციულად დაბალი იყო (აშშ, იაპონია, ავსტრალია), განსახილველ პერიოდში ის 1960 წელს არსებული 18%-დან 25%-მდე 1995 წლისათვის 30%-დან 35%-მდე გაიზარდა. იმავდროულად მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილი მკვეთრად გაიზარდა, კერძოდ: 1960 წელს არსებული 28%-დან 50%-მდე 1995 წლისათვის, თანაც შვეციაში ამ მაჩვენებელმა მშპ-ს 69% შეადგინა, ხოლო ბელგიაში, იტალიაში, ჰოლანდიასა და საფრანგეთში-დაახლოებით მშპ-ს 55%.[9]

პრაქტიკულად, ყველა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკაში მზარდი დაუბალანსებლობა მშპ-ში სახელმწიფო ვალის ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდის მიზეზი გახდა. 1980 წლიდან 1995 წლამდე პერიოდში ეს მაჩვენებელი საშუალოდ მშპ-ს 40%-დან 70%-მდე გაიზარდა. უმრავლეს ქვეყნებში, კერძოდ: ბელგიაში, გერმანიაში, იტალიაში, კანადაში, ჰოლანდიაში, აშშ-ში, საფრანგეთში, შვეციასა და იაპონიაში მშპ-ში სახელმწიფო ვალის წილი პრაქტიკულად გაორმაგდა, თანაც ბელგიაში, კანადასა და იტალიაში ამ მაჩვენებელმა 100%-ს გადააჭარბა.[10]

ცხრილი №4-ის თანახმად, მიუხედავად გარდამავალი ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყანაში (ჩეხეთი, ესტონეთი) უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ხარჯების წილის საყოველთაო შემცირებასთან ერთად ბიუჯეტის შემოსავლების შეფარდებითი ზრდისა, მაინც ყველგან (გარდა პოლონეთისა) ადგილი აქვს მშპ-ში ბიუჯეტური შემოსავლების ხვედრითი წილის შემცირებას რეფორმამდელ 1989 წლის დონესთან შედარებით.

ბიუჯეტის მოკლევადიანი დაუბალანსებლობა წარმოიქმნება შემოსავლების ნებისმიერი მკვეთრი შემცირების შედეგად თავდაპირველად დაგეგმილი ბიუჯეტის ხარჯების მიმართ. ეს ხდება, ძირითადად, გარემოებათა შესაძლებელი ცვლილებების არასაკმარისად გათვალისწინების გამო, მით უფრო გარდამავალ ეკონომიკაში, სადაც არ არსებობს მაკროეკონომიკური პროგნოზირების სათანადო გამოცდილება. სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების შემცირება შეიძლება მოხდეს: საექსპორტო ფასების დაცემის შედეგად; გათვალისწინებულ დონესთან შედარებით წარმოების მოცულობის შემცირებით; ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციაში მოთხოვნის სტრუქტურის ცვალებადობით და მისი კონკურენტუნარიანობის შემცირებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინფლაციის შედეგად სახელმწიფო ხარჯების მოულოდნელად მაღალი ზრდის გამო, ასევე ტრანსფერტული გადასახდელების გაფართოვებით საგადასახადო შეღავათების შემოღებასთან ერთად, რაც ერთობ პოპულარული მაკროეკონომიკური პოლიტიკაა არჩევნების წინ. პოლიტიკური ბიზნეს-ციკლის ზემოქმედება ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის მაჩვენებელთა დინამიკაზე მნიშვნელოვნად გაძლიერდა უკანასკნელ წლებში როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ, ისე გარდამავალ ეკონომიკაში.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საგადასახადო შემოსავლების შემცირება (ცხრილი №4) და ამ მიზეზით ბიუჯეტური დაძაბულობის ზრდა უფრო მწვავე ხასიათს ატარებს რამდენიმე სპეციფიკური გარემოების გამო:

1. გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შემცირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ეკონომიკის ტრადიციულ სექტორებში წარმოების დაცემა. რეფორმამდელ პერიოდში

9. იხ. Л.М. Албегова, Р.Г. Емцова, А.В. Холопов, - Государственная экономическая политика, МГУ, 1998, гв.77.
10. იხ. World Economic Outlook, May 1996, p. 45-46.





გადასახადებით დაბეგვრის ძირითად ბაზას შეადგენდა სახელმწიფო საწარმოთა მოგება (თუმცა ამოღების მექანიზმი არასაგადასახადო ხასიათისა იყო), სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხელფასი და საცალო ვაჭრობა, რომელიც ძირითადად სახელმწიფო ობიექტთა მეშვეობით ფუნქციონირებდა. ამ სექტორებში წარმოების მოცულობის მკვეთრმა შემცირებამ გადასახადის ძირითადი სახეების მიხედვით (საწარმოს მოგებაზე და ხელფასზე გადასახადების, დამატებული ღირებულების გადასახადის და სხვა არაპირდაპირი გადასახადების სახით) სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საერთო რაოდენობაში უკიდურესად უმნიშვნელო აღმოჩნდა არასახელმწიფო სექტორის წილი, თუმცა გარდამავალი ეკონომიკის უმრავლეს ქვეყანაში სწორედ ამ სექტორშია თავმოყრილი წარმოების საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი რაოდენობა. მთლიანობაში, არასახელმწიფო სექტორის საწარმოთა უმრავლესობა მოუცველია საგადასახადო ქსელით, ძირითადად მთავრობის საგადასახადო პოლიტიკისა და გადასახადების ამოღების ორგანიზაციის სისუსტის გამო. კერძო სექტორის ბევრ სუბიექტს გააჩნია მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები ან საერთოდ განთავისუფლებულნი არიან გადასახადების გადახდისაგან, ვინაიდან თავიანთი არსებობის პირველ წლებში ისინი არ ხასიათდებიან საკმაო რენტაბელურობით და სახელმწიფოს ქმედით აქტიურ მხარდაჭერას საჭიროებენ. ასეთი შეღავათები ყოველთვის ვერ ჩაითვლება ეკონომიკურად გამართლებულად.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მშპ-ში სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების ხვედრითი წილი

ცხრილი №4

| ქვეყნები | 1992 | | 1996 | | 2000* | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | შემოსა-ვლები | ხარ-ჯები | შემოსა-ვლები | ხარ-ჯები | შემოსა-ვლები | ხარ-ჯები |
| ბულგარეთი | 38,3 | 53,4 | 38 | 45 | 39 | 46 |
| ესტონეთი | 34,5 | 34,6 | 41,2 | 39,9 | 43 | 41 |
| პოლონეთი | 44 | 50 | 46,7 | 48,7 | 47 | 49 |
| რუმინეთი | 37,6 | 42,2 | 31,4 | 32,4 | 37 | 39 |
| რუსეთი | 16,7 | 27,8 | 10,5 | 21,6 | 15 | 28 |
| საქართველო | 12 | 27 | 14 | 16,2 | 13 | 14 |
| სომხეთი | 26,7 | 45 | 27,6 | 44 | 28 | 38 |
| უნგრეთი | 53,9 | 60,7 | 53,3 | 62 | 55 | 59 |
| ჩეხეთი | 48,3 | 47,5 | 51,2 | 50,7 | 51,5 | 53,2 |

3. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირების ტენდენცია განპირობებულია აგრეთვე გარდამავალ ეკონომიკაში საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებებით. მაგალითად, ბრუნვის გადასახადიდან დამატებული ღირებულების გადასახადებზე და აქციზებზე მკვეთრმა გადასვლამ ბიუჯეტის შემოსავლებში გაუთვალისწინებელი წმინდა დანაკარგები გამოიწვია. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და საზღვრებზე საბაჟო კონტროლის არაეფექტიანობის გამო შემცირდა ვაჭრობიდან საბაჟო შემოსავლები.

4. გარდამავალ ეკონომიკაში საგადასახადო შემოსავლების შემცირების გამო ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შეღავათების შემოღების მრავალრიცხოვანი შემთხვევა და გადასახადის გადახდისაგან განთავისუფლება. მაგალითად, საქართველოში 1997 წელს ე.წ. საგადასახადო ამნისტიის შემოღებამ და საწარმოთა საგადასახადო ვალდებულებათა ჩამოწერამ უარყოფითად იმოქმედა საერთო საგადასახადო დისციპლინაზე და ბევრად განაპირობა ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის ზრდა. ხშირად, გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს არ ჰყოფნით გამბედაობა მკაცრი ბიუჯეტური შეზღუდვების შემოღებისათვის და ისინი ეძებენ პოლიტიკურ მხარდაჭერას როგორც დარგობრივი ლობების, ასევე რეგიონალური ელიტების, უცხოელი ინვესტორებისა და მოსახლეობის სოციალურად სუსტი ფენების მხრიდან. უკანასკნელ შემთხვევაში მთავრობა ცდილობს გამოიყენოს საგადასახადო შეღავათები, როგორც მოსახლეობის სოციალური დაცვის სისტემის ალტერნატივა, რაც ეკონომიკურად არამიზანშეწონილია.

5. გადასახადების აკრეფის ორგანიზაციის სფეროში პრაქტიკულად ყველა გარდამავალი ეკონომიკა წააწყდა სერიოზულ პრობლემებს. საბაზრო ეკონომიკის გადასვლის პირობებში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა გადასახადების ამოღების თანამედროვე ორგანიზაციის დანერგვამ. გარდამავალ ეკონომიკათა უმრავლესობას სერიოზული სირთულეები შეექმნა საგადასახადო ადმინისტრაციის ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაში, ესენია: გადასახადის გადამხდელთა იდენტიფიცირება; საგადასახადო დეკლარაციის შეტანისა და გადასახადთა გადახდის წესის შემუშავება; გადასახადის ამოღების ორგანიზაცია და გადასახადის გადამხდელთა გათვითცნობიერება; საგადასახადო ვალდებულებათა დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები საგადასახადო ინსპექტორთა დაბალ ხელფასთან ერთად კორუფციისათვის და გადასახადის გადახდისაგან მასობრივად თავის არიდებისათვის ნოყიერი ნიადაგია;

6. გარდამავალი ეკონომიკის მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, განსაკუთრებით საქართველოში) რეგიონებთან ურთიერთობაში არსებულმა სირთულეებმა,

წყარო: იხ. World Economic Outlook, May 1996, pp. 80-81.
* ამ წლის მონაცემები აღებულია- IMF Survey, Jenuary 30, 2001.

რომელიც დეცენტრალიზაციის ტენდენციითაა გამოწვეული, წარმოშვა გაუთავებელი კამათი საგადასახადო შემოსავალთა განაწილების თვალსაზრისით. შედეგად, მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ან აჭიანურებენ თანხების გადარიცხვას ქვეყნის ცენტრალურ ბიუჯეტში, ან ანხორციელებენ მის გადარიცხვას არასაკმარისი ოდენობით. გარდა ამისა, საერთო პოლიტიკური არასტაბილურობისა და რეფორმების ერთიანი სტრატეგიის არარსებობის გამო ჩამოყალიბდა ეკონომიკური ქცევის სპეციფიკური ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამინისტროების, მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და სახელმწიფო საწარმოთა სწრაფვა დაიტოვონ შემოსავლები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვას ექვემდებარებიან.

ყველა ამ ფაქტორთა მოქმედებამ 1989-94 წლებში აღმოსავლეთი ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებში მშპ-ში ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წილი საშუალოდ 16%-ით შეამცირა. 1994 წელს მშპ-ში ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითმა წილმა ამ ქვეყნების მიხედვით დაახლოებით 29% შეადგინა. ჩინეთში, მიუხედავად სწრაფი ეკონომიკური ზრდისა, ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა 1987 წელს არსებული 34%-დან 17%-მდე 1995 წლისათვის.[11]

დსთ-ს ქვეყნებში მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტის ხვედრითი წილი საშუალოდ 1991 წელს არსებული 33,1%-დან 1996 წლისათვის 24,9%-მდე შემცირდა. საქართველოში 2000 წლისათვის აღნიშნულმა წილმა .3% შეადგინა, რაც ერთობ მცირე მაჩვენებელია თვით დსთ-ს ქვეყნების მასშტაბითაც კი.[12]

ამავე დროს, გარდამავალ ეკონომიკაში ძალიან ნელა მიმდინარეობს მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილის შემცირება ძირითადად სტრუქტურულ რეფორმათა დაფინანსებაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ხარჯების გაწევის გამო. ამ შემთხვევაში, მხოლოდ ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა უზრუნველყვეს მიეღწიათ სახელმწიფო ხარჯების მაღალი დონისათვის ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების შეფარდებითი ზრდის ხარჯზე.[13] მაგრამ, ლვით ამ ქვეყნებში გადასახადებით დაბეგვრის სისტემა არასაკმარისად ეფექტიანია, ხოლო გადასახადების შედარებით მაღალი განაკვეთი მძიმე ტვირთად აწვება წარმოების ახალ კერძო სექტორს, რაც „ჩრდილოვანი" ეკონომიკის გარდაუვალ ზრდას იწვევს.[14]

გრძელვადიან პერსპექტივაში ამ ქვეყნებში საგადასახადო ანარიცხები, რომლებიც მშპ-ს თითქმის ნახევარია, შეიძლება არასასურველი გამოდგეს. უფრო მეტიც, მასობრივი სახელმწიფო ტრანსფერტების პროგრამასთან მისი შეხამება შეაფერხებს ეროვნული დაზოგვის დონის ზრდას, რაც მნიშვნელოვნად შეზღუდავს გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას.

### სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების საშუალებები და მათი მაკროეკონომიკური შედეგები გარდამავალ ეკონომიკაში

ეკონომიკაზე ბიუჯეტის დეფიციტის გავლენა ძირითადად მისი დაფინანსების საშუალებებით განისაზღვრება. დაფინანსების საშუალებათა ანალიზური კლასიფიკაცია შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი - შიდა და საგარეო, ნებაყოფლობითი და სავალდებულო, საბანკო და არასაბანკო, ინფლაციური და არაინფლაციური. ეს უკანასკნელი ყველაზე მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური თვალსაზრისით, ვინაიდან როგორც ინდუსტრიულად განვითარებული, ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების არც ერთი საშუალება არ არის ბოლომდე არაინფლაციური და არ გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა სხვა დანარჩენთა მიმართ.

ყველა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანა რეფორმათა განხორციელების გზაზე წააწყდა ბიუჯეტის დეფიციტის სწრაფი ზრდის პრობლემას. მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზნობრივი ორიენტირის შეცვლამ და მთავრობისა და ცენტრალური ბანკის ეკონომიკური ფუნქციების ევოლუციამ მოითხოვა ბიუჯეტის დაფინანსების წყაროების რიცხვის გაფართოება, რომელთა საშუალებები და შედეგები ანალოგიურია საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა. ამიტომ, გარდამავალ ეკონომიკაში ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავებისას აუცილებელია შეფასდეს ინფლაციის დონის დინამიკის მოსალოდნელი შედეგები, „გამოდევნის ეფექტის" სიდიდე და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების შემდეგი ძირითადი ვარიანტების შეჯერების დროს:

- ✓ფულად-საკრედიტო ემისია (მონეტიზაცია);
- ✓სავალო დაფინანსება (შიდა და საგარეო);
- ✓საგადასახადო შემოსავლების ზრდა (ასევე პრივატიზაციისაგან შემოსავლები, თუმც ეს ვარიანტი სცილდება ვიწრო გაგებით ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ფარგლებს).

[illegible]

11. იხ. From Plan to Market. World Development Report 1996. pp.118-119.
12. იხ. "IMF Survey", 1995, p. 26.
13. იხ. "IMF Survey", Sept. 23, 1996, p. 297.
14. იხ. From Plan to Market. World Development Report 1996. pp.116-122.





### ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაცია

დეფიციტის მონეტიზაციის შემთხვევაში (შიდა სავალო დაფინანსება) ხშირად წარმოიშობა სენიორაჟი-სახელმწიფოს შემოსავალი ფულის ბეჭდვის გზით. სენიორაჟი რეალური მშპ-ს ზრდის ტემპზე ფულადი მასის ზრდის ტემპის გადამეტების შედეგია, რაც ზრდის ფასების საშუალო დონეს. შედეგად, ყველა ეკონომიკური აგენტი იხდის თავისებურ ინფლაციურ გადასახადს, რომლის შედეგადაც მათი შემოსავლის ნაწილი გადანაწილდება სახელმწიფოს სასარგებლოდ გაზრდილი ფასების მეშვეობით.

ინფლაციის დონის ზრდის პირობებში წარმოიქმნება ე.წ. „ტანზის ეფექტი" - გადასახადის გადამხდელთა მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო თანხის შეტანის ვადის შეგნებულად გაჭიანურება, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკისათვის. ასეთი „გაჭიანურების" განმავლობაში ხდება ფულის გაუფასურება, რომლის შედეგადაც იგებს გადამხდელი. საბოლოოდ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება გაიზარდოს. ამავე დროს, ფულადმა ექსპანსიამ შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო შემოსავლების წილის შემცირება და ბიუჯეტური დეფიციტის ზრდა სხვა მიზეზითაც, კერძოდ, ზოგიერთი გარდამავალი ეკონომიკის სპეციალურ გადასახადებზე (აქციზები, საიმპორტო ბაჟი) ძლიერი დამოკიდებულებისა და საშემოსავლო და სხვა გადასახადების შეგროვებას შორის დიდი ლაგის არსებობის შედეგად. ინფლაციის მაღალი ტემპების დროს არსებით მნიშვნელობას იძენს ვალუტის გაცვლითი კურსის შემცირების ტენდენცია, რაც გავლენას ახდენს იმპორტის დაბეგვრით მიღებულ შემოსავალზე.

ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაცია ინფლაციის მით უთრო ნაკლებ ზრდას იწვევს, რაც უფრო ღიაა ეკონომიკა და რაც უფრო მეტი სავალუტო რეზერვების ხარჯვა შეუძლია ცენტრალურ ბანკს ეროვნული ვალუტის შედარებით ფიქსირებული სავალუტო კურსისა და საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის აღდგენის მხარდასაჭერად.

ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაციის შედეგად ინფლაციის ზრდის ტემპი უფრო მეტია მოქნილი სავალუტო კურსის რეჟიმის დროს, თუმცა ოფიციალური სავალუტო რეზერვების ხარჯები ამ დროს მცირდება. ინფლაციის საკმაოდ დიდი ზრდა მოსალოდნელია სავალუტო კურსის აბსოლუტურად თავისუფალი რხევის პირობებში, რაც აღადგენს წონასწორობას ფულად ბაზარზე. ამ დროს ცენტრალური ბანკის ოფიციალური სავალუტო რეზერვების დონე პრაქტიკულად უცვლელი რჩება.

ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაციის ნეგატიური ინფლაციური შედეგები შეიძლება შერბილდეს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკით. თუ ცენტრალური ბანკი კომერციული ბანკების საკრედიტო შესაძლებლობებს ამცირებს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების მიზნით სახელმწიფო სექტორისადმი კრედიტების გაფართოვებასთან ერთად, მაშინ შიდა სარგებლის განაკვეთი გაიზრდება, რაც დაამუხრუჭებს ეკონომიკურ აქტივობას. რაც უფრო ძლიერია კერძო ინვესტიციათა და წმინდა ექსპორტის „გამოდევნა", მით უფრო ნაკლებია ინფლაციის ნეგატიური ზემოქმედება საგადამხდელო ბალანსზე.

საერთოდ, გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაცია, ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში გამოიყენება, როცა სახეზეა მნიშვნელოვანი საგარეო ვალი, რაც გამორიცხავს უცხოური წყაროებიდან შეღავათიან დაფინანსებას, ხოლო შიდა დაფინანსების წყარო პრაქტიკულად ამოწურულია. დაფინანსების ეს გზა მიზანშეწონილია, თუ ცენტრალური ბანკის ოფიციალური სავალუტო რეზერვი მწირია, ხოლო ბიუჯეტის ბალანსის რეგულირება რჩება პირველხარისხოვან ამოცანად, თანაც იგულისხმება, რომ ეკონომიკა აიტანს მაღალ ინფლაციას. თუ მთავრობა აირჩევს ბიუჯეტის დაფინანსების ემისიურ გზას, მაშინ ცენტრალური ბანკი ამას უნდა უხამებდეს კერძო სექტორისადმი საკრედიტო შეზღუდვას შესაბამისი ლიმიტების შემოღებით. ამ ლიმიტების გარეშე წარმოიქმნება საკრედიტო ბაზრიდან კერძო სექტორის სრულად განდევნისა და საინვესტიციო აქტივობის მკვეთრად დაცემის რისკი.

### შიდა სავალო დაფინანსება

კერძო ინვესტიციების ზემოთ ნახსენები „გამოდევნის ეფექტი" (რომელიც შედეგია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მონეტიზაციასთან ცენტრალური ბანკის მიერ ფულადი მასის ზრდის მიზანმიმართული აქტიური შეზღუდვის შეხამებისა), როგორც ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინანსების შედეგი თვით ფულის სტაბილურად მიწოდების დროსაც წარმოიქმნება. თუ მთავრობა გამოუშვებს სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს, მაშინ საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნა გაიზრდება, რაც სტაბილური ფულადი მასის დროს სარგებლის საშუალო საბაზრო განაკვეთის ზრდას გამოიწვევს. თუ სარგებლის განაკვეთი თავისუფლად შეიცვლება, მაშინ ამ უკანასკნელის ზრდა კერძო სექტორისაგან საბანკო კრედიტების მოზიდვის თვალსაზრისით შეიძლება სავსებით საკმარისი აღმოჩნდეს. ყოველივე ამის შედეგად, უეჭველად შემცირდება ინვესტიციები, წმინდა ექსპორტი და ნაწილობრივ - სამომხმარებლო ხარჯებიც, რაც, სხვა არაფერია, თუ არა, „გამოდევნის ეფექტი", რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად დაქვეითდება ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკის მასტიმულირებელი პოტენციალი.

თუ კაპიტალის შიდა ბაზარი სუსტადაა განვითარებული, სარგებლის განაკვეთი შედარებით ფიქსირებული იქნება და მოსახლეობაში ობლიგაციების განთავსების შესაძლებლობა-მინიმალური, რაც ტიპიურია მრავალი გარდამავალი ეკონომიკისათვის. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის შიგნით განვითარებადმა კერძო სექტორმა შეიძლება გამოავლინოს მაღალი მოთხოვნა უცხოურ აქტივებზე, რაც უთუოდ დაარღვევს საგადამხდელო ბალანსის წონასწორობას კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის მიხედვით. უფრო მეტიც, თუ მთავრობა განიზრახავს დააფინანსოს ბიუჯეტის

დეფიციტის მნიშვნელოვანი ნაწილი ობლიგაციების გაყიდვის გზით, მაშინ ის ვერ შეძლებს ერთდროულად გაატაროს მკაცრი ანტიინფლაციური პოლიტიკა. ობლიგაციაზე მოთხოვნა მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუ მისგან შემოსავლის დონე იქნება საკმარისად მიმზიდველი. თუ ეს უკანასკნელი იქნება მცირე, მაშინ ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინანსების შესაძლებლობაც ნაკლები იქნება მიუხედევად კაპიტალის შიდა ბაზრის განვითარების დონისა. ამ შემთხვევაში, ეკონომიკური აგენტები შეეცდებიან შეიძინონ არა სეხელმწიფო ობლიგაციები, არამედ საქონლები ან დააბანდონ თავიანთი ფინანსური სახსრები საზღვარგარეთ, რითაც კიდევ უფრო შეიზღუდება მთავრობის შესაძლებლობა დააფინანსოს ბიუჯეტის დეფიციტი შიდა არასაბანკო წყაროებიდან და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაც გაუარეს-დება. ეს დისპროპორცია შეიძლება გაძლიერდეს ეროვნული ვალუტის დევალვაციის ლოდინის გამოც

**ობლიგაციაზე მოთხოვნა მხოლოდ მაშინ იარსებებს, თუ მისგან შემოსავლის დონე იქნება საკმარისად მიმზიდველი.**

(განსაკუთრებით მთავრობისა და ცენტრალური ბანკის პოლიტიკისადმი უნდობლობის შემთხვევაში), რაც ხელს შეუწყობს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის წონასწო-რობის დარღვევას და შექმნის საგადამხდელო ბალან-სის კრიზისს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინანსება საგადამხდელო ბალანსზე გაცილებით ძლიერ ნეგა-ტიურ ზეგავლენას მოახდენს შედარებით სტაბილური შიდა სარგებლის განაკვეთის არსებობის დროს, ვიდრე მისი ზრდის შემთხვევაში, თუმცა ბოლო შემთხვევაში „გამოდევნის ეფექტის" მოქმე-დება უფრო მნიშვნელოვანია. კერძო ბიზნესის მხრიდან მოგე-ბის ზრდისადმი უფრო ოპტი-მისტური ლოდინის შემთხვე-ვაში აღნიშნული „გამოდევნის ეფექტი" შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად ლიკვი-დირებულ იქნას საინვესტიციო მოთხოვნის ზრდის გამო. ამგვარად, თუ არსებობს ნდობა მთავრობისა და ცენტრალური ბანკის პოლიტიკისადმი სახელმწიფო ბიუჯეტის შიდა სავალო დაფინანსებამ შეიძლება ერთდროულად გამოიწვიოს როგორც „გამოდევნის ეფექტი", ისე მისი ნაწილობრივი ან თუნდაც მთლიანი აღმოფხვრა. თუ მაგალითად, მთავრობა, რომელიც სარგებლობს ნდობით, ღებულობს ზომებს შეინარ-ჩუნოს სარგებლის განაკვეთი იპოთეკური და სხვა მიზნობრივი კრედიტების მიხედვით, მაშინ, როგორც ჩეხეთში განხორციელებული რეფორმის გამოცდილება გვიჩვენებს, შიდა სარგებლის განაკვეთი საშუალოდ უმნიშვნელოდ გაიზრდება და „გამოდევნის ეფექტის" პრობლემაც არ იქნება ესოდენ მწვავე. საერთოდ, გარდამავალ ეკონომიკაში რაც უფრო ნაკლებად ელასტიურია შიდა მიწოდება, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო მაღალია „გამოდევნის ეფექტის" რისკი.

ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინანსება ხშირად განიხილება, როგორც მონეტიზაციის ანტი-ინფლაციური ალტერნატივა. მაგრამ დაფინანსების ეს ხერხი კი არ ხსნის ინფლაციის ზრდის საშიშროებას, არამედ მხოლოდ გადაავადებს მას. თუ სახელმწიფო სესხის ობლიგაცია განთავსდება მოსახლეობასა და კომერციულ ბანკებში, მაშინ ინფლაციური ზეწოლა უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ცენტრალურ ბანკში მათი განთავსების შემთხვევაში. მაგრამ ამ უკანასკნელმა შეიძლება ეს ობლიგაციები შეისყიდოს ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე და ამგვარად, ხელი შეუწყოს ინფლაციური ზეწოლის გაძლიერებას. გარდა ამისა, სარგებლის მაღალი განაკვეთისა და სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვანი სიდიდის არსებობის შემთხვევაში დროდადრო ადგილი ექნება მშპ-ში სახელმწიფოს შიდა ვალის წილის მკვეთრ ზრდას, განსაკუთრებით ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების დროს. შიდა ვალის სიმძიმის ზრდა იწვევს მის მომსახურებაზე სახელ-მწიფო ხარჯების გადიდებას, რაც ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო დავალიანების თვითკვლავწარმოებას უწყობს ხელს. ეს სერიოზულად ზღუდავს ინფლაციის დონის სტაბილიზაციის შესაძლებლობას.

საერთოდ, გარდამავალ ეკონომიკაში ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინანსება დაკავში-რებულია შედარებით ზომიერ დანაკარგებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა:

✓ ფინანსური რესურსების შიდა მიწოდება შედარებით ელასტიურია;

✓ საგარეო სავალო დაფინანსება შედარებით ძვირია ან შეზღუდულია საგარეო დავალიანებათა სიმძიმის გამო, მაშინ, როცა არსებული შიდა დავალიანება უმნიშვნელოა;

**ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინან-სების ხერხი კი არ ხსნის ინფლაციის ზრდის საშიშროებას, არამედ მხოლოდ გადაავადებს მას.**

✓ გარდამავალი პერიოდის თანდაყოლილმა ინფლაციამ მიაღწია მაღალ ტემპებს ან სამომავლოდ გარდაუვალია.

საგარეო სავალო დაფინანსება

ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო შეღავათიანი დაფინანსება (მაგალითად, უცხოეთიდან უსასყიდლო სუბსიდიის ან შეღავათიანი სესხის მიღება დაბალი განაკვეთით და დაფარვის ხანგრძლივი ვადით) უფრო მიმზიდველია, ვინაიდან ამ შემთხვევაში დეფიციტი არათუ ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს ეკონომიკაზე, არამედ შეუძლია დიდი სარგებლის მოტანა, თუ მსგავსი დაფინანსება დაუკავშირდება რესურსების საწარმოო გამოყენებას. ხშირად, გარდამავალ ეკონომიკაში შეღა-ვათიანი დაფინანსების შესაძლებლობა ან შეზღუდულია მნიშვნელოვანი საგარეო დავალიანების გამო, ან გამოი-ყენება მთავრობის მიერ უპირატესად არასაწარმოო





მიზნებისათვის - სამომხმარებლო დოტაციის, პენსიების გაცემის, სახელმწიფო აპარატის გაზრდისა და სხვა ასეთი მიზნებისათვის. დაფარვის გარანტირებული შიდა წყაროების არარსებობის დროს ასეთი დამატებითი ბიუჯეტური ხარჯები შეუძლებელია სწრაფად შემცირდეს საგარეო სუბსიდირების შეწყვეტის შემთხვევაში, რაც აძლიერებს ბიუჯეტურ-საგადასახადო სფეროში საერთო დაძაბულობას.

ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო სავალო დაფინან-სების გამოყენება უფრო ეფექტიანია, როცა შიდა სარგებლის განაკვეთის დონე გადააჭარბებს საშუალო მსოფლიო დონეს და იმავდროულად შესაძლებელია სავალუტო კურსის შედარებითი სტაბილიზაციაც. შიდა სარგებლის განაკვეთი განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როცა მთავრობის სტიმულირებადი ფისკალური პოლიტიკა თანდაყოლილია ცენტრალური ბანკის მიერ ინფლაციის შემცირების მიზნით ფულის მიწოდების შეზღუდვით. ამ პირობებში, მოცემული ქვეყნის ფასიან ქაღალდებზე გაიზრდება მოთხოვნა უცხოელების მხრიდან, რასაც მოჰყვება კაპიტალის მოზიდვა.

სამამულო ფასიან ქაღალდებზე გაზრდილი უცხოური მოთხოვნა ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის ზრდასაც გულისხმობს. შედეგად, ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსი გამოავლენს ზრდის ტენდენციას, რაც უარყოფითად იმოქმედებს ექსპორტზე და ხელს შეუწყობს იმპორტის ზრდას. თუ ვერ მოხერხდა სავა-ლუტო კურსის შენარჩუნება შედარებით სტაბილურ დონეზე, მაშინ წმინდა ექსპორტის შემცირება შეაფერხებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას:

**ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო სავალო დაფი-ნანსების გამოყენება უფრო ეფექტურია, როცა შიდა სარგებლის განაკვეთის დონე გადაა-ჭარბებს საშუალო მსოფლიო დონეს, იმავ-დროულად შესაძლებელია სავალუტო კურსის შედარებითი სტაბილიზაციაც.**

საექსპორტო და იმპორტის შემცვლელ დარგებში შემცირდება გამოშვება და დასაქმება. ამიტომ, ბიუჯეტის დეფიციტის საწყისი სტიმულირებადი ზემოქმედება შეიძლება შესუსტდეს არა მარტო „გამოდევნის ეფექტის" მოქმედებით, არამედ უარყო-ფითი „წმინდა ექსპორტის" გამოც, რომელიც გააუა-რესებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის მიხე-დვით. მაგრამ, ამასთან ერთ-დროულად კაპიტალის მოდი-ნება შეამცირებს შიდა სარგე-ბლის განაკვეთს, რაც შებოჭავს „გამოდევნის ეფექტის" მოქმე-დებას, თუმცა საგარეო დავალიანება მაინც გაიზრდება.

**თუ ვერ მოხერხდა სავალუტო კურსის შენარ-ჩუნება შედარებით სტაბილურ დონეზე, მაშინ წმინდა ექსპორტის შემცირება შეაფერხებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.**

საგადამხდელო ბალანსისა და საგარეო დავალია-ნების კრიზისები შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვე-ვაში, როცა მთავრობა ადიდებს საგარეო ვალს უცხოური სესხების ხარჯზე და რომელთა სიდიდე მნიშვნელოვნად აღემატება მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის დეფიციტს. თუ ეს სასესხო საშუალებები გამოიყენება არამომგებიანი საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად, არამედ სხვადასხვა სახის სუბსი-დირებისათვის ან სხვა ქვეყნებში აქტივების შესაძენად, მაშინ უცხოური სასესხო რესურსები გამოყენებული იქნება ქვეყნიდან კერძო კაპიტალის გაჟონვის დასაფინანსებლად, რაც გავრცელებული პრაქტიკაა.

საგარეო სავალო დაფინანსების ანალოგიური ნეგატიური შედეგები წარმოიშობა მაშინ, როცა: საგარეო სესხებზე სარგებელი იმდენად დიდია, რომ ნებისმიერი პროექტი არაეფექტიანი ხდება; როდესაც გრძელვადიანი პროექტები ფინანსდება მოკლევადიანი სესხებით და როდესაც ეკონომიკური აგენტები ელოდებიან ეროვნული ვალუტის შემდგომ დევალვა-ციას. ეროვნული ვალუტის გაცვლის კურსის ამაღლების პრაქტიკას ახასიათებს მის სამომავლო დევალვაციაზე სპეკულაციის არსებობა. ასეთი სპეკულაცია ხშირად სწრაფად ზრდადი იმპორტის ფორმას იღებს, რაც ხელს უწყობს საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშის გაუარესებას. შედეგად, ქვეყანაში საზღვარგარეთიდან კაპიტალის საერთო მოდინება ოფიციალური სახელმწიფო შემოსავლების ფორმით შეიძლება გადაიფაროს მისი საერთო გადინებით, რომელიც ე.წ. „კაპიტალის გაქცევის" ფორმას იღებს.

ამგვარად, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საგარეო წყაროების გამოყენების მეშვეობით ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინანსების შემცირებისკენაა მიმართული, მხოლოდ გარკვეულ პირობებში შეძლებს აღადგინოს საგადამხდელო ბალან-სის საერთო წონასწორობა მო-კლევადიანი პერიოდისათვის, მაგრამ ნამდვილად ვერ უზრუნ-ველყოფს მიმდინარე ოპერა-ციათა ანგარიშის დეფიციტის თავიდან აცილებას. უფრო მე-ტიც, ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო სავალო დაფინანსება გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის საგარეო ვალს რის გამოც მისი მომსახურების პრობლემა უფრო აქტუალური ხდება.

ამასთან, ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო დაფინანსება ნაკლებად ინფლაციურია, ვიდრე მისი მონეტიზაცია, ვინაიდან შიდა ბაზარზე საქონლის მიწოდება იმ ზომით იზრდება, რა ზომითაც საგარეო სესხი უზრუნველყოფს იმპორტის გაფართოვებას. ამ დროს, რაც უფრო ღიაა გარდამავალი ეკონომიკა და რაც უფრო მკაცრია მისი სავალუტო კურსი, მით უფრო ნაკლებად ინფლაციურია საგარეო სავალო დაფინანსება, მაგრამ უფრო )ლიერია მისი ნეგატიური ზემოქმედება საგადამხდელო ბალანსზე.

შესაბამისად, გარდამავალი ეკონომიკისათვის

ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად საგარეო წყაროებიდან საშუალებების მოზიდვა შეიძლება შედარებით ხელსაყრელი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში, როდესაც:

**ბიუჯეტის დეფიციტის საგარეო დაფინანსება ნაკლებად ინფლაციურია, ვიდრე მისი მონეტიზაცია ვინაიდან შიდა ბაზარზე საქონლის მიწოდება იმ ზომით იზრდება, რა ზომითაც საგარეო სესხი უზრუნველყოფს იმპორტის გაფართოებას.**

✓ შესაძლებელია კონცესიური დაფინანსება (კონცესიური დაფინანსება როგორც საგარეო ვალის რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთი მექანიზმი, გულისხმობს უცხოური ბანკებისათვის შესაძლებლობის მიცემას გადაცვალონ მოცემული ქვეყნის სავალო ვალდებულებები ამ ქვეყნის სამრეწველო კორპორაციების აქციებზე. ამ დროს უცხოელ ინვესტორებს ეძლევათ შესაძლებლობა მოახდინონ ამ სავალო ვალდებულებების გადაყიდვა ფასიანი ქაღალდების მეორად ბაზარზე ფასჩამოკლებით, ოღონდ იმ პირობით, თუ ისინი განახორციელებენ მოცემული ქვეყნის ეკონომიკაში პირდაპირ ინვესტიციებს ან ამ სახსრებით შეიძენენ ამ ქვეყნის ფინანსურ აქტივებს. ყველა შემთხვევაში, უცხოელი ინვესტორი ღებულობს „წილს" მოცემული ქვეყნის სააქციო კაპიტალში, ხოლო ამ ქვეყნის დავალიანება მცირდება) ;

✓ქვეყნის შიდა ბაზარზე იგრძნობა კაპიტალის დეფიციტი მოგების მაღალი ნორმის არსებობისას;

✓სავაჭრო ბალანსის სალდო შედარებით მისაღებია;

✓საგარეო ვალის საწყისი ზომა უმნიშვნელოა;

✓მაკროეკონომიკური პოლიტიკის პირველი რიგის ამოცანაა სავარაუდო ინფლაციის შემცირება.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების პრიორიტეტული საშუალებების არჩევის შესაძლებლობა განსხვავებულია და შეზღუდული. ბიუჯეტის უპირატესად არაინფლაციური სტაბილიზაციის შესაძლებლობები, როგორც წესი, უმნიშვნელოა და დაფინანსება ხორციელდება ცენტრალური ბანკის აქტიური მონაწილეობით. ამავე დროს, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჩეხეთი, სლოვაკეთი და სხვ., სადაც გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე არ შეიმჩნეოდა საბაზრო წონასწორობის მნიშვნელოვანი დარღვევა, ხოლო მთავრობას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი განეხორციელებინა რეფორმები და სარგებლობდა და ახლაც სარგებლობს მაღალი ნდობით, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ნებისმიერი წყაროდან ხდება ნაკლები დანაკარგებით, ვიდრე მაგალითად, ბულგარეთში, რუსეთში და დსთ-ს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც დაფინანსების შიდა და საგარეო წყაროების მწვავე უკმარისობა იგრძნობა.

## საქართველოში სახელმწიფო ვალის სიმძიმე

საქართველოს საერთო სახელმწიფო ვალის სიმძიმის ახლანდელი მაჩვენებელი, რომელიც ტოლია 66%-სა (4100 მლნ ლარი - 6200მლნ ლარი=0,66. აქედან, საგარეო დავალიანება აღწევს 3 მლრდ ლარს, ხოლო შიდა დავალიანება - 1,1 მლრდ ლარს; შესაბამისად, ამ დავალიანებათა ხვედრითი წილი მშპ-ში 48,4% და 21,2%-ა), შეიძლება შეფასდეს, როგორც საკმაოდ შემაშფოთებელი და ეკონომიკური განვითარებისათვის მეტად სახიფათო. საქართველოს აღნიშნული მაჩვენებელი საკმაოდ აღემატება სახელმწიფო ვალის იმ დასაშვებ ზღვარს, რომელიც ცნობილია მაასტრიხტის კრიტერიუმის სახით და რომლის თანახმადაც სახელმწიფო ვალის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს. თუმცა პრობლემის არსი მარტო ამით როდი იწურება. ბიუჯეტის დეფიციტის სავალო დაფინანსების შესაძლებლობის უფრო ზუსტი შეფასებისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფო ვალის საერთო მოცულობა შევუფარდოთ არა მარტო მშპ-ს, არამედ ფულადი მასის მოცულობას (M2 აგრეგატს). ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფო ვალის ნამდვილი სიმძიმე, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება სახელმწიფოს უნარით (ან უუნარობით) მოემსახუროს აღნიშნულ ვალს. ხოლო მთავრობის უნარი, მოახდინოს ნაღდი ფულადი რესურსების მობილიზება, მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ფულადი მასის სიდიდეზე, ვიდრე მშპ-ს რეალურ მოცულობაზე.

იმ პირობებში, როდესაც ეკონომიკის მონეტიზაციის მაჩვენებელი (რომელიც ტოლია M2 ფულადი მასის მოცულობასა და მშპ-ს შორის თანაფარდობისა), უახლოვდება ერთიანს, მაშინ სახელმწიფო ვალის მოცულობის თანაფარდობა მშპ-სთან და M2-თან თითქმის ანალოგიურია.

სურათი არსებითად იცვლება მაშინ, როცა ეროვნული ვალუტისადმი მცირე ნდობის გამო (მაგალითად, ადრე არსებული ინფლაციისა და განსაკუთრებით, რაც ჩვენი სინამდვილისთვისაა დამახასიათებელი, მოულოდნელი დევალვაციის გამო) ეკონომიკის მონეტიზაციის დონე დაბალია. ასეთ შემთხვევაში ვალის მოცულობა-M2 მაჩვენებელი გაცილებით მეტია, ვიდრე ვალის მოცულობა-მშპ-ზე. მაგალითად, ისლანდიაში, სადაც 70-80-ან წლებში შეიმჩნეოდა დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით ინფლაციის მაღალი დონე, ვალის ფარდობამ მშპ-სთან 55%, ხოლო M2-თან - 144,4% შეადგინა.

მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა დსთ-ს ქვეყნებში. რუსეთში, სადაც ინფლაციის გამო ეკონომიკის მონეტიზაცია ძალიან დაბალია, სახელმწიფო ვალის მშპ-სთან მიმართებაში 47%-ანი მაჩვენებლის მიუხედავად, ვალის თანაფარდობამ M2 ფულად მასასთან 1996 წლისათვის 378% შეადგინა. ბოლო მონაცემებით





რუსეთი 1,5-ჯერ უსწრებს საბერძნეთს - ქვეყანას, სადაც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის სახელმწიფო დავალიანების დონე საკმაოდ მაღალია და ვალის--M2-თან 261%-ს აღწევს.[15] ცხადია, ყოველივე ამასთან შედარებით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია. სახელმწიფო ვალის რეალური სიმძიმე, მიუხედავად რესტრუქტურიზაციისა, გაცილებით საგანგაშოა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. სახელმწიფო სესხები, რომლებიც ფაქტიურად სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლებსა და ხარჯებს შორის გარღვევის მაკომპენსირებელი საშუალებაა, სწრაფად გადაიქცნენ ხარჯების გაფართოების ფაქტორად: სახელმწიფო ხარჯების საერთო სიდიდე მარტო საგარეო ვალის მომსახურებისათვის ბიუჯეტის საერთო შემოსავლის ფაქტიური მაჩვენებლის მინიმუმ 21,3%-ია. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტის

**საქართველოს საერთო სახელმწიფო ვალის სიმძიმის მაჩვენებელი საკმაოდ აღემატება სახელმწიფო ვალის მაასტრიხტის კრიტერიუმის სახით ცნობილ დასაშვებ ზღვარს, რომლის თანახმადაც ვალის საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 60%-ს.**

ქრონიკული შეუსრულებლობის პრობლემას, არ არის გამორიცხული, რომ აღნიშნულმა მაჩვენებელმა კიდევ უფრო არასასურველი მასშტაბები შეიძინოს და პარიზის კლუბის წევრი ქვეყნების ვალის მომსახურება (რომელიც 2 წლის შემდეგ დაიწყება და 18 წელს გასტანს წლიური 4%-ანი სარგებლის განაკვეთით) გაუთვალისწინებელ შედეგებამდე მიგვიყვანს, თუ უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება საგადასახადო ბაზის ზრდა და დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულება. ამის განხორციელება კი მარტო ბიუჯეტის დეფიციტის სავალო დაფინანსების იმედად, რომელთა შეზღუდულობებზე ზემოთ ვისაუბრეთ, გამორიცხულია.

ამიტომ, სახელმწიფო ხარჯების დაფინანსების ძირითად საშუალებად უნდა იქცეს ბიუჯეტურ-საგადასახადო სფეროს რეფორმა და საგადასახადო შემოსავლების ზრდა წარმოების გამოცოცხლების ხარჯზე.

სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო ზრდის პრობლემა სცილდება ბიუჯეტის დეფიციტის საკუთრივ დაფინანსების ფარგლებს, ვინაიდან მისი გადაწყვეტა ხორციელდება გრძელვადიან პერსპექტივაში კომპლექსური საგადასახადო რეფორმების ბაზაზე, რომელიც მიმართულია განაკვეთების შემცირებაზე და საგადასახადო ბაზის გაფართოებაზე. მოკლევადიანი პერიოდისათვის საგადასახადო განაკვეთების შემცირებას თან ახლავს ჯერ - ერთი, ეკონომიკის ავტომატური სტაბილიზატორების ხარისხის შემცირება; მეორე, არასახელმწიფო სექტორის „გამოდევნის ეფექტის" ზრდა, რომელიც შეიძლება შედარებით შემცირდეს საგარეო დავალიანების ზრდის ხარჯზე; მესამე, ბიუჯეტის დეფიციტისა და მოთხოვნის ინფლაციის შესაძლებელი ზრდა საგადასახადო განაკვეთისა და ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების ერთდროული შემცირების გამო.

ამას გარდა, მთავრობისათვის საგადასახადო შემოსავლების ზრდა ვალის მომსახურების მიზნით სარგებლის გადასახდელად და მისი ძირითადი თანხის დასაფარავად საჭირო შემოსავლების მიღების ძირითადი საშუალებაა. იმისათვის, რათა დაცული იქნას ვალის მომსახურების გრაფიკი, მთავრობამ, ცხადია, გადასახადის სახით უნდა შეაგროვოს ის თანხა, რომელიც არანაკლები იქნება მომსახურების თანხის მოცულობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ვალის მომსახურების კოეფიციენტი მშპ-სთან მიმართებაში, სხვა თანაბარ პირობებში, საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ქვემოთა ზღვარია. იმის გამო, რომ მთავრობა გარდამავალ ეკონომიკაში ვალის მომსახურების გარდა აფინანსებს სოციალურ ტრანსფერებს და სტრუქტურული გარდაქმნის ხარჯებს, გადასახადებით დაბეგვრის დონე იმდენად მაღალი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შეიძლება ჩაახშოს ყოველგვარი სტიმულები შრომისადმი, ინვესტირებისა და ინოვაციისადმი. ამიტომ, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის აქტიური სავალო დაფინანსება ზღუდავს მთავრობის თავისუფლებას გაატაროს სტიმულირებადი ფისკალური პოლიტიკა.

სახელმწიფო ვალის მომსახურების ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე ნაკლებელასტიური მუხლია. რადგანაც სოციალური მიზნით გათვალისწინებული ტრანსფერებიც ნაკლებელასტიურია, სახელმწიფო ხარჯების სხვა მუხლების ზრდის ტემპების შეზღუდვა და მათი ეფექტიანობის ამაღლება ბიუჯეტურ-საგადასახადო სფეროში დაუბალანსებლობის გრძელვადიანი შემცირების წამყვანი ფაქტორია. კვაზიბიუჯეტური ოპერაციების შეწყვეტა და შესაბამისი ანგარიშების ჩართვა სახელმწიფო ბიუჯეტის სისტემაში მთავრობისა და ცენტრალური ბანკის ეკონომიკური პოლიტიკისადმი ნდობას აღადგენს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს თანდაყოლილი იქნება სახელმწიფო ხარჯების მართვის თვალსაზრისით საბაზრო ეკონომიკისათვის ადექვატური ინსტიტუციური სტრუქტურების შექმნით.

გარდამავალ ეკონომიკაში ფარული ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვიდრე ოფიციალური დეფიციტის მინიმიზაცია. კვაზიბიუჯეტური ოპერაციები სახელმწიფო ჩინოვნიკებისადმი ხელფასის დაუსაბუთებელი გაზრდისა და საბანკო კრედიტების გაფართოების

15. Илларионов А., Бремя государства - Вопросы экономики, 1996г. №9, с 8-13

ფორმით პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთსა და ბალტიის ქვეყნებში წარმატებით შეიზღუდა ერთი მხრივ, შემოსავალთა მკაცრი პოლიტიკისა და მეორეს მხრივ, საკრედიტო ლიმიტების დაწესების მეშვეობით. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიაში სამმხრივი კომისიის მიერ, რომელიც ჩამოყალიბდა 1990 წელს მთავრობის, პროფკავშირებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების წარმომადგენლებით, მკაცრად დაწესდა ხელფასის „ჭერი". 1991 წელს აღინიშნა ნომინალური ხელფასის 5%-ით ზრდა. თუ რომელიმე კვარტალში ინფლაცია გადააჭარბებდა 25%-ს, მაშინ ნომინალური ხელფასი შეიძლება უფრო მეტად გაზრდილიყო, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში გამართლებულად ითვლებოდა რეალური ხელფასის 12%-ით შემცირება. ხელფასის ინდექსაცია ცალმხრივი წესით მთავრობის მიერ 1991 წლის ივნისში გაუქმებულ იქნა, ასე რომ, მისი შემცირების ფაქტიურმა ტემპმა თითქმის 20-ჯერ გადააჭარბა აღნიშნულ მაჩვენებელს. ერთდროულად შემოღებულ იქნა მკვეთრად პროგრესული დაბეგვრა სახელმწიფო საწარმოებში ხელფასის ფონდის

**გარდამავალ ეკონომიკაში ფარული ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვიდრე ოფიციალური დეფიციტის მინიმიზაცია.**

წინმსწრებ ზრდაზე - ზენორმატიული ნაზრდი იბეგრებოდა 500%-ანი საგადასახადო განაკვეთით.[16]

დსთ-ს ქვეყნებში ხელფასის წინმსწრები ზრდის პროგრესული დაბეგვრის პოლიტიკა სრულიად არაეფექტიანი აღმოჩნდა ცალკეული დარგებისადმი საგადასახადო შეღავათების შეთავაზების გამო და შემოღებიდან რამდენიმე წელში საერთოდ გაუქმდა.

ამავე დროს, ბიუჯეტში კვაზიბიუჯეტური ოპერაციების ჩართვა ზოგიერთ ქვეყანაში, კერძოდ, უნგრეთში ხელს უწყობს ოფიციალური ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას, მაგრამ კვაზიბიუჯეტური ოპერაციების ეს „ლეგალიზაცია" ფინანსდება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე, როგორც ეს განხორციელდა ჩეხოსლოვაკიაში 1991 წელს, მაშინ ასეთ სიტუაციაში შესაძლებელი გახდა ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის თავიდან აცილება. პრივატიზაციიდან მიღებული დროებითი შემოსავლების გამოყენება გრძელვადიანი პროგრამების დასაფინანსებლად, მაგალითად, უმუშევრობაზე დახმარება და ა.შ., არამიზანშეწონილია, ვინაიდან პრივატიზაციისაგან მნიშვნელოვან შემოსავლებს შეიძლება ველოდოთ მას შემდეგ, როცა ბიუჯეტი წარმატებით დაფინანსდება სხვა წყაროებიდან და გარკვეული ეკონომიკური სტაბილიზაციაც უზრუნველყოფილი იქნება.

გარდამავალ ეკონომიკაში წარმატებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის აუცილებელია ბიუჯეტურ სფეროში პირველადი

სტრუქტურული რეფორმა, რომელიც დაკავშირებულია ბიუჯეტის დაფინანსების მაქსიმალურ შემცირებასთან შიდა საბანკო საშუალებათა ხარჯზე. მსგავსი რეფორმა, როგორც ამას მრავალი ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, ინფლაციური ლოდინის შეკავების ფაქტორია. საწყის ეტაპზე ასეთი სტაბილიზაციის შემდგომ ბიუჯეტური დეფიციტის დაფინანსება მიზანმიმართულია განხორციელდეს არასაბანკო წყაროებიდან. მაგრამ თუ ბიუჯეტურ სფეროში პირველადი სტრუქტურული რეფორმა მიმდინარეობს წარმატებით, შემდგომში სულ უფრო რთული ხდება დაბალანსებული სახელმწიფო ბიუჯეტის მიღწევა, ვინაიდან ბიუჯეტის მოკლევადიან დაუბალანსებლობას ტენდენცია აქვს გადაიზარდოს გრძელვადიან დაუბალანსებლობაში. ამ დროს ბიუჯეტის დეფიციტის შიდა სავალო დაფინანსების აქტიურად გამოყენება წინ ელობება გარდამავალი ეკონომიკისათვის ასე მნიშვნელოვან კერძო ინვესტიციებს.

ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გადიდება ეკონომიკური ზრდის სტიმულებისადმი ხელისშემშლელი პირობების გარეშე გადასახადებით დაბეგვრის ბაზის იმ ზომით გაფართოვებას გულისხმობს, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდება ზომიერი ზღვრული საგადასახადო განაკვეთების დაწესება. საგადასახადო ბაზის ასეთი გაფართოვება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს გადასახადის გადახდისაგან ყველა სახის განთავისუფლების გაუქმებას ან მკაცრ შეზღუდვას, აგრეთვე ფორმირებად კერძო სექტორზე დაბეგვრის ქსელის გაფართოვებას. ამიტომ, აგრარულ სექტორში, მიზანშეწონილია მიწის გადასახადის სრულყოფა. მთლიანობაში, გარდამავალ ეკონომიკაში ერთიანი სტაბილური საგადასახადო სისტემის შექმნა, რომელიც ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში არ უნდა იქნას კორექტირებული, დამოკიდებულია უშუალოდ საგადასახადო აპარატის ფუნქციისა და გადასახადის გადახდის კულტურის გაუმჯობესებაზე.

გრძელვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტის დაუბალანსებლობის შემსუბუქება გულისხმობს არა მარტო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ოპტიმალური წყაროების არჩევას, არამედ სახელმწიფო ხარჯების მართვის სფეროში კომპლექსურ რეფორმას. ჩვენს პირობებში სახელმწიფო სუბსიდიების მნიშვნელოვანი შემცირება სამომხმარებლო საქონელზე, ნებისმიერ არარენტაბელურ კაპიტალდაბანდებებზე, ასევე ყოვლად გაუმართლებელი, ზედმეტად გაბერილი სახელმწიფო აპარატის შენახვაზე და არამწარმოებლური სფეროების დაფინანსებაზე, მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის საშუალებას მოგვცემს. სამომხმარებლო საქონლის სუბსიდირებაზე უარი შეიძლება ეფექტიანად შეივსოს შემწეობების ზუსტი მისამართით გაცემის სისტემის შექმნით. ეს პრობლემა ჯერ კიდევ გადაუჭრელია ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სოციალური უზრუნ-

16. Klacek J, Hrncir M. Macroeconomic Polisicies: Stabilization and Transition in Former ccccCzechoslovakia and the Czeck Republic. in: Studies and Analyses. Center for Social and Economic Research, Warsaw, 1994.





ველყოფისა და დაზღვევის მიზნით სახელმწიფო ხარჯები გაიზარდა, მისი გამოყენების ეფექტიანობა არადამაკმაყოფილებელია, ძირითადად, სოციალური გასაცემლების შეუსაბამობით მიმღებთა საჭიროების რეალურ დონესთან. სტატისტიკა მოწმობს, რომ სოციალური დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილი წილად ხვდება პირებს, რომლებიც შემოსავლების დონის მიხედვით არ შეიძლება მივაკუთვნოთ სათანადო კატეგორიას. არაფერს ვამბობთ ამ სფეროში გამეფებულ განუკითხაობასა და დარღვევებზე. მაგალითად, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფთა მეხუთედი საერთოდ მოწყვეტილია სახელმწიფო სოციალურ მხარდაჭერას.

რამდენადაც ბიუჯეტური რესურსები ყველა გარდამავალ ეკონომიკაში საკმაოდ შეზღუდულია, იმდენად მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ფენის დაცვა უნდა ხორციელდებოდეს ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის ცვლილებებით დასაქმების სფეროში უფრო აქტიური პოლიტიკის გასატარებლად. დროდადრო ნებისმიერ გარდამავალ ეკონომიკაში გარდაუვალია არა მარტო სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ფართო რეფორმა, არამედ სტრუქტურული ბიუჯეტური რეფორმაც, რომელიც მიმართულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან ეკონომიკის იმ სფეროების გამოცალკავებაზე, რომელთაც კერძო სექტორის ფარგლებში უფრო ძალუძთ ეფექტიანად ფუნქციონირება.

## ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები გარდამავალ ეკონომიკაში

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ანტიინფლაციური მიმართულებისაა. პრაქტიკულად, ყველა ქვეყანაში სტაბილიზაციის პროგრამის პირველხარისხოვან მიზნად გვევლინება მაღალი ინფლაციისა და ჰიპერინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი შემცირება ზომიერ დონემდე. ცენტრალური ბანკები, ცხადია, მიზნად არ ისახავენ მიაღწიონ ინფლაციის ნულოვან დონეს, ვინაიდან მსგავსი პოლიტიკის შედეგი ხანგრძლივი ეკონომიკური დაცემაა. საბაზრო გარდაქმნის პირველ ეტაპზე ცენტრალური ბანკების მიერ გატარებული ანტიინფლაციური პოლიტიკის ამოცანაა შეიქმნას წინაპირობები ეკონომიკური კრიზისიდან უსწრაფესად გამოსვლის მიზნით.

დასახული ამოცანების მისაღწევად ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრული მიზნობრივი ორიენტირები ქვეყნის მიხედვით განსხვავებულია. ზოგი ქვეყანა ამგვარ ორიენტირად იყენებს ნომინალურ გაცვლის კურსს და გაცვლის კურსის ბაზაზე ახორციელებს სტაბილიზაციას. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნებიან: პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, ესტონეთი და ლიტვა.

მაგრამ ქვეყანათა უმრავლესობა ორიენტირად ფულადი მასის დინამიკის სხვადასხვა მაჩვენებლებს იყენებს და სტაბილიზაციას ფულად საფუძველზე ახორციელებს. ფულად საფუძველზე სტაბილიზაციისას მიზნობრივი ორიენტირების სახით გამოიყენება ფულადი მასის (M1 და M2 აგრეგატები) ან პროცენტული ცვლილებები, ან მისი საერთო დონე, ან წესდება ფულადი მასის დინამიკის მაქსიმალური და მინიმალური ზღვარი, ან სარგებლის განაკვეთის დონე, ან დაკრედიტების საერთო მოცულობა.

მაგრამ მიზნობრივი ორიენტირების არჩევა და „მყარი" კურსისადმი მიდევნება პრობლემურია გარდამავალი ეკონომიკისათვის. არჩეული კურსისაგან მუდმივად გადახრა, რისკის შემცირების თვალსაზრისით არაკომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება „ინიციატივის თავისუფლების" პოლიტიკის სასარგებლოდ ობიექტური და სუბიექტური მომენტებით აიხსნება.

ობიექტურ მომენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ, ჯერ ერთი, იმ ზომების დროულად არჩევის აუცილებელი გამოცდილების არარსებობა, რომელთა გამოყენება შეიძლება ამა თუ იმ სიტუაციაში და პოლიტიკოსთა პრაქტიკული ნაბიჯების განჭვრეტის უუნარობა, რამდენადაც მრავალ სიტუაციას ცენტრალური ბანკი პირველად აწყდება. მეორე, ფულზე მოთხოვნის ზუსტად წინასწარ განჭვრეტის შეუძლებლობა. ამ უკანასკნელის განსაზღვრის სირთულე გარდამავალ ეკონომიკაში ართულებს ფულის მასის კონტროლს. ეროვნული ვალუტის გაუფასურება ინფლაციის პირობებში იწვევს ეკონომიკის „დოლარიზაციას" და ფულზე მოთხოვნის დაცემას. დადებითი რეალური სარგებლის მომტანი აქტივების სიმწირის გამო, ეფექტიანად მომუშავე საწარმოები ცდილობენ შეიძინონ მატერიალური რესურსები, უცხოური ვალუტა, საინვესტიციო საქონელი, ე.ი. ცდილობენ ისარგებლონ ფულადი „ღირებულებათა მარაგის" შემცვლელი ყველა სახის რესურსების ჭარბი რეზერვებით; მესამე, მნიშვნელოვანი ბიუჯეტის დეფიციტი, სუსტი ბიუჯეტური შეზღუდვების სისტემა, საწარმოთა ურთიერთდავალიანება იწვევს იმას, რომ ცენტრალური ბანკი იძულებული ხდება მუდმივად განაახლოს საბანკო კრედიტთა ნაკადი, რაც ასუსტებს მის შესაძლებლობას გააკონტროლოს ფულის მიწოდება. წამგებიან საწარმოთა პერიოდული „რეანიმირება" საბანკო კრედიტების სისტემის მეშვეობით პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის გრძელვადიანი ფულადი პოლიტიკის გატარებას.

სუბიექტურ მომენტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ინფლაციის შემცირების მიზნით ცენტრალური ბანკის მოსალოდნელ ნაბიჯებზე ეკონომიკური აგენტების მიერ ინფორმაციის მოპოვების შეუძლებლობა, რაც უბიძგებს ეკონომიკურ აგენტებს წარმოების მომატებული ხარჯებისაკენ და რომელიც ინფლაციის შემცირებას ეწინააღმდეგება. შენარჩუნებული ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკაც არ იმსახურებს ნდობას. გარდა ამისა, ცენტრალური ბანკის პოლიტიკისადმი ნდობა მუდმივად ირყევა მისი მოუფიქრებელი არათანმიმდევრული მოქმედებებით, რაც აძლიერებს ინფლაციურ ლოდინს.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფინანსურ სტაბილიზაციაზე, ფულად-საკრედიტო სისტემის რეალურ რეფორმირებაზე და მათ მიახლოვებაზე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების „სტანდარტებთან" შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ როგორი ეფექტიანობით გამოიყენება ფულად-

საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირი ინსტრუმენტები. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში ცენტრალურ ბანკთა არსენალში ფულად-საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირ ინსტრუმენტად გამოიყენება მინიმალური სარეზერვო ნორმის დაწესების პრაქტიკა, დისკონტის პოლიტიკა და „ოპერაციები ღია ბაზარზე“.

სრულიად ნათელია, რომ გარდამავალ ეკონომიკაში არაპირდაპირი ინსტრუმენტების გამოყენებაზე გადასვლა შეუძლებელია მყისვე განხორციელდეს. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეს გადასვლა განხორციელდა მხოლოდ 1970-80-ან წლებში და ფინანსური ლიბერალიზაციის ფართომასშტაბიანი პროცესის ნაწილს წარმოადგენდა. ის მიმდინარეობდა თანდათანობით, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში. ამ დროს ორი ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა-საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი-მხოლოდ არაპირდაპირი რეგულირების მეთოდებზე გადასვლის პირველი ცდის დროს მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდნენ. ამ ქვეყნებმა მხოლოდ 80-ანი წლების დასაწყისში მოახერხეს ფინანსური ბაზრის ლიბერალიზაცია, გააუქმეს კაპიტალის მოძრაობაზე კონტროლი, მოიხსნა სავალუტო შეზღუდვები და შემოღებულ იქნა ვალუტის კონვერტირებადობა. საფრანგეთმა გამოიყენა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტის სახით „საკრედიტო ჭერი“ 20 წლის ვადით, რომელმაც 1987 წლამდე გასტანა.

[illegible]

განვითარებად ქვეყნებში ეს პროცესი ძალზე რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარეობდა. ამ ქვეყანათა გამოცდილება მოწმობს, რომ ფულად-საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე ნაადრევმა გადასვლამ განუვითარებელი ფინანსური და ბანკთაშორისი კრედიტების ბაზრების პირობებში, მაკროეკონომიკური უწონასწორობისა და სუსტი საბანკო ზედამხედველობისას შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი დანახარჯები და ადრეარსებული მკაცრი ადმინისტრაციული რეგულირების ზომების გამოყენება, როგორიცაა, მაგალითად, დეპოზიტებზე და კომერციული ბანკების კრედიტებზე სარგებლის განაკვეთის დონის პირდაპირი კონტროლი. გამოკვლევა, რომელიც ჩატარდა 19 განვითარებად ქვეყანაში (ისეთი ქვეყნების ჩათვლით, როგორიცაა არგენტინა, ვენესუელა, ეგვიპტე, ინდონეზია, მალაიზია, ფილიპინები, ჩილე) მოწმობს, რომ ეკონომიკის რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე გადასვლამ საშუალოდ 3,7 წელი გასტანა. თანაც, ამ ქვეყნებს შორის უმრავლესობაში ის 5 წელი გაგრძელდა, მხოლოდ მესამედმა მოახერხა 1 წელიწადში მისი განხორციელება.

ჩვენს ეკონომიკაში ჯერჯერობით არ შექმნილა აუცილებელი პირობები ფულად-საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე სრულად გადასვლისათვის: არასაკმარისადაა განვითარებული ფინანსური ბაზარი, ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო განაკვეთის დონესა და კომერციული ბანკების საბაზრო განაკვეთებს შორის შესამჩნევია სუსტი დამოკიდებულება შეზღუდული ლიკვიდობისა და მაღალი რისკების პირობებში; არ ჩამოყალიბებულა ბანკთაშორისი კრედიტების სრულფასოვანი ბაზრები; უწინდებურად რეალურია კომერციულ ბანკთა გადახდისუუნარობა.

ცხადია, პირდაპირი (ადმინისტრაციული) მეთოდებიდან საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ფულად-საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე გადასვლის პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. საბაზრო რეფორმების პირველ ეტაპზე გარდაუვალია ადმინისტრაციული რეგულირების შენარჩუნება. საქმე ისაა, თუ როგორი უნდა იყოს „ოპტიმალური შეხამება“ პირდაპირი და არაპირდაპირი რეგულირების ზომებს შორის საბაზრო რეფორმათა განხორციელების პირველ ეტაპზე და უპირატესად რომელი მაჩვენებლები მოწმობენ ფულად-საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე გადასვლის წინაპირობების არსებობას.

გარდამავალ ეკონომიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების პირდაპირი ინსტრუმენტების სახით გამოიყენება მიზნობრივი დაკრედიტება, „საკრედიტო ჭერი“, სარგებლის განაკვეთის დონეზე პირდაპირი კონტროლი. ყოველთვის არ არის იოლი განვასხვავოთ ერთმანეთისაგან მონეტარული პოლიტიკის პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. (მაგალითად, რთულია ცენტრალური ბანკის ინიციატივით გარკვეული სარგებლით გაცემული პირდაპირ კრედიტებისა და კომერციული ბანკების მიერ „სააღრიცხვო არხის“ მეშვეობით პრეფერენციული სარგებლის განაკვეთით მოთხოვნილი კრედიტების ერთმანეთისაგან განსხვავება.

საბაზრო რეფორმების განხორციელების პირველ ეტაპზე ყველა ქვეყანაში პირდაპირი ფულადი რეგულირების ძირითად მეთოდად გვევლინება მიზნობრივი დაკრედიტება. ამ უკანასკნელის არსი გამოიხატება შემდეგში:

✓ კრედიტებზე რაოდენობრივი პარამეტრების დაწესება, რომლებიც მიმართულია პრიორიტეტულ დარგებში;

✓ სპეციალური ფულად-საკრედიტო დაწესებულებების შექმნა, რომლებიც ახორციელებენ პრიორიტეტულ დარგთა დაკრედიტებას დაბალი სარგებლის განაკვეთით;

✓ საბანკო ინსტიტუტებზე სხვადასხვა სახის შეღავათების გავრცელება, რომლებიც ემსახურებიან სამრეწველო საწარმოებს.

როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ხშირად ეს კრედიტები მიემართება არა პრიორიტეტულ დარგებში, არამედ არარენტაბელური და წამგებიანი საწარმოების





სანაციისათვის. არსებითად, ადგილი აქვს ამ საწარმოთა უსასყიდლო სუბსიდირებას ბიუჯეტური სახსრების ან საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების კრედიტების ხარჯზე. მსგავს დაბანდებათა ეფექტიანობა

[illegible]

ძალზე უარყოფითია, ვინაიდან ასეთი კრედიტების შეთავაზებასთან დაკავშირებულ ფინანსურ რისკს ეწევიან საბანკო ინსტიტუტები, რომლებიც გასცემენ ამ კრედიტებს. ფულად-საკრედიტო რეგულირების ეს მეთოდი უკიდურესად არაეფექტიანია, ვინაიდან ის არათუ ვერ უზრუნველყოფს საწარმოს ეფექტიანობის ზრდას, სადაც მიემართება მოცემული სახსრები, არამედ ძლიერ ასუსტებს ბანკთა შორის კონკურენციას. პრეფერენციული რეფინანსირების, მიზნობრივი დაკრედიტების შემცირების და ფულად-საკრედიტო რეგულირების მოცემული მეთოდის გამოყენების პოლიტიკაზე უარის თქმა ცენტრალური ბანკის პრიორიტეტულ მიზნად უნდა დარჩეს.

სააღრიცხვო განაკვეთის მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ერთობლივი მოთხოვნის, არამედ ერთობლივი მიწოდების შემცირება, ვინაიდან საბრუნავ საშუალებათა საჭირო მოცულობით მიუღებლობა, კრედიტის უკმარისობის გამო, იწვევს წარმოების შემცირებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ სააღრიცხვო განაკვეთის მაღალმა დონემ შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო ერთობლივი მოთხოვნის, არამედ ერთობლივი მიწოდების შემცირება, ვინაიდან საბრუნავ საშუალებათა საჭირო მოცულობით მიუღებლობა (კრედიტის უკმარისობის გამო) იწვევს წარმოების შემცირებას. იმ შემთხვევაში, როცა ერთობლივი მიწოდება მცირდება უფრო მეტად, ვიდრე ერთობლივი მოთხოვნა, კრედიტის უკმარისობა ინფლაციის გაძლიერებასაც იწვევს.

პირდაპირი რეგულირების სხვა მეთოდია კომერციულ ბანკთა კრედიტებზე და დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთის ადმინისტრაციული კონტროლის არსებობა. აღნიშნული მეთოდი ფართოდ გამოიყენებოდა განვითარებად ქვეყნებში, მაგრამ მას საკმაოდ უარყოფითი შედეგები მოჰყვა: კომერციული ბანკების დეპოზიტებზე დაბალი განაკვეთები მიზეზი გახდა თავისუფალი ფულადი სახსრების არა საბანკო დეპოზიტებზე განთავსების, არამედ უძრავ ქონებაში, უცხოურ ვალუტასა და ძვირფას ლითონებში მათი დაბანდებისა, რამაც მოსპო საწარმოო ინვესტიციების დაფინანსებისათვის ამ სახსრების გამოყენების ყოველგვარი საშუალება.

გარდამავალი ეკონომიკის მრავალ ქვეყანაში ეკონომიკურ რეფორმათა განხორციელების საწყის ეტაპზე სარგებლის განაკვეთის დონეზე პირდაპირი კონტროლი ამა თუ იმ ზომით გამოიყენებოდა. ის სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა, კერძოდ: კომერციული ბანკებისათვის დეპოზიტებზე და კრედიტებზე ან მათ სხვაობაზე კონტროლით, ასევე შემნახველი ბანკებისათვის დეპოზიტებზე და მიზნობრივ კრედიტებზე სარგებლის განაკვეთების მინიმალური და მაქსიმალური დონის დაწესებით.

მაგრამ 90-ანი წლების შუა პერიოდისათვის მრავალ ქვეყანაში მოხდა სარგებლის განაკვეთის ლიბერალიზაცია. სარგებლის განაკვეთზე პირდაპირი კონტროლი ჯერ კიდევ შენარჩუნებულია აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, მოლდოვაში (მიზნობრივი კრედიტების მიხედვით), ტაჯიკეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში და უკრაინაში.

პირდაპირი რეგულირების მეთოდებს მიეკუთვნება საბანკო ინსტიტუტების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობის შეზღუდვები. ზედმეტი საკრედიტო ექსპანსიის შეკავების მიზნით ცენტრალური ბანკები მიმართავენ ე.წ. „საკრედიტო ჭერს“, ე.ი. დაკრედიტების ზღვრულ თანხას და ანხორციელებენ დაწესებულ ნორმატივებზე კონტროლს. როგორც წესი, „საკრედიტო ჭერი“ პერსონალურად წესდება ყველა საკრედიტო ინსტიტუტისა და ნებისმიერი სახის კრედიტისათვის.

მაგრამ ცენტრალური ბანკის მიერ საბანკო კრედიტების მოცულობაზე ან მათი ზრდის ტემპზე შეზღუდვების დაწესება აიძულებს კომერციულ ბანკებს რეზერვების სახით შეინარჩუნონ დეპოზიტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც უკიდურესად წამგებიანია. ამასთან დაკავშირებით, საბანკო დაკრედიტების ლიმიტების გამოყენებას თან ახლავს არაორგანიზებულ ფულად ბაზარზე სარგებლის განაკვეთების ზრდა. რეგულირების ამ მეთოდის გამოყენების სხვა ნეგატიური შედეგია კაპიტალის მოძრაობაზე მკაცრი შეზღუდვების შემოღების აუცილებლობა.

ბანკების რეფინანსირების სისტემის სრულყოფა გულისხმობს ეკონომიკის პრიორიტეტული დარგების პირდაპირი მიზნობრივი დაკრედიტებიდან ცენტრალური რესურსების განაწილების საბაზრო მეთოდზე გადასვლას. ფულადი მასის რეგულირების უფრო ეფექტიანი ინსტრუმენტია რეფინანსირების განაკვეთის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ბანკი კომერციულ ბანკებს სთავაზობს კრედიტებს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში რეფინანსირების კრედიტები გაიცემა მხოლოდ საიმედო ბანკების მიმართ სააღრიცხვო კრედიტების ფორმით, ე.ი. იმ კრედიტებისა, რომლებსაც გასცემს ცენტრალური ბანკი საკრედიტო დაწესებულებებიდან თამასუქების შესყიდვის გზით ან სალომბარდო კრედიტების ფორმით, რაც გულისხმობს მის გაცემას ცენტრალური

ბანკის მიერ ფასიანი ქაღალდების დაგირავებით. სააღრიცხვო განაკვეთის ზრდით ცენტრალური ბანკი ამცირებს კომერციულ ბანკთა სტიმულებს მიიღონ სესხი, რაც ბანკების მიერ გაცემული კრედიტების მოცულობისა და ფულის მიწოდების შემცირების ერთ-ერთი საფუძველია.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ცენტრალიზებული რესურსების საბაზრო განაწილების შუალედური ფორმაა საკრედიტო აუქციონები. საკრედიტო აუქციონების განხორციელების წესი გულისხმობს იმას, რომ პოტენციური მსესხებლები აწვდიან ვაჭრობის ორგანიზატორ ცენტრალურ ბანკს განაცხადებს მათთვის სასურველი კრედიტების მოცულობისა და სარგებლის განაკვეთის მითითებით. მიღებულ განაცხადთა საფუძველზე ცენტრალური ბანკი ადგენს სააუქციონო კრედიტების საერთო მოცულობას, მათი შეთავაზების ვადას და საჭირო კრედიტების მინიმალურ თანხას. ამ დროს, გამოცხადებული კრედიტების საერთო თანხა არ უნდა აჭარბებდეს სესხების საერთო მოცულობას, რომელიც გამოყოფილია ცენტრალური ბანკის მიერ აუქციონების ჩასატარებლად.

საკრედიტო აუქციონები ფართოდ გამოიყენებოდა როგორც კრედიტების გაფართოვებისა და გადანაწილების, ისე ფულადი კონტროლის ინსტრუმენტი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის მრავალ ქვეყანაში, ვიდრე არ შეიქმნა სრულფასოვანი საფინანსო ბაზრები. საკრედიტო აუქციონები, რომელიც ფულად-საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე გადასვლის ფორმაა, ხელს უწყობს ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის განვითარებას. კონტროლის ეს საბაზრო მეთოდი ერთდროულად უზრუნველყოფს კრედიტის სასურველი მოცულობისა და საკრედიტო რესურსების ეფექტიან განაწილებას საბაზრო მექანიზმების დახმარებით და ცენტრალურ ბანკს საშუალებას აძლევს მიიღოს ფულად-საკრედიტო რეგულირების გამოცდილება.

მაგრამ საკრედიტო აუქციონთა ჩატარება მრავალი პრობლემის წარმოშობასთანაა დაკავშირებული. განუვითარებელი საფინანსო ბაზრის პირობებში ცენტრალური ბანკი მნიშვნელოვან რისკზე მიდის, კერძოდ, საგირავნო უზრუნველყოფის ნაკლებად შესაძლებლობის (კომერციული ბანკების აქტივებში სახელმწიფო და სხვა სახის ფასიანი ქაღალდების უკმარისობა) გამო. გარდა ამისა, აუქციონში მონაწილეობისათვის დაიშვებიან ბანკები, რომლებიც განაცხადში ყველაზე მაღალი სარგებლის განაკვეთს აფიქსირებენ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ცენტრალურ ბანკს ხშირად არ ძალუძს განახორციელოს კონტროლი გაცემული კრედიტების გამოყენებაზე.

მრავალ ქვეყანაში საგირავნო პრობლემა თანდათანობით, ფინანსური ბაზრების განვითარების კვალობაზე გადაწყდა. მაგალითად, ჩეხეთში საგირავნო უზრუნველყოფის ღირებულება კრედიტის სიდიდის 40%-ს შეადგენდა, შემდგომ ის 100%-ანი გახდა. პოლონეთმა - სხვათა შორის, ერთადერთმა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან, იმთავითვე შემოიღო 100%-ანი საგირავნო უზრუნველყოფის პრაქტიკა ფასიანი ქაღალდებით. ზოგიერთ ქვეყანაში ნაწილობრივი გირაოს სახით გამოიყენებოდა უცხოური ვალუტა და ბანკების მიერ აქცეპტირებული თამასუქი.

არასრული საგირავნო უზრუნველმყოფი ან მისი არარსებობის პირობებში ცენტრალურმა ბანკმა შეიმუშავა სპეციალური კრიტერიუმი, რომლის თანახმადაც 'ბანკები დაიშვებოდნენ საკრედიტო აუქციონებზე: ცალკეული ბანკებისათვის განისაზღვრებოდა კრედიტების მაქსიმალური ზომა, საკრედიტო ლიმიტი წესდებოდა საბანკო დეპოზიტების წილისგან დამოუკიდებლად, რასაც სტიმულირება უნდა მოეხდინა ფულად ბაზარზე კომერციულ ბანკებს შორის დეპოზიტური რესურსებისათვის კონკურენციაზე. ჩეხეთში, სლოვაკეთში და უნგრეთში სარგებლის განაკვეთები, რომლებიც მყარდებოდა ვაჭრობის დროს, ასრულებდნენ საორიენტაციო ფუნქციებს სააღრიცხვო და სალომბარდო განაკვეთებისათვის. ვფიქრობთ, აღნიშნული გამოცდილების გაზიარება აუცილებელია ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან მოქმედ ბანკთაშორის აუქციონებზე საკრედიტო რესურსების ბრუნვა ერთობ მცირეა, რაც ვერაფერს შველის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბანკთაშორისი კრედიტებისა და საფინანსო ბაზრის განვითარების კვალობაზე საკრედიტო აუქციონებზე მოთხოვნა მცირდება. ეს ტენდენცია დამახასიათებელია აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის, სადაც ცენტრალურ ბანკებს ორიენტაცია აღებული აქვთ ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე.

ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის და დსთ-ს ქვეყნებში გამოყენებულ იქნა ფულად-საკრედიტო რეგულირების არაპირდაპირი ინსტრუმენტები. ამგვარი პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია სარეზერვო ნორმის ცვლილება. მსოფლიო პრაქტიკაში სავალდებულო რეზერვების ნორმის ცვლილება არ მიეკუთვნება ფულად-საკრედიტო რეგულირების მოქნილ და ოპერატიულ ინსტრუმენტებს, რადგანაც მისი თუნდაც უმნიშვნელო მერყეობა ფულადი მასის სიდიდის მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს. მისი შემოღება განპირობებულია კომერციულ ბანკთა ლიკვიდობის საკმარისი დონის უზრუნველყოფისა და მათ საქმიანობაზე კონტროლის უნიფიკაციის აუცილებლობით, ამიტომ რეზერვების სავალდებულო ნორმის გადასინჯვა უკიდურესად იშვიათად ხორციელდება.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების პრაქტიკაში ეს ინსტრუმენტი საწყის ეტაპზე ფულად-საკრედიტო რეგულირების ერთადერთი არაპირდაპირი ინსტრუმენტია და ამიტომ ხშირ კორექტირებას განიცდის. საქართველოში დღესდღეობით დაწესებულია საკმაოდ მაღალი სავალდებულო სარეზერვო ნორმა (2000 წლისათვის, კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებების საშუალოდ 15%) მსოფლიო სტანდარტებთან შედარებით, რაც აიხსნება ანტიინფლაციური ზომების გატარების თვალსაზრისით კომერციული ბანკების მიერ ფულის მიწოდების გადიდების საწინააღმდეგო ქმედებების აუცილებლობით.





თანამედროვე პირობებში ფულად-საკრედიტო რეგულირების უპირატესად არაპირდაპირ ინსტრუმენტებზე გადავიდა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის მრავალი ქვეყანა და ბალტიის ქვეყნები. ამ ქვეყნებში ცენტრალური ბანკის პირდაპირი კრედიტები დაკრედიტების საერთო მოცულობის 25%-ზე ნაკლებს შეადგენს, ლიბერალიზებულია სარგებლის განაკვეთი, არ არსებობს „საკრედიტო ჭერის" დაწესების პრაქტიკა, დეპოზიტების მიხედვით მაქსიმალური სავალდებულო სარეზერვო ნორმა არ აჭარბებს 6%-ს, კრედიტების შეთავაზება „სააღრიცხვო არხების" მეშვეობით ხორციელდება აუქციონების გზით თამასუქების გირავნობით ან სალომბარდო კრედიტების ფორმით და არ ითვალისწინებს პრეფერენციულ განაკვეთებს, „ოპერაციები ღია ბაზარზე" ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ერთ-ერთი ქმედითი საშუალებაა. ამ ქვეყნებში მონეტარული პოლიტიკის უპირატესად არაპირდაპირ ინსტრუმენტებზე გადასვლა ხდებოდა ფინანსური ბაზრების განვითარებით, საბანკო სისტემის გამყარებით და „მკაცრი ბიუჯეტური შეზღუდვების" პოლიტიკის გატარებით სტრუქტურული რეფორმების პარალელურად. რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე გადასვლის სისწრაფე განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ჩეხეთმა, მაგალითად, 1992 წელს პრაქტიკულად გააუქმა პირდაპირი რეგულირების ყველა ფორმა, ბულგარეთმა - 1994 წელს.

ფულად-საკრედიტო რეგულირების პირდაპირიდან არაპირდაპირ ინსტრუმენტებზე გადასვლის თანმიმდევრულობამ იმ ქვეყნებში, სადაც წარმატებით განახორციელეს სტაბილიზაციის პროგრამა, მიღწეულ იქნა ინფოლაციის მნიშვნელოვანი შემცირება და ჯეროვანი ეკონომიკური ზრდა. ყოველივე ეს მაგალითია ჩვენი ქვეყნისათვის, რომელიც საკმაოდ დიდი ხანია გარედან თავსმოხვეული „რეკომენდაციების" საფუძველზე ჯიუტად ანხორციელებს ერთობლივი მოთხოვნის დათრგუნვის (რაც, სხვა არაფერია, თუ არა წარმოების შეგნებულად დათრგუნვა) მიზნით ყოვლად გაუმართლებელ მონეტარულ

**როდესაც თვით დაცული მუხლების შესრულება პრობლემაა, წარმოუდგენელია ასეთი ბიუჯეტით ეკონომიკურ კონიუნქტურაზე რაიმე ზემოქმედების განხორციელება**

პოლიტიკას მხოლოდ ერთი მიზნით - ფასების ინფლაცია ხელოვნურად დასტაბილურდეს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ეკონომიკური რეფორმების წარმატებაზე საუბარი ძალზედ ნაადრევია. ზოგადი სახით ფულად-საკრედიტო სფეროს გაჯანსაღების ღონისძიებათა ნუსხა ასე გამოიყურება: სარგებლის განაკვეთის ლიბერალიზაცია; ცენტრალური ბანკის რეფინანსირების სისტემის რეფორმირება -„საკრედიტო ჭერზე" და გაუმართლებელ დაკრედიტებაზე უარის თქმა; „ღია ბაზარზე ოპერაციების" ინსტრუმენტებზე გადასვლა ფინანსური ბაზრის სრულყოფის კვალობაზე, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჩათვლით.

იმისათვის, რომ ვიცოდეთ არის თუ არა შესაფერისი დრო ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირ ინსტრუმენტებზე გადასასვლელად, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები: დეპოზიტებისა და კრედიტების მიხედვით სარგებლის განაკვეთებს შორის სხვაობის შემცირება; ფულადი მულტიპლიკატორის სტაბილიზაცია (ეს განისაზღვრება, როგორც M2 ფულადი მასის შეფარდება ფულადი მასის საერთო სიდიდესთან; ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განვითარება. ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ შეზღუდულია ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტები, ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ჯერ - ჯერობით არ არის შექმნილი წინაპირობა რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე გადასასვლელად და საკრედიტო აუქციონებისა და სავალდებულო სარეზერვო ნორმის გამოყენება მონეტარული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტად რჩება. საერთოდ, ჩვენი ქვეყნის პირობებიდან გამომდინარე, ბიუჯეტურ-საგადასახადო პოლიტიკასთან შედარებით, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით უპირატესობა ფულად-საკრედიტო რეგულირების მხარესაა, მაგრამ, ცხადია, არა იმიტომ, რომ ის უფრო მიესადაგება ჩვენს პირობებს ან რეგულირების ეს სისტემა უფრო მეტად ჩამოყალიბდა და ეფექტიანია. მიზეზი სახელმწიფო ბიუჯეტის სიმბოლურად არსებობაშია. რასაკვირველია, როცა თვით დაცული მუხლების შესრულება პრობლემაა, წარმოუდგენელია, ასეთი ბიუჯეტით ეკონომიკურ კონიუნქტურაზე რაიმე ზემოქმედების განხორციელება. საამისოდ მრავალი მიზეზია:

უპირველეს ყოვლისა, როგორც თემის დასაწყისში აღვნიშნეთ, ეს არის ჩვენი ქვეყნისათვის აბსოლუტურად მიუღებელი „შოკური" რეცეპტები. მონეტარული პოლიტიკა, მთლიანად ერთობლივი მოთხოვნის დათრგუნვის ინსტრუმენტადაა გადაქცეული, რაც კიდევ უფრო აუარესებს საერთო სიტუაციას. რა შეიძლება გაკეთდეს საკრედიტო მომსახურების გაფართოვების თვალსაზრისით ისე, რომ ამან არ შეუწყოს ხელი ინფლაციის გაღვივებასა და ეროვნული ვალუტის გაუფასურებას?

საკრედიტო რეგულირება არა მარტო ერთობლივ მოთხოვნაზე, არამედ ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედების საშუალებაცაა და თუ ეს უკანასკნელი იზრდება არანაკლები ტემპებით, ვიდრე ერთობლივი მოთხოვნა, მაშინ ინფლაციის საშიშროება ამოწურულია.

მაგრამ მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ეკონომიკური რესურსები, რომლებიც ჯერ - ჯერობით იაფია ჩვენს ბაზარზე, სამომავლოდ ძვირი დაჯდება, რადგანაც ადგილი აქვს მათ გაყონვას საზღვარგარეთ, ხოლო რესურსების გაძვირების კომპენსაციის მოხდენა წარმოების ინტენსიური ფაქტორების შემოღებით, თავის მხრივ მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. თავისთავად ცხადია, რომ ინტენსიური ფაქტორების დანერგვა წარმოუდგენელია ფართომასშტაბიანი საინვესტიციო პროექტების დაფინანსების

გარეშე, მაგრამ ერთობლივი მოთხოვნის დათრგუნვის მანკიერი ტენდენცია აფერხებს მის ზრდას. ეფექტიანი მოთხოვნის გარეშე კი აზრი ეკარგება წარმოების გაფართოვებას და ბაზარზე დამატებითი პროდუქციის გატანას, რასაც ჭარბი წარმოების კრიზისის სახე ექნება. ამიტომ, ამ მოჯადოებული წრიდან თავის დაღწევის მიზნით გარდაუვალი ხდება საკრედიტო ინექციების განხორციელება უდიდესი სიფრთხილით. საინვესტიციოდ გამიზნულმა საკრედიტო რესურსებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაინაცვლონ სამომხმარებლო არხებში, რათა თავიდან ავიცილოთ მოთხოვნის ინფლაციის საშიშროება. საჭიროა საკრედიტო ინსტრუმენტების გონივრული გამოყენება, კერძოდ, დროის ფაქტორის გათვლა. საკრედიტო რესურსების გაცემასა და ეფექტის მიღებას შორის არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი დროითი ლაგი, რათა ამან არ გამოიწვიოს გაუკონტროლებელი ინფლაცია; საკრედიტო რესურსების მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების პირობების შექმნა სახელმწიფო დეკვეთების, მარკეტინგული და მენეჯმენტური შემწეობისა თუ სტიმულირების სხვა ინსტრუმენტების მეშვეობით.[17]

ამრიგად, საბანკო სისტემისა და ქვეყნის ფულად-საკრედიტო მექანიზმის მზადყოფნა, იმოქმედოს ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე, კერძოდ, ინფლაციურ-სპეკულაციური კურსიდან გადავიდეს ინვესტიციებისა და დარგების მომსახურების კურსზე, რომელსაც ძალუძს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა - დამოკიდებულია სახელმწიფოსა და ბანკების მოქმედებათა კოორდინაციაზე საბაზრო რეფორმების ერთიანი კონცეფციის ფარგლებში.

17. იხ.: მერაბ გველესიანი, „ეკონომიკსი", თბილისი-2000წ. გვ.133-134.





## გამოყენებული ლიტერატურა:


1. რ. ბასარია, ი. მესხია, „გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები", თბილისი-1995წ.
2. მ. გველესიანი, „ეკონომიკსი", თბილისი-2000წ.
3. ა. ლივშიცი, „საბაზრო ეკონომიკის შესავალი", თბილისი-1996წ.
4. „საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული", საქარველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი-1999წ.
5. საქართველოს ეროვნული ბანკი: მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, თბილისი-2000წ., №12(22).
6. И.М. Албегова, Р.Г. Емцова, А.В. Холопов, - Государственная экономическая политика, МГУ, 1998.
7. С.Алексашенко. Экономическая реформа: польский путь. "МЭиМО", 1991, №7.
8."Вопросы экономики", 1995, №12.
9. Илларионов А., Бремя государства - Вопросы экономики, 1996г.№9. 10. Г.Колодко. Стабилизация инфляции в Польше: год спустя. "Вопросы Экономики",1991,№5.
11. П. Мозиас. Формирование открытой экономики в Китае: региональные проблемы. "МЭиМО", 1994, №3.
12. "МЭиМО", 1992, №12.
13.Р.Наринский. Экономическая програма правительства Т. Мазовецкого.
14. Gelb A., Jefferson G., Singh I. Can Communist Economics Transform Incrementelly? The Experience of Chine. "Economics of Transition", 1(3), Washington, D.C. 1993.
15.From Plan to Market. World Development Report 1996.
16. "IMF Survey", Sept. 23, 1996.
17. Klacek J, Hrncir M. Macroeconomic Polisicies: Stabilization and Transition in Former ccccCzechoslovakia and the Czeck Republic. in: Studies and Analyses. Center for Social and Economic Research, Warsaw, 1994.
18.World Economic Outlook, May 1996.

# [illegible]

ზვიად ჭეიშვილი

საქართველოში ამ პრობლემის ურთულესი ხასიათი ძირითადად განაპირობა, როგორც საბჭოური მემკვიდრეობიდან მიღებული ჩრდილოვანი ნიშან-თვისებების ევოლუციამ, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის სირთულეებმა, ამ პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა, 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ და სხვა ნეგატიურმა ფაქტორებმა. ჩვენ შევეცდებით განვაზოგადოთ აღნიშნული პრობლემების ზოგიერთი ასპექტი და მისი ანალიზის საფუძველზე გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

კაცობრიობის არსებობის ისტორიაში, პრაქტიკაში ჯერ არ დაფიქსირებულა სოციალისტური (მბრძანებლურ-ადმინისტრაციული) ეკონომიკიდან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლის ანალოგიური პრეცედენტი. ამ პროცესში, ორი უკიდურესად საპირისპირო ეკონომიკური სისტემებიდან ერთ-ერთის (სოციალისტურის) ტრანსფორმაცია უნდა შემდგარიყო ევოლუციური გარდაქმნების გზით. მაგრამ, როგორც პრაქტიკამ დაადასტურა სოციალისტური სისტემის ტრანსფორმაცია, იშვიათი გამონაკლისის გარდა,[1] მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში და მისი წარმატებით დასრულება

კიდევ მრავალი პრობლემისა და სირთულის გადაწყვეტას მოითხოვს, მათ შორის საქართველოშიც.

საქართველოში, გარდამავალი პერიოდის 'ესოდენ „ეკლიანი" გზის „დაუსრულებლად" გაგრძელება განაპირობა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა, მორალურ-ფსიქოლოგიურმა და სხვა სუბიექტურმა თუ ობიექტურმა ფაქტორებმა.

ამ ფაქტორთა შორის გამოვყოფთ რამოდენიმეს, რომლებმაც „ყველა სხვა სიკეთესთან" ერთად ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის ფართოდ გავრცელება განაპირობა.

**პოლიტიკური ფაქტორი.** 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან გარკვეული (მცირე) დროის გასვლის შემდეგ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები, რომლებიც ამ დრომდე „შესაშური" ერთსულოვნებით ქადაგებდნენ ეროვნული ერთიანობისა და ამ საფუძველზე ქვეყნის განვითარების იდეას, დაიქსაქსნენ და რბილად რომ ვთქვათ „ბარიკადების" სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. იმის მაგივრად, რომ დაპირისპირებულ ძალებს ერთმანეთთან ურთიერთობები ცივილიზებული ფორმებით გაერკვიათ მათ რადიკალურ ზომებს მიმართეს, რაც შემდგომში შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა (გავიხსენოთ 1991-92 წლების მოვლენები).

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია მოწინააღმდეგე ბანაკების იდეა-ლოზუნგი იყო ეროვნული, თვითმყოფადი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა. მიზანი ერთი იყო, მაგრამ მისი განხორციელების საშუალებები სხვადასხვა[2] (ისევე როგორც დღეს).

ამასთან, 1991-93 წლებში საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოს მოუხდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის სამაჩაბლოსა და აფხაზეთში საომარი მოქმედებების წარმოება. ცხადია საქართველო ამისათვის მზად არ იყო, მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური (გარე ძალები), თუ ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით ეს დაპირისპირება, ჩვენდა სამწუხაროდ, მარცხით დასრულდა.

ქვეყანაში მომრავლდნენ შეიარაღებუყლი ბანდ-ფორმირებები, რომლებიც ტერიტორიული მთლიანობის დაცვის „მანტიით" უმოწყალოდ არბევდნენ და ძარცვავდნენ საქართველოს მოსახლეობას. უკიდურესად დაიძაბა კრიმინოგენური ვითარება, „ბატონობდა" ანარქია და სრული განუკითხაობა. ამ მეტად არასასურველმა გარემოებამ, უდავოდ, ხელი შეუწყო სახელმწიფო ქონებისა და მატერიალური რესურსების, დატაცების, დანიავებისა და უკონტროლო ხარჯვისათვის შესანიშნავი გარემოს შექმნას. რამაც

[1] მაგალითად - ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი.

[2] აქ თავს უფლებას მივცემთ, რომ საქართველოს აყვავების „არშიით" მოცული იდეების უკან, პირადი ამბიციები და ჯანმრთელი პოლიტიკური ოპონირების სურვილის არქონა დავინახოთ.





თავის მხრივ, ჩრდილოვანი ურთიერთობების გააქტიურება გამოიწვია და აღურიცხავი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის სერიოზული წინაპირობა შექმნა.

**„შოკური თერაპიით" საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების თეორია და პრაქტიკა.** ჩვენ ვეთანხმებით იმ მეცნიერების აზრს, რომლებიც თვლიან, რომ „შოკურმა თერაპიამ" საქართველოში (სსრკ-ს ყოფილ ქვეყნებში) ძირითადად ვერ გაამართლა.

მაგალითად, გარდამავალი პერიოდის პრობლემების მკვლევარი მეცნიერი ნ. ჭითანავა აღნიშნავს, რომ „ველური კაპიტალიზმის" აშენების ... იდეა გამოხატავდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის გარემოს შექმნის აუცილებლობას. ცხადია ვისაც დიდი კაპიტალი ჰქონდა თავისუფალი კონკურენციის ბაზარი სჭირდებოდა. მას კი ჰაერივით კერძო საკუთრება. ამ ადგილობრივ ფაქტორსა და „შოკური თერაპიის" სტრატეგიას შორის სრული ურთიერთგაგების, ურთიერთშევსების, მიზანშეწონილობისა და ერთობლივად მოქმედების მიზნით ჩამოყალიბდა ძალა (მას მოსახლეობამაც დაუჭირა მხარი), რომელმაც საყოველთაო კერძო საკუთრებაზე გადასვლის დროშით არსებული ეკონომიკური სისტემის ნგრევის პროცესი უფრო გააღრმავა. ასეთი მოქმედების მიზანი მოგვიანებით გაირკვა: აშენებულიყო ისეთი კაპიტალიზმი სადაც მესაკუთრეთა პირველ თაობად იქნებოდნენ სახელმწიფო ქონების ქურდები, მექრთამეები, სპეკულანტები.[3]

მეცნიერ-ეკონომისტი გ. კოლოდკო აღნიშნავს, რომ „შოკური თერაპიის" იდეა, როგორც საბაზრო ეკონომიკის აშენების საშუალება, ჩვენი შეხედულებით მცდარი აღმოჩნდა. რიგ შემთხვევაში ამგვარმა პოლიტიკამ უფრო მეტი პრობლემა წარმოშვა, ვიდრე გადაჭრა.[4]

ნობელის პრემიის ლაურეატი, ეკონომიკის დარგში, ჯ. სტიგლიცში „შოკური თერაპიის" მიდგომის გამოყენება ასოცირდება საფრანგეთის რევოლუციის იაკობინელებთან და რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის ბოლშევიზმთან.[5]

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ეკონომისტ ი. სეგვარს მიაჩნია, რომ[6] საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა პატივი უნდა სცენ და მეტწილად გაითვალისწინონ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ისტორიული, კულტურული და ეროვნული თავისებურებები.

როგორც ცნობილია, ეს იდეოლოგია წარმოადგენს სავალუტო ფონდის მიერ მესამე სამყაროსათვის შემუშავებული მოდელის ნაირსახეობას, რომელიც ცნობილია ვაშინგტონის კონსენსუსის სახით.[7]

ვაშინგტონის კონსენსუსი კი, თავის მხრივ მოიცავს ათ ძირითად თეზისს,[8] საიდანაც გამოვყობთ ორს, რომელთა „ნაჩქარევად განხორციელებამაც", ჩვენი აზრით მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოს დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა:

- სახელმწიფო ქონების დაჩქარებული პრივატიზაცია;
- ეკონომიკის დარეგულირების უზრუნველყოფა ... სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური უშიშროების, გარემოს დაცვის ან საფინანსო ინსტიტუტებზე სასამართლო მეთვალყურის ფუნქციის შესრულებაზე.

სახელგანთქმული უნგრელი მეცნიერი ი. კორნაი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში პრივატიზაციის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ[9] - 10 წლის შემდეგ დარწმუნებული ვარ, რომ სტრატეგია A, რომელიც ასტიმულირებს კერძო სექტორის ზომიერ ზრდას, იყო ჭეშმარიტი. ხოლო B სტრატეგიის არჩევა - დაჩქარებული პრივატიზაცია - საუკეთესო შემთხვევაში ნაკლებად ეფექტური, ან ზარალიანი.

საქართველოში არჩეული იქნა B სტრატეგია, რაც ი. კორნაის თუ დავესესხებით ყველაზე უარესი - ზარალიანი აღმოჩნდა. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია, საქართველოში სრული ქაოსის პერიოდში დაიწყო, რითაც მშვენივრად ისარგებლეს ჩინოვნიკებმა, ე.წ. „წითელმა დირექტორებმა", ან უბრალოდ ადამიანებმა, რომლებსაც სახელისუფლო წრეებთან ურთიერთობებისა და საწყისი ფინანსური (მეტწილად ჩრდილოვანი მექანიზმებით დაგროვილი) კაპიტალი გააჩნდათ.

ამასთან, საზოგადოებრივ თანამდებობებზე მყოფი პირები ხელოვნურად ამცირებდნენ საპრივატიზებო ობიექტის ფასს და იმავდროულად თავად პრივატიზების პროცესი მიმდინარეობდა რაიმე განსაკუთრებული საჯაროობის გარეშე, რის შედეგადაც ახალ მესაკუთრეთა როლში მოგვევლინენ, ან თვით ეს პირები, ან მათი წარმომადგენლები, ან ვინც ამისათვის გადაიხადა შესაბამისი ქრთამი.[10]

[3] ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები", თბილისი, 1997 წ., ნაწ. I., გვ. 55-56.

[4] Колодко Г., „Уроки десяти лет постсоциалистической трансформации", Вопросы Экономики, 1999, №9, ст. 19.

[5] Стиглиц Дж., „Куда ведут реформы? (к десятилетию начала переходных процессов)", Вопросы Экономики, 1999, №7, ст. 26

[6] Сегвари И., „Семь расхожич тезисов о российских реформах: верны ли они? ", Вопросы Экономики, 1999, №9, ст. 45.

[7] ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები", თბილისი, 1997 წ., ნაწ. I., გვ. 51.

[8] Колодко Г., „Уроки десяти лет постсоциалистической трансформации", Вопросы Экономики, 1999, №9, ст. 20.

[9] Корнаи И., „Путь к свободной экономике: десять лет спустя (перемысливая пройденное)", Вопросы Экономики, 2000, №12, ст. 44.

[10] პაპავა ვლ., „საბაზრო თანასწორობის დოქტრინა", სმკ, 1999 წ., გვ. 19.

შედეგად მივიღეთ, ვაუჩერებისა და კუპონების საშუალებით, მიზერულ ფასებში „პრივატიზირებული“ ყოფილი სახელმწიფო ქონება - საწარმოები, ფაბრიკები, ქარხნები და ა.შ. - რომლის უმეტესობა, დღეს, ან გაჩერებულია (არ ფუნქციონირებს), ან დაშლილი, დატაცებული, დანიავებული და ჯართის სახით უცხოეთშია გაყიდული.

უდავოა, რომ ამ პროცესმა ძლიერი ბიძგი მისცა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციული ურთიერთობების შემდგომ განვითარებასა და მათი მასშტაბების ზრდას.

რაც შეეხება სახელმწიფოს მარეგულირებელ როლს. როგორც ცნობილია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა შერეული სისტემისაა და სახელმწიფო ასრულებს, როგორც კანონმდებლისა და მის დაცვაზე ზედამხედველის, ასევე მესაკუთრისა და მენეჯერის ფუნქციას, ანუ ბაზრის სმიტისეული „უხილავი ხელი“ დაწყვილებულია კეინზიანურ „ხილულ ხელთან“.

ჩვენი აზრით, რეფორმების საწყის ეტაპზე იგნორირებული სახელმწიფოს მარეგულირებელი როლიდან,[11] გამომდინარე შეიქმნა ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემო.

„... ეკონომიკის რეგულირებიდან სახელმწიფოს ჩამოცილებისას მის ადგილს იკავებს კრიმინალური სტრუქტურები. ასეთია მწარე გამოცდილება, რომელიც ბოლო წლების მანძილზე მომხდარი რადიკალური ცვლილებების შედეგად შეიძინა საქართველომ“.[12]

გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი თვითმიზანი არ არის „შოკური თერაპიისა“ და შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციების ყოვლისმომცველი კრიტიკა. ჩვენ უბრალოდ, გამოვყავით რიგი შეცდომებისა, რომელიც რეფორმების განხორციელების პროცესში იქნა დაშვებული და რა პროცესშიც არ იქნა გათვალისწინებული საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები.

საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვლ. პაპავა აღნიშნავს, რომ „... საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში საქმიანობა მისი ეკონომიკის განვითარებისაკენ, ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მყარი ფინანსური საფუძვლების შექმნისაკენ ... არის მიმართული. ბუნებრივად უნდა იქნეს აღქმული ისიც, რომ არც საერთაშორისო სავალუტო ფონდია დაზღვეული შეცდომებისაგან საზოგადოდ, და კერძოდ საქართველოსთან მიმართებაში“.[13]

ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურებების გაუთვალისწინებლობამ [illegible] რთვის პროცესში დაშვებულმა შეცდომებმა გამოიწვია ის შედეგები, რაც დღეისათვის [illegible] სახეზე. ამასთან, თუ შენ (ჩვენ), არ [illegible] (გაითვალისწინე) შენს [illegible] სებურებები), უცხო ქვეყნის [illegible] გაუჭირდება მისი აღქმა და [illegible] „რეციპიენტი“ ქვეყნის [illegible] გათვალისწინება რჩევების მიმცემისას წარმოდგენილ ქვეყნებში.

ერთ-ერთი უმთავრესი [illegible], რამაც განაპირობა ჩრდილოვანი ეკონომიკის ესოდენ ფართოდ გავრცელება, ჩვენი აზრით [illegible] *„შიშის სინდრომი“ ანუ უნდობლობა ბანკების მიმართ.*

როგორც ცნობილია 90-იანი წლების [illegible] პერიოდში საქართველოში ძალზედ ინტენსიურად მიმდინარეობდა „ერთთვიანი“ ბანკების დაფუძნების პროცესი. ეს ბანკები „ზღაპრული“ საპროცენტო განაკვეთის დაპირებით (მინიმუმ 35%), „აბრუებდნენ“ მოსახლეობას, რომელიც ზოგი გამოუცდელობით (იმის არცოდნით, რომ ასეთი სარგებლის მიცემას ერთ თვეში ვერც ერთი ბანკი ვერ შეძლებდა ლეგალური წყაროებით) და ზოგიც ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გულუბრყვილოდ ენდნენ მათ. ანუ მოსახლეობის უმეტესობამ სწრაფი და მზარდი უკუგების მიღების იმედით გაყიდა მის ხელთ არსებული უძრავ-მოძრავი ქონება (აგარაკები, ბინები, მანქანები, ძვირფასეულობა და სხვა) და აღნიშნულ ბანკებში „საფინანსო აქტივის“ სახით „დააბანდა“. მართალია, ერთი თვის განმავლობაში, ხოლო ზოგი ბანკი უფრო მეტი ხნის განმავლობაში კუთვნილ დივიდენდს „პატიოსნად“ უხდიდა მეანაბრეებს, მაგრამ გარკვეული მცირე პერიოდის შემდეგ დივიდენდის ასაღებად მისულ მეანაბრეს ბანკი დაკეტილი ხვდებოდა - მაკონტროლებელი ან სამართალდამცავი ორგანოების მიერ დალუქული, ხოლო მისი მეპატრონე ზოგი დაჭერილი, ზოგიც კი საზღვარგარეთ გაქცეული. შედეგად წარმოიშვა მოტყუებული მეანაბრეთა უდიდესი არმია, რომლებიც კუთვნილი ფულის დაბრუნებას სამართლიანად მოითხოვენ (მოითხოვენ დღესაც, მაგრამ ისე აქტიურად აღარ). დაიწყო დაუსრულებელი სასამართლო პროცესები, ზოგიერთი მათგანი დღემდე გრძელდება.

შემდგომ პერიოდში საქართველოში ჩამოყალიბდა საკმაოდ სერიოზული და სოლიდური ბანკები, მაგრამ ზემოაღნიშნული გარემოების მიზეზით - ე.წ. „შიშის სინდრომი“, უნდობლობის ფაქტორი - მოსახლეობის ნდობის ხარისხი მათ მიმართ ძალზედ დაბალია. ეს კი, თავის მხრივ ხელს

*[11] აღსანიშნავია, რომ ქვეყნის პრეზიდენტის ე. შევარდნაძის 2000 წლის წინასაარჩევნო [illegible] განვითარება - საქართველოს გზა კეთილდღეობისაკენ გვ. 36) აღიარებულია სოციალური [illegible] მნიშვნელობის აუცილებლობა, რაც თავის მხრივ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში [illegible] მონაწილეობას ითვალისწინებს.*

*[12] ჭითანავა ნ., „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, თბილისი, 1999 წ., ნაწ. II, გვ. 82.*

*[13] პაპავა ვლ., „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები“, თბილისი, [illegible]*





უწყობს საბანკო არხებში უნაღდო ანგარიშსწორების სისტემის დამკვიდრების შეფერხებას, და შესაბამისად მიმოქცევის არხებში ნაღდი ფულის მასის გადიდებას. ხოლო ეს კი დაკავშირებულია ჩრდილოვან გარიგებებთან.

აღსანიშნავია, რომ ბანკებს გარეთ მიმოიქცევა 120-150 მილიონი დოლარის ოდენობის ვალუტა, რაც 1,5-ჯერ აღემატება საბანკო დაწესებულებებში არსებულ სავალუტო დეპოზიტებს[14] და ჩრდილოვან სექტორში მიმოიქცევა.

საქართველოში, დღევანდელ პირობებშიც, შეინიშნება ჩრდილოვანი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რაც იმაში გამოიხატება, რომ *ჯერ კიდევ ძალზედ სუსტია ქვეყნის ეკონომიკური საზღვარი, სრულყოფას საჭიროებს საკანონმდებლო ბაზა, მათ შორის პირველ რიგში საბაჟო და საგადასახადო კანონმდებლობა.* საკმაოდ მოზრდილი მმართველობითი ბიუროკრატია აყალიბებს სხვადასხვა წესებისა და ინსტრუქციების ურთულეს სისტემას და მისი მოუქნელობის გამო მრავალ პრობლემას უქმნის ლეგალური ბიზნესის განხორციელებას და შესაბამისად ჩრდილოვან ეკონომიკის ლეგალიზაციას.

**ე.წ. პოსტკომფლიქტური ზონების პრობლემა - აფხაზეთსა და სამაჩაბლოს რეგიონში.** ამ ზონებში ქვეყნის იურისდიქცია ფაქტორბრივად არ ვრცელდება და ისინი დიდძალი კონტრაბანდული საქონლის შემოდინების უდიდეს წყაროს წარმოადგენენ. ეს გარემოება ქვეყნის შიდა ბაზარზე ლეგალურ და არალეგალურ საქონელს შორის კონკურენციის მაპროვოცირებელ სერიოზულ ფაქტორად იქცა. ამის შედეგად პატიოსანი ბიზნესმენების უმეტესობა „იძულებული“ გახდა შეეცვალა „თამაშის წესები“, ანუ დაიწყო გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება. ეს კი, თავის მხრივ ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბების ზრდის ტენდენციაში აისახა.

საქართველოში, განსაკუთრებით მზარდი ტენდენცია მიიღო კორუფციის განვითარებამ. ცნობილია, რომ საქართველო, ისევე როგორც სხვა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში მყოფი ქვეყნები, ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით - სწრაფი სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები; მტკიცე ნათესაური და ეთნიკური კავშირები; მმართველობის ძველი სტრუქტურების პარალელურად ახალი დაწესებულებების ფორმირება, რომლებიც ხშირად ერთმანეთის დუბლირებას ახდენენ და ძალაუფლების მოპოვებისა და ეკონომიკის ცალკეულ სექტორებზე ზეგავლენისათვის იბრძვიან, რითაც ხელს უწყობენ კორუფციის განვითარებას და სხვა.

პოსტსაბჭოური ქვეყნების ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია, ის რომ სახელმწიფო ხელისუფლება ქვეყნის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად სულ უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებს და ამ მიზნის მისაღწევად იგი ადგენს სხვადასხვა პროგრამებსა და ღონისძიებებს, ასეთი საქმიანობა თავის მხრივ იწვევს ბიუროკრატიული აპარატის გაფართოებას. ამ პირობებში, აღნიშნული პრიგრამებისა და ღინისძიებების განხორციელებას სასურველი ეფექტი არ მოაქვს, ხოლო დამატებით გაზრდილი სახელმწიფო აპარატი კვლავინდებურად განაგრძობს ფუნქციონირებას. მიუხედავად გიგანტური ბიურიკრატიული აპარატისა მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალზედ დაბალია (მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა), რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას. ასეთ პირობებში იგი გარდაიქმნება უკონტროლო ცენტრად, რომელიც საკუთარი ინტერესებისათვის იბრძვის, რის რეალიზაციასაც ახდენს სისტემური გამოძალვებისა და მექრთამეობის მეშვეობით ანუ კორუფციის გამოყენებით.

**ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები საქართველოში.**

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის მიმდინარე ეტაპის უმთავრეს მიმართულებად სამართლიანადაა მიჩნეული ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის შეზღუდვის ამოცანა. ამ დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აღნიშნული მანკიერი მოვლენების მასშტაბების ობიექტური შეფასება, რაც საშუალებას მოგვცემს მათ წინააღმდეგ ადეკვატური პოლიტიკა გავატაროთ.

სხვადასხვა ქვეყანაში, შემუშავებულია ამ მანკიერი მოვლენების შეფასების სხვადასხვა მეთოდიკება, რომლებიც მიახლოებით მონაცემებს გვაძლევენ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ქვედა და ზედა ზღვარს შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაც უფრო დახვეწილია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შეფასების მეთოდობი, მით ნაკლებია ქვედა და ზედა ზღვარს არსებული დიაპაზონი და პირიქით.

სხვადასხვა ექსპერტების შეფასებით ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებმა, ჩვენს ქვეყანაში, კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით იგი მშპ-ს 26-28%-ს შეადგენს, ყოფილი ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით კი 45-50%-ს, მსოფლიო ბანკის ექსპერტების აზრით - 70%-ს აღწევს. არის ცალკეული ექსპერტების უფრო მაღალი შეფასებებისც. აღნიშნული მაჩვენებელი განსხვავებულია ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროსათვის და ცალკეულ შემთხვევებში 60-70%-მდეც კი აღწევს.

*[14] საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, „ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების საგანგებო პროგრამის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების შესახებ“, თბილისი, 2000 წ., გვ. 27.*

მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა კრიტიკულ ზღვარს აღწევს და კარგავს მართვის უნარს, თუ ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 50 პროცენტს აჭარბებს.[15] ეს არის კრიტიკული ზღვარი. ამ ზღვარს ზემოთ წინააღმდეგობა ეკონომიკის ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებს შორის მეორე ხარისხოვანი წინააღმდეგობიდან სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში, იქცევა განმსაზღვრელ წინააღმდეგობად. როცა ჩრდილოვანი ეკონომიკა გამოდის ჩრდილიდან, თავს იჩენს საზოგადოების ყველა სფეროში და იმორჩილებს ყველას და ყველაფერს. ასეთ სიტუაციაში, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკა გამოვიდა ძალოვანი და მაკონტროლებელი სტრუქტურების უწყებრივი ჩარჩოებიდან და საერთო სახელმწიფოებრივ პრობლემად იქცევა.

*აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ეკონომიკური სისტემის მართვის (რეგულირება) რეალური ბერკეტები ჩრდილოვანი სუბიექტების ხელშია.*

დარგებისა და სფეროების მიხედვით ჩრდილოვან ეკონომიკაზე არსებული მონაცემები წარმოგვიდგენს უფრო ნათელ (სკურპულოზურ) სურათს ქვეყანაში არსებული ჩრდილოვანი ეკონომიკისა და მისი ცალკეული „მწვავე უბნების" შესახებ.

მაგალითად, ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის ნავთობპროდუქტები წარმოადგენენ სტრატეგიული მნიშვნელობის საქონელს. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მათ სრულფასოვან აღრიცხვას, კონტროლს და მათი დაბეგვრიდან გადასახადების სრული მოცულობით და დროულად ამოღებას.

ბარენც-ჯგუფის მონაცემებით 1999 წელს ნავთობპროდუქტების დაბეგვრიდან უნდა შემოსულიყო 400 მლნ. ლარი, ხოლო საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით მთლიანად ამოღებული იქნა 83,7 მლნ. ლარი.[16]

ამ ციფრებიდან ნათელია, რომ ნავთობპროდუქტებიდან სავარაუდოდ „ამოუღებელი" ის 316,3 მლნ. ლარი (უდიდესი ნაწილი მაინც) მოხმარდა ჩრდილოვან ურთიერთობებსა და კორუფციულ კავშირებს, საბოლოო ჯამში კი ბიზნესმენებისა და კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეებსა და საბანკო ანგარიშებზე „დაიდო ბინა".

მეტად სოლიდურია იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან მისაღები შემოსავლების დამალვის მასშტაბები.

1999 წელს კომბინირებული ფიქსირებული გადასახადის (ერთ კოლოფზე 25 თეთრის პირობებში), ბარენცის ჯგუფის გათვლებით, ბიუჯეტში უნდა ჩარიცხულიყო, დაახლოებით 142 მლნ. ლარი, თუმცა იმპორტირებული თამბაქოს ნაწარმის დაბეგვრიდან დაიგეგმა 55,6 მლნ. ლარის ოდენობით და ჩაირიცხა 58,7 მლნ. ლარი ანუ დაბეგვრის მიღმა დარჩა ბაზრის 59%.[17]

დიდი ოდენობით კონტრაბანდული და ჰუმანიტარული ფქვილის შემოტანამ კატასტროფამდე მიიყვანა აღრიცხული პურის ცხობაც, რომლის ოდენობამაც 1999 წელს 113 ათასი ტონა შეადგინა, რაც ერთ სულ მოსახლეზე დღეში დაახლოებით 60 გრამს შეადგენს და რაც ფიზიოლოგიურ ნორმასთან (309 გრამი) შედარებით თითქმის 5-ჯერ ნაკლებია.[18]

რეალური შემოსავლების დამალვის თვალსაზრისით მეტად რთული მდგომარეობაა რესტორნებში. როგორც რესტორნებში 1999 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, ბრუნვის რეალური მაჩვენებელი ოფიციალურად დეკლარირებულ მაჩვენებელთან შედარებით მაღალია, შესაბამისად - 78 და 22%.[19]

გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ საზკვების ყველა ობიექტი მომგებიანია. მაგრამ ამ სფეროში აღრიცხვიანობის სისტემის სუსტად ფუნქციონირების გამო, მაკონტროლებელი ირგანოების წარმომადგენლები „თვალის დახუჭვის" სანაცვლოდ ადვილად ურიგდებიან რესტორნის მეპატრონეებს, რომლებიც მათ ყოველთვიურ ფიქსირებულ შემოსავალს უხდიან.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით დამატებითი ღირებულების გადასახადის სახით, სხვაობა პოტენციურ შესაძლებლობასა და ამოღებას შორის 127 მლნ. ლარს უტოლდება, აქციზის ნაწილში - 84 მლნ. ლარს, საბაჟო გადასახდელების ნაწილში - 84 მლნ. ლარს, საშემოსავლო გადასახადის სახით - 85,5 მლნ. ლარი, მოგების გადასახადის ნაწილში - 38,6 მლნ. ლარ, ხოლო სოციალური გადასახადის მიხედვით - 16,7 მლნ. ლარი. აქედან გამომდინარე საერთო ჯამურმა დანაკარგმა 731 მლნ. ლარი შეადგინა და ჩრდილოვან სექტორს შეემატა.[20]

ყოველივე ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სუსტი საგადასახადო ადმინისტრირება და ამ ფონზე ბიზნესმენისა და გადასახადის ამკრეფს შორის დადებული გარიგებების - კორუფციის -

[15] „Российский Экономически Журнал", 1996, №8.
[16] „საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა", თბილისი, 2000 წელი, დეკემბერი, გვ. 12.
[17] იხ. დასახელებული წყარო, გვ. 28.
[18] „საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისის მიზეზების შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა", თბილისი, 2000 წ.. დეკემბერი, გვ. 35.
[19] იხ. დასახელებული წყარო გვ. 47.
[20] ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო, „ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზების საგანგებო პროგრამის ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების შესახებ", თბილისი, 2000 წ., გვ. 7.





მასშტაბების ზრდა. მსოფლიო ბანკისა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტების გაანგარიშებით, მეწარმეები ყოველთვიურად საშუალოდ 233 ლარს ხარჯავენ მარტო ქრთამის სახით. ამ რიცხვის საწარმოთა რაოდენობაზე გამრავლებით მივიღებთ, რომ ყოველთვიურად ქრთამის სახით კორუფციის სფეროს 10 მლნ. ლარი ემატება, ხოლო ყოველწლიურად კი - 120 მლნ. ლარი, 1999 წლის განმავლობაში, უხეში გაანგარიშებით, 120 მლნ. ლარის ქრთამის გადახდის გზით კერძო მეწარმეებმა 1 მლრდ. ლარის გადასახადის დამალვის უფლება მიიღეს.[21]

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებისა და ფორმების ევოლუციის შესწავლამ დაადასტურა, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში ჩრდილოვანი ურთიერთობების მასშტაბები მკვეთრად გაიზარდა. აღნიშნული გარემოება ძირითადად განაპირობა, როგორც ზოგადად გარდამავალი პერიოდის ქვეყნებისათვის, ისე მხოლოდ საქართველოსათვის დამახასიათებელმა ფაქტორებმა. კერძოდ, რეფორმების საწყის პერიოდში არსებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ეკონომიკურმა კრიზისმა; დაუსჯელობის სინდრომმა და კორუფციამ; მოსახლეობის მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ; არასრულყოფილმა საგადასახადო და ზოგადად საფინანსო სისტემამ; ნაკლოვანებებმა საბიუჯეტო პოლიტიკაში, აღრიცხვისა და სახელმწიფო კონტროლის სისტემაში სამეურნეო სფეროს სამართლებრივი რეგულირების არასრულყოფილებამ; რიგი ქვეყნის ექსპანსიურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ჩვენი ქვეყნის მიმართ; ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამ და სხვა.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩრდილოვანმა ეკონომიკამ პირობითად განვითარების ორი ეტაპი განვლო[22].

შეიძლება ჩაითვალოს, რომ პირველ (1991-95 წ.წ.) ეტაპზე ჩრდილოვანი ფაქტორების ზეგავლენა ეკონომიკაზე ნაკლებად დესტრუქციულ ხასიათს ატარებდა და, გარკვეულწილად, ხელს უწყობდა, კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის პირობებში, მოსახლეობის ფიზიკურ გადარჩენას. ამ მოტივით მის წინააღმდეგ ბრძოლაც ნაკლებად აქტიური იყო.

მეორე (1995-99წ.წ.) ეტაპზე ჩრდილოვანი ფაქტორების დესტრუქციული გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. პოლიტიკური სტაბილურობის დამყარებამ და საქართველოს მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა, გარკვეულწილად, ხელი შეუშალა არალეგალური ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, თანამედროვე პირობებში საქართველოში არსებულმა ჩრდილოვანმა ბიზნესმა და მასში ჩართულმა სუბიექტებმა მეტი ბრძოლისუნარიანობა, ახალი რეალიებისადმი ადაპტაციის კარგი უნარი და სახელისუფლო სტრუქტურებში მდგრადი კორუფციული კავშირები შეიძინეს.

აქედან გამომდინარე, დღეისათვის სახეზეა ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების მესამე ეტაპი. მიმდინარეობს მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი და შერწყმა ოფიციალურ სტრუქტურებთან. კერძოდ, წარმოებს ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუმპირებულ მოხელეთა ურთიერთქმედების გარკვეული წესების ფორმირება, რასაც შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების სტრუქტურების კრიმინალიზაცია და კორუფციის მასშტაბების ზრდა.

## ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტი.

ჩრდილოვანი ურთიერთობების განხილვისას დაისმება უამრავი კითხვა, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით წამოიჭრება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. მაგალითად, შეიძლება ყველა არალეგალური, არარეგისტრირებული საქმიანობის აკრძალვა და მიკუთვნება მავნე „მოღვაწეობასთან"? შეიძლება იმის არგათვალისწინება, რომ ჩრდილოვანი საქმიანობა შეიძლება იყოს, როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური (განსაკუთრებით საქართველოს დღევანდელ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში) შედეგების მომტანი? ერთნაირი საქმეა, იარაღისა და ნარკოტიკების წარმოება-რეალიზაცია და პროდუქციისა და მომსახურების არალეგალურად წარმოება-რეალიზაცია? ერთი და იმავე კატეგორიას შეიძლება მივაკუთვნოთ ის მსხვილი ფირმები, რომლებიც მეტად სოლიდურ თანხებს უმალავენ სახელმწიფოს და მოსახლეობის იმ ღატაკი ნაწილის[23] მიერ შინამეურნეობებში, კუსტარულად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების დამალვა? აქ დასმული კითხვების გარდა არსებობს სხვა უამრავი კითხვა რომელიც წარმოიშობა ჩრდილოვან პროცესებთან, რეალურ ცხოვრებაში შეხების დროს და, რომელზეც ცალსახა პასუხის გაცემა, საქართველოს დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, მეტად რთულია.

სწორედ აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, ამ მოვლენის მკვლევარ მეცნიერთა უმეტესობა ხაზგასმით აღნიშნავს ჩრდილოვანი ეკონომიკის გაორებულ ბუნებას, რაც ძირითადად მისი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტითაა განპირობებული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, თუ ჩრდილოვან საქმიანობას განვიხილავთ მოსა-

[21] იქვე
[22] ოთინაშვილი რ., „ჩრდილოვანი ეკონომიკა კორუფცია", 2001 წ.
[23] სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით მოსახლეობის სიღარიბის დონე, საარსებო მინიმუმის მიმართ, საშუალოდ 51%-ს შეადგენს.

ხლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით იგი ერთგვარ პოზიტიურ ფაქტორადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს სათანადო შემოსავლებით უზრუნველყოფს. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, იმ პირობებში, როცა სახელმწიფოს არ შეუძლია სოციალურად დაუცველი მოსახლეობა (საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი) უზრუნველყოს დასაქმებით, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული მოსამსახურეები და პენსიონერები, ისედაც მიზერული ოდენობის ხელფასებისა და პენსიების დროული დარიგებით - ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულებას[24]. არის კიდევ უამრავი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოუგვარებელი პრობლემა, ჩრდილოვანი ეკონომიკა გარკვეული სტაბილიზატორის როლშიც შეიძლება წარმოვიდგინოთ. ვინაიდან, აღნიშნულ პირობებში, იგი ემსახურება მთელი რიგი აქტუალური სოციალური და ეკონომიკური პრობლემების, მეტ-ნაკლებად გადაჭრას.

ამასთან, რომ არ შეგვექმნას ჩრდილოვან ეკონომიკაზე გადაჭარბებულად პოზიტიური წარმოდგენა, აუცილებელია აღინიშნოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რაც ნათლად დაგვანახებს ეკონომიკის არალეგალურ და ლეგალურ ნაწილებს შორის სხვაობას (რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ). კერძოდ, ჩრდილოვანი ეკონომიკის ფართოდ გავრცელების პირობებში, სამი სახის მოთხოვნილებებიდან (პირადი, ჯგუფური და სახელმწიფო) ასე თუ ისე დაკმაყოფილებულია მხოლოდ პირველი ორი - პირადი და ჯგუფური მოთხოვნილებები და ისიც, მხოლოდ საზოგადოების გარკვეულ ნაწილზე. ხოლო, როდესაც ძლიერია ლეგალური ეკონომიკა ანუ მეტად მცირეა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები, დაკმაყოფილებულია აღნიშნული სამივე კატეგორიის მოთხოვნილებათა სფერო. ვინაიდან სახელმწიფოს აქვს სათანადო შემოსავლები, ანუ დაკმაყოფილებულია მესამე - სახელმწიფოს მოთხოვნილება, რითაც იგი უზრუნველყოფს მოსახლეობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ე.ი. მას ძალუძს გაატაროს პირადი და ჯგუფური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პოლიტიკა. ცხადია, ნებისმიერი მოქალაქისა თუ დაჯგუფების უპირველეს ინტერესს უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოებრივი მოთხოვნილებების დაკაყოფილების უზრუნველყოფა (იგულისხმება კანონმორჩილება, გადასახადების გადახდა და სხვა), რა თქმა უნდა დემოკრატიული საზოგადოების პირობებში.

ამიტომ, ჩვენი აზრით მართებული იქნება ჩრდილოვანი ეკონომიკის ფენომენის განხილვისას გავითვალისწინოთ, ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დონე (დემოკრატიულობის ხარისხი, სამოქალაქო ცნობიერების დონე, სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და სხვა) და მოცემულ ქვეყანაში მისი გამოვლინების თავისებურებების მიხედვით გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები.

საერთო ჯამში კი, საერთო განვითარების თვალსაზრისით:

**ეკონომიკურად** - განვიტარებად ქვეყნებში აფერხებს ეკონომიკური რეფორმების სრულყოფილად წარმართვას; თრგუნავს ჯანსაღ კონკურენციას; მოსახლეობის მასობრივი გაღატაკების კვალობაზე, ხელს უწყობს ცალკეული ინდივიდების (ოლიგაქრქიული დაჯგუფებების, კლანების) გამდიდრებას; განაპირობებს ბიუჯეტის ქრონიკულ დეფიციტს; საფინანსო-ეკონომიკური აღრიცხვიანობის მოშლას; სახელმწიფო ვალების ზრდას და ა.შ.

**სოციალურად** - სიღატაკის უმკაცრესი ფორმების წარმოშობას და მისი მასშტაბების ზრდას; საგანმანათლებლო სისტემის მოშლას და აღიარებული სამეცნიერო ფასეულობების დაკნინებას; მოსახლეობის უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას[25] და ამ ფონზე სიკვდილიანობის ზრდას; უპატრონო და მათხოვარი ბავშვების (და არა მარტო მათი) მომრავლებას; ყველაფერი ამის ფონზე სოციალური მდგომარეობის უკიდურესად გამწვავებას და ა.შ.

**პოლიტიკურად** - ლახავს ხელისუფლების ავტორიტეტს საერთაშორისო არენაზე;[26] ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლო ორგანოებში ინიშნებიან (ირჩევიან) სხვადასხვა „კლანების" წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობის სავალალო მდგომარეობის გამოსწორებაზე ზრუნვის ნაცვლად, თავიანთი ბიზნესისა და პოლიტიკური ამბიციების დამკვიდრება-გაფართოებას ემსახურებიან; ბიუროკრატიული აპარატის მასშტაბების ოპტიმიზაციის „ნიღბით" უსაშველოდ იზრდება მისი მოცულობა და ამ პროცესში სხვადასხვა სტრუქტურების ხელმძღვანელები ადვილად ახერხებენ მათთვის არასასურველი, ხშირ შემთხვევაში წესიერი და კომპეტენტური ხალხის ჩანაცვლებას თავიანთთვის მისაღები (ახლობელი) კადრებით; მცირდება ხელისუფლებისადმი ნდობის ხარისხი მოსახლეობის მხრიდან, იზრდება ამ ორ ფენას შორის გაუცხოვება და შესაბამისად დაძაბულობაც, ხელისუფლების ნებისმიერი კეთილშობილური წამოწყება ვერ პოულობს მხარდაჭერას მოსახლეობის ფართო ფენებში; იქმნება სოციალური აფეთქების უდიდესი საშიშროება და ა.შ.

**მორალურ-ფსიქოლოგიურად და ეთიკურად** - ქვეყანაში მკვიდრდება დაუსჯელობის სინდრომი; კლებულობს სამოქალაქო და კანონმორჩილების კულტურა; მახინჯდება პატიოსანი კაცის ფასეულობები (ხშირ შემთხვევაში იგნორირდება);[27] იქმნება რეალური გარემო იმისა, რომ ნებისმიერი საქმის გაკეთება შესაძლებელია ფულით ან გავლენიანი ახლობლების მეშვეობით და, რაც ყველაზე მთავარია - მომავალი თაობა იზრდება ამ დამახინჯებული ურთიერთოებების პარალელურად და მათ ავტომატურად უვითარდებათ ყველა ეს ნეგატიური ნიშანთვისებები.

გარდა ზემოთ აღნიშნული, ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოვლინებების და მისი ფუნქციონირებით გამოწვეული ნეგატიური შედეგებისა, არსებობს სხვა უამრავი პრობლემა, რომელსაც ეროვნული ეკონომიკის არალეგალური სექტორის არსებობა განაპირობებს. რა თქმა უნდა, ძნელია სტატიაში ამ პრობლემების ამომწურავად დასმა და სრულად ასახვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ჩამონათვალიც მხოლოდ ნაწილია, იმ საუბედურო შედეგებისა, რასაც კორუფციის ინსტიტუცუონალიზაცია განაპირობებს და ეს ფრაგმენტული სურათიც ვერ ქმნის ჩრდილოვანი ეკონომიკის მზარდი მასშტაბებით ფუნქციონირებით გამოწვეული ნეგატიური შედეგების შესახებ სრულ წარმოდგენას. ამიტომაც, ხელისუფლებამ თავის უპირველეს მიზნად უნდა დაისახოს ჩრდილოვან გამოვლინებებთან და კორუფციასთან ბრძოლა - საქართველოს მაგალითზე, ამის სიმპტომები ჯაჩნდა კიდეც[28] და ხელისუფლების რეალური პოლიტიკური ნების კვალობაზე კორუფციის შეზღუდვა სულაც არ გახლავთ აუხდენელი ოცნება - მისი მასტიმულირებელი გარემოებებისა და თანმდევი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა-ნეიტრალიზაციის მიმართულებით.

ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდვის მიზნით დღემდე განხორციელებული პოლიტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამთავრობო სტრუქტურების დაბალი საშემსრულებლო დისციპლინისა და ამავე დროს, კორუფციის მიმართ საზოგადოებაში ჩამოყალიბებული არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულების, გარკვეული „შემგუებლობის სინდრომის" გამო ფერხდებოდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზებისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის კონკრეტული ღონისძიებების გატარება, ვინაიდან აღნიშნული ამოცანის წარმატებულ განხორციელებას მთელი საზოგადოების, მისი თითოეული ფენის თანადგომა და ერთიანი ძალისხმევა სჭირდება.

უდავოა, რომ ეკონომიკური განვითარების პერსპექტივაში, ჩრდილოვან გამოვლინებებთან ბრძოლის პროცესში, აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ის სავარაუდო შედეგები (როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური), რომელიც ამა თუ იმ ღონისძიების გატარებამ შეიძლება მოგვცეს არსებულ სიტუაციაში.

---

[24] მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის (1995 წლის 24 აგვისტო) პირველი თავის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „შრომის უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები" ან იქვე 32-ე მუხლში ვკითხულობთ „სახელმწიფო ხელს უწყობს უმუშევრად დარჩენილ საქართველოს მოქალაქეს დასაქმებაში ..."

[25] მოსახლეობის უმეტესობა, უფულობის გამო, ექიმს ძალიან იშვიათად მიმართავს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ამა თუ იმ ორგანოს დაავადებით გამოწვეული ტკივილის ფიზიკურად ატანა მას აღარ ძალუძს.

[26] ამის დადასტურებაა საქართველოს მაგალითი, როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციებმა, გარკვეული პერიოდით, შეწყვიტეს ტრანშების გამოყოფა.



[27] თუ არაკორუმპირებული პიროვნება დაიკავებს მაღალ ან საშუალო სახელმწიფო თანამდებობას მასზე იტყვიან, „ადგილს აფუჭებსო".

[28] საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის №95 ბრძანებულება „ზოგიერთი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიებების შესახებ".

# [illegible]

ნარიმან ტერაშვილი
ალეკო კირვალიძე

საქართველოში არაოფიციალური ოფშორული ტერიტორიების არსებობა და არასანქცირებული საზღვრისპირა არაორგანიზებული ვაჭრობა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე. ოფშორების მეშვეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის გვერდის ავლით, უდიდესი თანხა ტოვებს საქართველოს ტერიტორიას უცხოური ვალუტის სახით. უკანასკნელი შვიდი წლის (1994-2000წწ.) მანძილზე საქართველოს საგარეო ვაჭრობას საქონელბრუნვის უდიდესი უარყოფითი სალდო ახასიათებს. ცხრილი 1-დან ჩანს, რომ ამ წლებში საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა ჯამში 3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 1994-2000 წლებში, მლნ აშშ დოლარი[1]

ცხრილი 1.

| წლები | ექსპორტი | იმპორტი | საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდო |
|---|---|---|---|
| 1994 | 151,7 | 337,3 | - 185,6 |
| 1995 | 151,7 | 396,2 | - 244,5 |
| 1996 | 198,8 | 686,8 | - 488,0 |
| 1997 | 239,8 | 941,7 | - 701,9 |
| 1998 | 192,3 | 884,3 | - 692,0 |
| 1999 | 238,2 | 601,9 | - 363,7 |
| 2000 | 329,9 | 700,2 | - 370,3 |
| 1994-2000 | 1502,4 | 4548,4 | - 3046,0 |

საგარეო ვაჭრობიდან შემოსავლების დაკარგვა და ქვეყანაში დამატებითი ფინანსური საშუალებების მოზიდვის აუცილებლობა გარკვეულწილად დაკავშირებულია კრიზისულ წლებში დაწყებულ კაპიტალის გაქცევის პროცესთან, რომელიც საქართველოში არ შეწყვეტილა და ზრდის ტენდენცია ახასიათებს. საზღვარგარეთ გასული ეროვნული ინვესტიციების რეგისტრაციის, აღრიცხვის და კონტროლის ქმედითი სისტემის უქონლობის გამო შეუძლებელია საქართველოდან „გაქცეული" კაპიტალის ოდენობის ზუსტი შეფასება. მიახლოებითი გათვლებით, უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე საქართველოდან გადინებულია 300-1000 მლნ აშშ დოლარი, რის გამოც განუხრელად იზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, ეს კი ქვეყნის ეკონომიკის ძალიან ღრმა და სერიოზული შინაგანი კრიზისის მაჩვენებელია. საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაცია და წარმოების მომსახურებისათვის ეროვნული ვალუტის აბსოლუტურად არასაკმარისი რაოდენობა (სახელმწიფო ბიუჯეტის და ბანკების გვერდის ავლით აღურიცხავი ფულის მასის დიდი ოდენობით ტრიალის გამო) უკვე რეფორმების შემაფერხებელ მიზეზად გადაიქცა.

საქართველოდან, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან, კაპიტალის გაქცევის უმთავრეს მიზეზს საგადასახადო სისტემა წარმოადგენს. სამწუხაროდ, ჩვენთან ჩამოყალიბდა საბაზრო ურთიერთობების ფრიად მახინჯი ფორმა, როცა ოფიციალურ გადასახადებთან ერთად მოქმედებს არაფორმალური საგადასახადო წნეხი (ბიზნესიდან მიღებულ შემოსავალში „კრიშა"-მეწილეების სახით), რაც იწვევს მეწარმეთა განდგომას სახელმწიფოსაგან და აიძულებს ეძებოს გადასახადების სრული ოდენობით გადახდისაგან თავის არიდების გზები. ბიზნესმენთა უმრავლესობისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები და ოფშორული ტერიტორიები წარმოადგენენ იმ „საგადასახადო ოაზისებს", სადაც კაპიტალი დაცულია გარეგანი ზედმეტი ზემოქმედებისაგან, და რომ არ ყოფილიყო ამგვარი „ოაზისები", მაშინ კაპიტალი „გაიქცეოდა" სხვა, ნებისმიერ „ჩვეულებრივ" ქვეყანაში, სადაც შედარებით ლოიალური საგადასახადო სისტემა არსებობს.

ის ფაქტი, რომ საქართველოში არსებული ბიზნეს-გარემო ბიზნესმენებს საგადასახადო ტვირთის შემცირებისათვის ოფშორული სქემების გამოყენებისაკენ უბიძგებს, ხელისუფლების

[1] *შედგენილია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე*





მხრიდან სათანადო რეაგირებას საჭიროებს, რაც მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს უზრუნველმყოფი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში უნდა გამოიხატოს. თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ფაქტორი. გარდა სახელმწიფო კურსისა და მიღებული კანონებისა, არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც აიძულებენ კაპიტალს, დატოვოს ქვეყანა. „არაკრიმინალური" წარმოშობის კაპიტალი, როგორც წესი, არ გაედინება ქვეყნიდან, სადაც პოლიტიკური მდგომარეობა სტაბილურია, ეკონომიკური სისტემა მდგრადია, გააზრებული საგადასახადო ნორმებია, ფულად-საკრედიტო სისტემა მყარი წესებით რეგულირდება, შიდა ბაზარზე არსებობს შედარებით იაფი კრედიტების მიღების შესაძლებლობა, გამარტივებულია ადმინისტრაციული პროცედურები, მაღალია ინფრასტრუქტურის ხარისხი და სამუშაო ძალის კვალიფიკაცია. სამწუხაროდ, საქართველო სრულად ვერც ერთ ამ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

## ოფშორული ბიზნესისგან მომდინარე საფრთხე

ოფშორულ ტერიტორიებს გადასახადების ამკრეფნი „შავ ხვრელებს" უწოდებენ. და მართლაც, ოფშორები წარმოადგენს „სატყუარას" უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. ოფშორული ზონების მქონე სახელმწიფოები მილიონობით დოლარის მოგებას ნახულობენ მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბანკებისა და კომპანიებისაგან, ლიცენზიებისა და ჰონორარების სახით. ტერიტორიისათვის ოფშორული ბიზნესი არის შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, გადაანაწილოს ფინანსური ნაკადები, მიიღოს განვითარებისათვის დამატებითი რესურსები დაასაქმოს თავისი მოსახლეობა. თავისუფალი ზონის სტატუსის გამოცხადება ან მინიჭება ხორციელდება სახელმწიფო დონეზე. ოფშორული ზონებისათვის დამახასიათებელი რეჟიმები ძირითადად მიკრო-სახელმწიფოებში, შორეულ ეგზოტიკურ კუნძულებზე ან პროვინციებში ყალიბდება.

სპეციალისტები გამოყოფენ ოფშორული ქვეყნების 3 ჯგუფს:

1. *მაღალი პოლიტიკური სტაბილურობით გამორჩეული მცირე ზომის სახელმწიფოები, ან ტერიტორიები. ასეთებია: ბაჰამის კუნძულები, ანტიგუა, ბარბუდა, ბარბადოსი, ვირჯინიის კუნძულები, გრენადა, ვანუატუ, ნაურუ, სეიშელის კუნძულები და სხვა.* როგორც წესი, მათ საკანონმდებლო და ნორმატიულ აქტებში არ მოიპოვება პრაქტიკულად არავითარი მოთხოვნა ბიზნეს-ანგარიშვალდებულების შესახებ. ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც ამ ტერიტორიებზე მოქმედებს, ეს არის ფიქსირებული ყოველწლიური საბიუჯეტო მოსაკრებელი. „თქვენი ფინანსური საქმიანობის სრული საიდუმლოების შენახვა", „წლიური საგადასახადო ანგარიშის არარსებობა", „ნებისმიერი წარმომავლობის ფირმის რეგისტრაცია 24 საათის განმავლობაში", „არანაირი საგადასახადო ვალდებულებები და რაიმე ხელშეკრულებები სხვა სახელმწიფოებთან", „სრული ანონიმურობა", „მოქალაქეობის უფლების გაყიდვა, ახალი სახელითა და ახალი პასპორტით" - ამ და სხვა მსგავსი სარეკლამო პროსპექტებით იზიდავენ მიკრო-სახელმწიფოები თავისი ოფშორული ზონებისაკენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბიზნესმენებს. ასეთი მომსახურება განსაკუთრებით მოსწონთ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლებს და იმ ბიზნესმენებს, რომელთა საქმიანობა ლეგალურ ჩარჩოებს სცდება.

2. *ტრადიციულ ფინანსურ სამოთხეებად წოდებული სახელმწიფოები (შვეიცარია, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, კვიპროსი, ირლანდია და სხვა).* ამ ქვეყნებში რეგისტრირებული ფირმები ვალდებულნი არიან ყოველწლიურად დაამტკიცონ, რომ ქვეყნის შიგნით ბიზნესს არ ეწევიან, რისთვისაც წელიწადში ერთხელ უნდა გაიარონ სავალდებულო აუდიტური შემოწმება და მოამზადონ დაწესებული ანგარიშები. უკანასკნელ პერიოდში ეს ქვეყნები თანდათან კარგავენ მიმზიდველობას კაპიტალის დასაბანდებლად, ვინაიდან, საერთაშორისო საზოგადოების მძლავრი ზეწოლის შემდეგ, მათ თავისი საალრიცხვო მონაცემები გახსნეს და მისაწვდომი გახადეს. ამის გამო მსოფლიოს კრიმინალურ სინდიკატებს ფინანსების დასაბინავებლად ახალი თავშესაფრების ძებნა უხდებათ და ისინი, როგორც წესი, პირველი ჯგუფის ქვეყნებს აკითხავენ. სწორედ ეს ტენდენცია შეინიშნება ამჟამად.

3. *ქვეყნები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა და სხვა), რომელთა ცალკეულ რეგიონებში, ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტში მოღვაწე ფირმებისათვის დაწესებულია გარკვეული შეღავათები.* ეს ქვეყნები პირობითად შეიძლება მიეკუთვნონ ოფშორულ ზონებს. ფირმები ვალდებულნი არიან წარუდგინონ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს თავიანთი მოღვაწეობის ამსახველი ანგარიშები.

სავარაუდოა, რომ ოფშორული ბიზნესის იდეა საწყის ეტაპზე სულაც არ ატარებდა უარყოფით ზრახვებს. ეს იდეა, ერთის მხრივ, მიზნად ისახავდა ბანკებისა და კომპანიებისათვის საერთაშორისო და შიდა სავაჭრო გარიგებების განხორციელების გაადვილებას, ხოლო, მეორეს მხრივ, ზოგიერთი ტერიტორიისათვის დამატებითი შემოსავლების მიღების უფლების მიცემას. მაგრამ დროთა განმავლობაში ოფშორული ინდუსტრია უცოდველი საბაზრო ნიშიდან გარდაიქმნა უზარმაზარ და აგრესიულ ელემენტად. იგი უკვე მრავალ პრობლემას უქმნის მსოფლიო საფინანსო სისტემას.

დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებით, დღეისათვის მსოფლიოს ოფშორულ სექტორში

ჩადებული ფული, არც მეტი, არც ნაკლები, 8 ტრილიონი აშშ დოლარია. ამ ფულის ერთი მესამედი, ნახევარი თუ არა, ნარკობიზნესითა და იარაღის ვაჭრობით დაკავებულ კრიმინალურ სინდიკატებზე მოდის. ამიტომ უკვე მიდის აქტიური საუბარი ოფშორული ზონების საერთოდ გაუქმების შესახებ.

„ახალ-ახალი და სრულიად დაფარული

**დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასებით, დღეისათვის მსოფლიოს ოფშორულ სექტორში ჩადებული ფული, არც მეტი, არც ნაკლები, 8 ტრილიონი აშშ დოლარია.**

ოფშორული ცენტრების შექმნა და მოქალაქეობის გაყიდვა ეკონომიკური მიზნებით, დიდ საფრთხეს უქმნის შეერთებული შტატების ეროვნულ უსაფრთხოებას" - აცხადებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარატამენტის თანამშრომელი ჯონათან ვაინერი, ხოლო ფინანსური მაქინაციების მკვლევარი, ამერიკელი ექსპერტი ჯეკ ბლუმი აცხადებს, რომ „ის საბანკო საიდუმლოება, რაც ოფშორული ფულის ინდუსტრიას მოსავს, აბსოლუტურად მიუღებელია გლობალური ეკონომიკისთვის".

ისმის კითხვა: მაინც რა პრობლემებს წარმოშობს ოფშორული ზონების რაოდენობის ზრდა და ოფშორული ბიზნესის განვითარება?

განვიხილოთ რამოდენიმე, ყველაზე სერიოზული პრობლემა:

*1. მსოფლიო ფინანსური დისპროპორციების წარმოშობა და თავისუფალი კონკურენციის დარღვევა;*

*2. ოფშორულ ბრუნვაში კრიმინალური წარმოშობის ფულის დიდი ოდენობით მოხვედრა;*

*3. ოფშორული ცენტრების გადაქცევა „ჭუჭყიანი" კაპიტალის „გადასატვირთ პუნქტებად", უკანონო გზებით ნაშოვნი ფულის გარეცხვის საშუალებად;*

*4. გადასახადებისგან და სავალუტო კონტროლისგან თავის არიდების სქემების ძირითად რგოლად ჩამოყალიბება.*

განვითარებული ქვეყნები ჩივიან იმ ნეგატიური მოვლენების გამო, რასაც ეროვნული და ოფშორული საგადასახადო სისტემების შეუსაბამობა იწვევს, კერძოდ, ხდება კლიენტების, კაპიტალის და მოგების ინტენსიური გადინება. მეორეს მხრივ, განვითარებული ქვეყნები აღშფოთებულნი არიან ფინანსური ოპერაციების ჩასატარებლად ოფშორებში არსებული მეტისმეტად ლიბერალური პირობებით და საეჭვო გარიგებებისაგან თავის დაცვის არასაკმარისი გარანტიებით. ოფშორული გარიგებების და თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, განსაკუთრებით ინტერნეტის ქსელის გამოყენებით, მნიშვნელოვნად გამარტივდა და გაადვილდა ფულის „ჭუჭყიანი" წარმომავლობის დაფარვა.

ოფშორები მეტად ღრმად შეიჭრნენ მსოფლიოს სოლიდური, წამყვანი კომპანიების და სამაგალითო რეპუტაციის მქონე ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობაში. დასავლეთის თითქმის ყველა წამყვან ბანკს გააჩნია ე.წ. „საფარველი (ბანკი)" ოფშორულ ცენტრებში. ოფშორების მომსახურებით ფართოდ სარგებლობენ ტრანსნაციონალური კორპორაციებიც, რადგან ოფშორული ზონები ფრიად მოსახერხებელია არა მარტო საკუთარი ქონების და შემოსავლების მაღალი ბეგარისაგან დასაცავად, არამედ ინსვეტიციების განსახორციელებლადაც.

მაგალითად, თუ გავეცნობით რუსეთის ფედერაციაში წამყვანი ორგანიზაციების და დაწესებულებების აქციონერთა რეესტრს, როგორ და ვის შორის არის განაწილებული აქციები, ალმოჩნდება, რომ საზღვარგარეთელი ინვესტორების დიდი ნაწილი სწორედ ოფშორულ ზონებშია დაფუძნებული და რუსული ფესვების მქონე ბანკებიც მრავლადაა იქ გაბნეული. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბრუნვა აქვს „Ecumene Banc, Inc"-ს (კუნძულ ნაურუზე), რომლის მეშვეობითაც ახდენს ანგარიშსწორებას „Itera International Energy LLC" (ფლორიდა, აშშ; ლიმასოლი, კვიპროსი), რუსული „ИТЕРА, Русь" და ამ კომპანიის მთელი რიგი ქვეორგანიზაციები. ეს ინფორმაცია საყურადღებოა: როგორც ცნობილია, „იტერა" წარმოადგენს „ГАЗПРОМ"-ის ძირითად ოპერატორს დსთ-ს ბაზარზე, იგი არის ბუნებრივი აირის ექსკლუზიური მიმწოდებელი უკრაინაში, ბელარუსში, საქართველოში და, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ „იტერას" ოფშორული სქემების მიხედვით გაედინება არა მარტო რუსული, არამედ უკრაინული, ბელარუსული და ქართული ფულიც.

ოფშორული ზონების მიმართ მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის, გაეროს, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა: ისინი უკვე „იმუქრებიან", რომ ოფშორული ზონები ჯერ მკაცრ სტანდარტებში უნდა მოექცეს, შემდეგ კი მათი საერთოდ გაუქმების საკითხი შეიძლება დადგეს.

ოფშორული ბიზნესის მიმართ მსოფლიო საზოგადოებრიობის ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოში საწინააღმდეგო ტენდენცია ვითარდება: პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით „ოფშორული ოაზისების" მომსახურების ფართო რეკლამირება მიმდინარეობს. იგი სავსებით ლეგალურად ხორციელ-





დება და დიდი მოწონებითაც სარგებლობს საქართველოს საქმიან წრეებში, მაგრამ, როდესაც იგივე ოფშორების მომსახურებით ხელისუფლების წარმომადგენლები, ენერგეტიკის, ძალოვანი, საბაჟო და საგადასახადო სამსახურების ცალკეული თანამშრომლები ინტერესდებიან, მაშინ ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება სერიოზული საფრთხის წინაშე დგება.

## თავისუფალი ეკონომიკური ზონების საკითხი

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების პრაქტიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონები ფრიად გავრცელებულია. მათი რიცხვი მსოფლიოში 2 ათასს აღწევს. თავისუფალი ეკონომიკური ზონა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისა და მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებთან მისი დაკავშირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. შედარებით გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ისეთი ზონა, რომელშიც უცხოური ინვესტიციების მოზიდვასტიმულირება და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის განვითარება შეღავათიანი საბაჟო რეჟიმით ხდება.

თანამედროვე თეორიულ ნაშრომებში,

**თავისუფალი ზონა - ეს არა მხოლოდ და არა იმდენად განცალკევებული გეოგრაფიული ტერიტორიაა, არამედ ეროვნული ეკონომიკური სივრცის ნაწილია, სადაც მოქმედებს შეღავათებისა და სტიმულების სპეციფიკური სისტემა.**

რომლებიც თავისუფალი ზონების პრობლემებს შეეხება, თავისუფალი ეკონომიკური ზონა განისაზღვრება როგორც ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოებრივი ჩარევის მასშტაბების სელექციური შემცირების ინსტრუმენტი. ამგვარი ფორმულირება მოიცავს მეურნეობრიობის პრეფერენციული რეჟიმის მოქმედებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ინსტიტუციონალური მოვლენების ფართო სპექტრს.

საერთაშორისო, სამართლებრივ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება „საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის შესახებ" საერთაშორისო კონვენციაში მოყვანილი განმარტება:

„თავისუფალი ზონა - ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფარგლებში მოთავსებული საქონელი ჩვეულებრივ განიხილება როგორც საბაჟო ტერიტორიის გარეთ მყოფი საიმპორტო ბაჟის და გადასახადების მიმართ".

ამგვარად, თავისუფალი ზონა - ეს არა მხოლოდ და არა იმდენად განცალკევებული გეოგრაფიული ტერიტორიაა, არამედ ეროვნული ეკონომიკური სივრცის ნაწილია, სადაც მოქმედებს შეღავათებისა და სტიმულების სპეციფიკური სისტემა.

თავისუფალ ზონებს, როგორც წესი, არ უკავიათ დიდი ფართობი. ჩვეულებრივ ეს არის 1-8 კვადრატული კილომეტრი. ამ ფართობზე განლაგებულ ობიექტებს გარკვეული დროის (5-7 წლის) განმავლობაში ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადები არ შეაქვთ. ეს გარემოება ბევრად განაპირობებს ზონის ადგილმდებარეობის შერჩევას. აქ უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას სხვადასხვაგვარი შედეგები მოსდევს იმის მიხედვით, თუ როგორია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე.

განვითარებულ ქვეყნებში უპირატესობა ენიჭება საგარეო ვაჭრობის თავისუფალ რეჟიმს, საწარმოო ზონებს და სამეცნიერო-ტექნიკურ პარკებს, განვითარებად ქვეყნებში კი ტექნოლოგიური განვითარების პარკებს და საიმპორტო-სამრეწველო ზონებს. ხშირად გამოიყენება აგრეთვე საწარმოთაშორისო სატრანსპორტო სისტემების განსაკუთრებული რეჟიმები. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა განსაკუთრებით რთულია პოლიტიკურად და ეკონომიკურად არასტაბილურ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკას არა აქვს მყარი პოზიცია. ქვეყნის მმართველ წრეებს უხდებათ უცხოელი ინვესტორების მოთხოვნათა საფუძვლიანი შესწავლა და შეჯერება ქვეყნის ინტერესებთან.

თავისუფალი ზონების საყოველთაოდ მიღებული ტიპოლოგია ამჟამად არ არსებობს. ორგანიზების ხერხებისა და სამეურნეო სპეციალიზაციის მიხედვით მათი კლასიფიკაციის

**თავისუფალი ზონების საყოველთაოდ მიღებული ტიპოლოგია ამჟამად არ არსებობს**

მცდელობაა წარმოდგენილი 1 სქემაზე.[2]

არსებობს ორი განსხვავებული კონცეფტუალური მიდგომა თავისუფალი ზონების ორგანიზების მიმართ: ტერიტორიული და ფუნქციონალური. პირველი მიდგომის თანახმად, ზონა განიხილება როგორც განცალკევებული ტერიტორია, სადაც ყველა რეზიდენტი საწარმო სარგებლობს სამეურნეო საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმით, ხოლო მეორე მიდგომის თანახმად, ზონა არის შეღავათიანი რეჟიმი, გამოყენებული სამეწარმეო საქმიანობის განსაზღვრული სახეობის მიმართ, ფირმების ადგილმდებარეობისაგან დამოუკიდებლად.

---

*[2] Н. Смородинская, А. Капустин - Свободные экономические зоны: мировой опыт и российские перспективы. - Вопросы экономики, 1994,. №12, с. 127.*

პირველი მიდგომის რეალიზაციის შედეგია ვრცელი ადმინისტრაციული რაიონების შექმნა თავისუფალი ზონების სტატუსით, ხოლო მეორისა - წერტილოვანი ზონები, რომლებიც წარმოდგენილია ცალკე საწარმოს სახით.

დიდი პრაქტიკული განვითარება ჰპოვა სამრეწველო პარკებმა, მცირე ზომის ლოკალურმა ტერიტორიებმა, სადაც ორივე მიდგომის აღნიშნული განსხვავებები ნიველირებულია (ჰონკონგი, სინგაპური, სამხრეთ კორეა, მექსიკა და სხვა).

ზონაში მოქმედი სუბიექტების საქმიანობის პროფილის, ანუ სამეურნეო სპეციალიზაციის ნიშნის შესაბამისად არსებობს თავისუფალი ვაჭრობის, სამრეწველო, საწარმოო, ტექნიკურ-დანერგვითი, სერვისის და კომპლექსური ზონები.

*თავისუფალი ვაჭრობის ზონები* წარმოადგენენ კომპაქტურ ტერიტორიულ წარმონაქმნებს, რომლებიც გამოყვანილია ეროვნული საბაჟო ტერიტორიის ფარგლებიდან. აქ ხორციელდება შემოტანილი საქონლის საწყობებში განთავსებისა და ჭასაღების ბაზრების პირობებისადმი ადაპტირების ოპერაციები (შეფუთვა, მარკირება, ხარისხის შემოწმება და სხვა). ამ ტიპის ზონების უპირატესობა ის არის, რომ ისინი უმნიშვნელო სასტარტო კაპიტალდაბანდებებს საჭიროებენ და სწრაფი უკუგებით ხასიათდებიან.

*სამრეწველო-საწარმოო ზონები* სპეციალური საბაჟო რეჟიმის მქონე ტერიტორიებია, სადაც სამრეწველო კომპანიები საექსპორტო ან იმპორტშემცვლელი პროდუქციის წარმოებისას განსაზღვრული ფისკალური და ფინანსური შეღავათებით სარგებლობენ.

*სავაჭრო-საწარმოო ზონები* თავისუფალი სავაჭრო და იმპორტშემცვლელი საწარმოო ზონების რეჟიმების კომბინაციის შედეგია.

*ტექნიკურ-დანერგვით ზონებში* კონცენტრირებულია ეროვნული და საზღვარგარეთული კვლევითი, საპროექტო და სამეცნიერო-საწარმოო ფირმები, რომლებიც ფისკალური და ფინანსური შეღავათების ერთიანი სისტემით სარგებლობენ. სპეციალისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ასეთი ზონების კლასიფიკაციის საკითხებზე. ზონების აღნიშნულ მოდელთან ყველაზე ახლოსაა სამეცნიერო პარკები და ტექნოპოლისები.

*სერვისის ზონები* წარმოადგენენ სამეწარმეო საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმის მქონე ტერიტორიებს იმ ფირმებისა და ინსტიტუტებისთვის, რომლებიც გარკვეული ხასიათის საფინანსო და არასაფინანსო მომსახურებას ეწევიან. სერვისის ზონებს განეკუთვნებიან აგრეთვე *ოფშორული* წარმონაქმნები, სადაც იურიდიული პირები, რომლებიც არ მისდევენ სამეურნეო საქმიანობას მოცემულ ტერიტორიაზე, სარგებლობენ რეგისტრაციის გამარტივებული რეჟიმითა და საგადასახადო შეღავათებით.

*კომპლექსური ზონები* ყალიბდება განსაკუთრებული შეღავათიანი სამეწარმეო საქმიანობის რეჟიმის შემოღებით ცალკეული ადმინისტრაციული წარმონაქმნების ტერიტორიაზე.

თავისუფალი ზონები იქმნება ერთიანი ლოგიკური სქემის მიხედვით: სამეურნეო საქმიანობის განსაზღვრული სახეობების და მიმართულებების წახალისება საინვესტიციო კლიმატის სელექციური ლიბერალიზაციის გზით.

საექსპორტო-საწარმოო ზონების წარმოქმნის ლოგიკა განპრობებული იყო განვითარებადი ქვეყნების პრაქტიკით, როდესაც 60-იანი წლების შუახანებში წარმოიშვა სამრეწველო ექსპორტისა და დასაქმების სტიმულირების აუცილებლობა. შედარებითი უპირატესობების თეორიის თვალსაზრისით ეს ლოგიკა საკმაოდ მარტივია: თუ ქვეყანას, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის ფართოდ გაღება უცხოური სამეწარმეო კაპიტალისთვის, ან მიმართოს საექსპორტო ექსპანსიის საყოველთაო სტიმულირებას, მაშინ მას ეს შეუძლია გააკეთოს თავისუფალი ზონების ფარგლებში, სადაც მთავრობას შესაძლებლობა აქვს გაატაროს სხვანაირი სამრეწველო პოლიტიკა და შექმნას სპეციალური, უფრო ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი უცხოური კაპიტალისთვის.

თავისუფალი მეწარმეობის ზონების შექმნის ლოგიკა გამომდინარეობს იმ განვითარებული ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ნეოკონსერვატიული ვარიანტიდან, რომლებმაც 80-იანი წლების დასაწყისში მიზნად დაისახეს მცირე და საშუალო ბიზნესის გამოცოცხლება დეპრესიულ რაიონებში.

შესაბამისად, წარმოქმნის საკუთარი ლოგიკა გააჩნიათ იმპორტშემცვლელ ზონებსაც და 80-იან წლებში აღმოცენებულ ტექნოპოლისებსა და სამეცნიერო პარკებსაც.

მთავარი დასკვნა კი ის არის, რომ ზონის შექმნის კონკრეტული მიზნების რიცხვი უნდა იყოს შეზღუდული და მკაფიოდ განსაზღვრული. მიზნების სიმრავლე და გაურკვევლობა იწვევს შეღავათების დაუსაბუთებელ გავრცელებას პრაქტიკულად საქმიანობის ყველა სახეობაზე და





ზონის ნებისმიერი სუბიექტის ოპერაციებზე.

ზონის ადმინისტრაციულ-სამეურნეო მართვის მოდელის არჩევანი დამოკიდებულია ზონის ტიპზე და ტერიტორიის ზომებზე, ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის თავისებურებებზე, კერძო სექტორის განვითარებაზე და სხვა. თუმცა საერთო და პრინციპული მომენტია ის, რომ ზონას, როგორც ლოკალურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, უნდა გააჩნდეს სამეურნეო მართვის ლოკალური, შედარებით განცალკევებული სისტემა, ანუ არ უნდა ექვემდებარებოდეს დარგობრივი სამინისტროებისა და ცენტრალური უწყებების იურისდიქციას. ზონის სამეურნეო განცალკევებულობა აისახება მისი ბიუჯეტური ურთიერთობების ხასიათზე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მართვის ზემდგომ ორგანოებთან. ასეთი სპეციფიკა საფუძველს ქმნის კონფლიქტებისთვის. კონფლიქტები შეიძლება წარმოიქმნას როგორც უწყებათაშორის დონეზე, ისე ზონასა და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტანციას შორის.

თავისუფალი ზონების ფუნქციონირების პრაქტიკასა და მათ შორის კონკურენციას მივყავართ იმ პირობების უნიფიკაციამდე, რომელთა მეშვეობითაც ხდება ზონაში ინვესტორების მოზიდვა: ზონების ყოველ ტიპს შეესაბამება შეღავათებისა და სტიმულების საკუთარი სტანდარტული ნაკრები, რომლებსაც ემატება წახალისების სპეციალური ფორმები. ეს უკანასკნელი მიმართულია ან კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტაზე (მაგალითად, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დაჩქარებული შექმნა), ან საქმიანობის ცალკეული სახეობების სტიმულირებაზე (ადგილობრივი ნედლეულის გადამუშავება საექსპორტოდ, საბანკო მომსახურება და სხვა), ან ზონაში ინვესტორთა განსაზღვრული ტიპის მოზიდვაზე (მსხვილი, ან წვრილი ბიზნესი).

შეიძლება გამოიყოს შეღავათების ოთხი ძირითადი ჯგუფი:

1. საგარეო-სავაჭრო: ითვალისწინებს განსაკუთრებული საბაჟო-სატარიფო რეჟიმის შემოღებას (ექსპორტ-იმპორტის ბაჟების შემცირებას ან გაუქმებას) და საგარეო ვაჭრობის ოპერაციების განხორციელების გამარტივებულ წესს;

2. ფისკალური: შეიცავს ნორმებს, რომლებიც დაკავშირებულია საქმიანობის კონკრეტული სახეობების ან მეწარმეთა ყოფაქცევის საგადასახადო სტიმულირებასთან. ეს შეღავათები შეიძლება შეეხოს საგადასახადო ბაზას (მოგება ან შემოსავალი, ქონების ღირებულება და სხვა), მის ცალკეულ კომპონენტებს (ამორტიზაციის ანარიცხები, დანახარჯები ხელფასზე, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და ტრანსპორტზე), საგადასახადო განაკვეთების დონეს, დაბეგვრისგან მუდმივი ან დროებითი განთავისუფლების საკითხებს;

3. ფინანსური: მოიცავს სუბსიდიების სხვადასხვა ფორმას (დაბალი ფასები კომუნალურ მომსახურებაზე, საიჯარო გადასახდელების შემცირება მიწის ნაკვეთით და საწარმოო დანიშნულების ნაგებობებით სარგებლობისთვის);

4. ადმინისტრაციული: ასეთ შეღავათებს იძლევა ზონის ადმინისტრაცია საწარმოთა რეგისტრაციის და უცხოელ მოქალაქეთა შემოსვლა-გასვლის პროცედურათა გამარტივების მიზნით, აგრეთვე სხვადასხვა მომსახურებისთვის.

ხსენებული შეღავათები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა კომბინაციაში. მთლიანად, შეღავათების მთელი სისტემა უნდა ემსახურებოდეს მოცემული ტერიტორიის შედარებითი უპირატესობების რეალიზაციას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების გავრცელების დღევანდელი მასშტაბების გათვალისწინებით, საგადასახადო შეღავათები სულაც არ არის მთავარი სტიმული ზონაში უცხოური კაპიტალის მოსაზიდად. დღეს უფრო არსებითია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო გარანტიები, ინფრასტრუქტურის ხარისხი, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, შიდა ბაზარზე შედარებით იაფი კრედიტების მიღების შესაძლებლობა.

ის ფაქტი, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა და ოფშორული ბიზნესი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების და ტექნოლოგიების მოზიდვით, საექსპორტო პოტენციალის გაზრდით, საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესებით, დასაქმების ზრდით, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებით, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზაციით, გახდა საფუძველი იმისა, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, დაიწყო თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის ბუმი, განსაკუთრებით რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ბელორუსიასა და

საგადასახადო შეღავათები სულაც არ არის მთავარი სტიმული ზონაში უცხოური კაპიტალის მოსაზიდად. დღეს უფრო არსებითია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: პოლიტიკური სტაბილურობა, საინვესტიციო გარანტიები, ინფრასტრუქტურის ხარისხი, სამუშაო ძალის კვალიფიკაცია, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება, შიდა ბაზარზე შედარებით იაფი კრედიტების მიღების შესაძლებლობა.

ლიტვაში. ამ ქვეყნებში მიღებული იქნა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებიც. მაგალითად, რუსეთში, გარდამავალ პერიოდში მისი ეკონომიკური მოდერნიზაციის ამოცანების გათვალისწინებით, შემუშავდა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების კონცეფცია, როგორც რუსეთის ცალკეული ტერიტორიების განვითარების პერსპექტიული მოდელი.

საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისათვის პირველი პრაქტიკული ნაბიჯები ჯერ კიდევ 1989-90 წლებში გადაიდგა, როდესაც ქ. ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოამზადა საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისა და ფუნქციონირების კონცეფცია, რომელიც ემყარებოდა იმ დროს გაბატონებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და იდეოლოგიურ საფუძვლებს. ამ კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაცია იმ დროს ვერ განხორციელდა.

განსაკუთრებით ინტენსიური მუშაობა გაჩაღდა თავისუფალ ეკონომიკურ ზონებთან დაკავშირებით საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პირველ წლებში. 1993 წელს სპეციალური სამთავრობო კომისიაც კი შეიქმნა. თავისუფალი ზონების საპროექტო სამუშაოებში მთავრობას დახმარებას უწევდა ბრიტანული ფირმა „კუპერს ენდ ლაიბრენდი" და ამერიკული კომპანია „Gateway Ventures LTD" (ქ. ვაშინგტონი). საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო გამოსვლაში „დამოუკიდებელი, განუყოფელი, დემოკრატიული საქართველოსთვის" აღინიშნა, რომ „უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და ვაჭრობის სტიმულირების ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა თავისუფალი ეკონომიკური და სავაჭრო ზონების შექმნა. ასეთი სანიმუშო დებულება უკვე დამუშავებულია ბათუმისთვის, ფოთისთვის, თბილისის აეროპორტისთვის და, ალბათ, მომავალ პარლამენტს დასჭირდება ამის შესახებ სპეციალური კანონის მიღება".[3]

ექსპერტთა აზრით, საქართველოში შეიძლება შეიქმნას შემდეგი ტიპის თავისუფალი ზონები:

საწარმოო ზონები. ამისათვის ხელსაყრელი პირობებია თბილისის ზოგიერთ რაიონში, რუსთავში, ქუთაისში, ფოთსა და ბათუმში.

სამეცნიერო-ტექნიკური პარკები (თბილისის საბურთალოს რაიონში და ქუთაისში).

საგარეო ვაჭრობის ზონები (საზღვრისპირა ქალაქებში).

ტურისტულ-რეკრეაციული ზონები. ასეთი ზონების შექმნა შესაძლებელია გუდაურში, ბორჯომში, ბახმაროში, აჭარაში, აფხაზეთში.

უნივერსალური (მრავალპროფილიანი) ზონები. ამისათვის ხელსაყრელი პირობებია ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, ბათუმში, თბილისის ცალკეულ რაიონებში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების საკითხი საქართველოში, ისე როგორც სხვა გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში, მკაცრად პოლიტიზირებულია.

წინა პარლამენტში უკვე იყო „თავისუფალი ზონის შესახებ" კანონპროექტის დაკანონების მცდელობა. მოსალოდნელია, ახალ პარლამენტში ბლოკი „საქართველოს აღორძინება" კვლავ გამოვიდეს თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაკანონების მოთხოვნით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ამგვარი კანონის მიღების საწინააღმდეგო არგუმენტები, რომლებზეც ქვემოთ შევჩერდებით.

**ინსტიტუციონალური მშენებლობის დაუსრულებლობის, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოუგვარებლობის, სუსტი ფინანსური მდგომარეობის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონები შეიძლება იქცეს ცენტრალური ხელისუფლებისაგან სრულიად უკონტროლო ტერიტორიებად.**

ინსტიტუციონალური მშენებლობის დაუსრულებლობის, ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოუგვარებლობის, სუსტი ფინანსური მდგომარეობის პირობებში თავისუფალი ეკონომიკური ზონები შეიძლება იქცეს ცენტრალური ხელისუფლებისაგან სრულიად უკონტროლო ტერიტორიებად. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში მკვეთრად უარესდება კრიმინოგენური მდგომარეობა, რადგან ზონის ტერიტორია ხდება კრიმინალური ელემენტების მიგრაციის ძირითადი ბაზა. საზღვრების სრულყოფილად დაცვის შეუძლებლობა ხელს შეუწყობს ნარკობიზნესის განვითარებას. ამას შეიძლება დაემატოს იარაღის ტრანზიტი. იარაღით ვაჭრობა გახდება ის ფაქტორი, რომლის გარეშემო მოხდება პოლარულ პოზიციებზე მყოფი მეზობელი სახელმწიფოების ინტერესების თანხვედრა, რასაც ამ ქვეყნებში შეიარაღების ზრდა და შემდგომში სხვადასხვა კონფლიქტების პროვოცირება შეიძლება მოჰყვეს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მოთხოვნილება მაინცდამაინც საქართველოს საზღვრისპირა რეგიონებს უჩნდებათ. არადა, ამ რეგიონებში, სადაც ცენტრალური ხელისუფლების დეფიციტია და არ არსებობს თავისუფალი ეკონომიკური

*3 ედუარდ შევარდნაძე: დამოუკიდებელი, განუყოფელი, დემოკრატიული საქართველოსათვის. საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო გამოსვლა. თბილისი, 1995, გვ.37*





Friedrich-Ebert-Stiftung Bonn



ზონების კონტროლის გარანტიები, ასეთი ზონების ამოქმედებას შესაძლოა ცენტრიდანული ტენდენციების გამოვლინება მოჰყვეს. არ არის გამორიცხული, რომ ამ შემთხვევაში ქვეყანა დეზინტეგრაციის რეალური საფრთხის წინაშე დადგეს. გასათვალისწინებელია აგრეთვე რუსეთის დადებითი და თურქეთის უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში, თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნასთან დაკავშირებით.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისათვის თავისუფალი ზონების შექმნის აუცილებლობამ ეკონომიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა ღია საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება ქვეყნის ეკონომიკური რეფორმის პრიორიტეტია და საექსპორტო პოტენციალის ზრდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გზით ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა, აზრი დაკარგა. ზონების შექმნა გრძელვადიან და დიდი მოცულობის საწყის კაპიტალდაბანდებებს თხოულობს, მაშინ როცა საქართველოში არსებული გამოუყენებელი საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედებას ბევრად უფრო მცირე დაბანდებები სჭირდება, რომლებიც გაცილებით მალე იძლევა ეფექტს. ეკონომიკური თვალსაზრისით, ინვესტიციების მეშვეობით აღნიშნული პოტენციალის გამოყენება უფრო მიზანშეწონილია.

**მთავარი საფრთხე, რასაც თავისუფალი ეკონომიკური და ოფშორული ზონები შეიცავს, მდგომარეობს ქვეყნიდან კაპიტალის უკონტროლო გატანაში.**

გარდა ამისა, თავისუფალი ზონების შექმნით დასახული მიზნების მიღწევა დღევანდელ პირობებში, როცა უკვე მიღებულია და მოქმედებს საკმაოდ ლიბერალური კანონმდებლობა, რომელიც ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის დაინტერესებას საქართველოში ინვესტირებისათვის, სასურველია, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელდეს.

საექსპორტო სტატისტიკის ანალიზი მოწმობს, რომ თავისუფალი ზონებიდან ქვეყნის სავალუტო შემოსავლები არც ისე დიდია. ამის მიზეზია ადგილობრივი წარმოების კომპონენტების მცირე ხვედრითი წილი ზონების საექსპორტო პროდუქციაში და შუალედური იმპორტის დიდი მასშტაბები. ეს შემოსავლები კიდევ უფრო მცირდება უცხოელთა მიერ თავისი შემოსავლების რეპატრიაციის შედეგად. საერთო ჯამში, ზონებში არსებულ კომპანიებში დამატებული ღირებულების ხვედრითი წილი საკმაოდ მცირეა (პროდუქციის ღირებულების დაახლოებით 25%).

სუსტია ისეთი ფაქტორის მნიშვნელობა, როგორიცაა ახალი ტექნოლოგიებისა და წარმოების მაღალი კულტურის გავრცელება ეროვნული კადრების, სპეციალისტების სწავლების გზით. უცხოური კომპანიები დაინტერესებული არიან იაფ, დისციპლინირებულ მუშახელში. ეროვნული კადრების უმრავლესობა ამ კომპანიებში მარტივ ოპერაციებზე არის დასაქმებული. აქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება არ წარმოადგენს რამდენადმე მნიშვნელოვან ფასეულობას კონკრეტული ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებს გარეთ. ამიტომ ეს მუშახელი ვერ გახდება ტექნოლოგიური ცოდნის გავრცელების არხი.

ხშირად მიაჩნიათ, რომ თავისუფალი ზონების მეშვეობით ხდება ქვეყნის ეკონომიკის ტექნოლოგიური დონის მკვეთრი ამაღლება. ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, რომ უცხოელი ინვესტორები, როგორც წესი, არ ენდობიან განვითარებადი ქვეყნების სალიცენზიო დაცვის სისტემას, ამიტომ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ სიახლეებს უმეტესწილად ავრცელებენ შიდაკორპორაციული არხებით, მათი კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიების მეშვეობით. შედეგად მათი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში არ ხდება.

მთავარი საფრთხე, რასაც თავისუფალი ეკონომიკური და ოფშორული ზონები შეიცავს, მდგომარეობს ქვეყნიდან კაპიტალის უკონტროლო გატანაში. გაეროს ექსპერტების მტკიცებით, ამ არხებით ხდება უზარმაზარი საფინანსო რესურსების გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში. მაგალითად, რუსეთის ოფშორული ზონებიდან ფულის გადინების ზრდა 7-ჯერ აღემატება ქვეყანაში არსებულ საშუალო დონეს. რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის მოადგილის ვიქტორ მელნიკოვის ინფორმაციით, ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული ყველა უცხოური ბანკის ანგარიშების დებეტის ბრუნვაში რუსეთიდან გადარიცხული თანხების მოცულობამ 1998 წელს 70 - 80 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.[4]

### საქართველოს ოფშორული ტერიტორიები

მიუხედავად თავისუფალი ეკონომიკური ზონების დაუკანონებლობისა, დღეისათვის საქართველოში არსებობს სივრცეები და ტერიტორიები, სადაც ფაქტიურად უკვე ჩამოყალიბებულია ოფშორული ზონებისათვის დამახასიათებელი პრინციპები. ასეთად მოიაზრება აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და აჭარის ტერიტორიები. მართალია, ამ ტერიტორიების ხელალებით ოფშორულ ზონებად გამოცხადება არ შეიძლება, მაგრამ თუ გავიხსენებთ თავისუფალი ზონის ცნებას, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამ ტერიტორიებზე, ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად და მისდამი დაუმორჩილებლობით, ადგილი აქვს მსგავს ეკონომიკურ აქტიურობას.

^4 Комерсант, 1999, N 200, 30 октября





**[illegible]**

საქართველოს ამ ტერიტორიული და ეკონომიკური სეგმენტების მახასიათებლების ძირითად მსგავსებას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ შენიღბული, ან აშკარა დაუმორჩილებლობა წარმოადგენს, ხოლო, რაც შეეხება მათ შორის განსხვავებას, ეს არის ცენტრისადმი დაუმორჩილებლობის ხარისხი. კერძოდ, მაშინ, როცა აჭარის ადგილობრივი ხელისუფლება რეალურად აღიარებს ერთიანი სახელმწიფოს ურღვევობის პრინციპს და მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ამა თუ იმ ეკონომიკური ან პოლიტიკური დირექტივების მიღებას ეწინააღმდეგება, ამ დროს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის სეპარატისტი ხელისუფალნი საერთოდ არ აღიარებენ საქართველოს კონსტიტუციას და არ ექვემდებარებიან ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციას. მათ დაუმორჩილებლობას ზურგს უმაგრებს ამ რეგიონებში მომხდარ სამხედრო კონფლიქტებში, გარეშე ძალების დახმარებით მიღწეული წარმატებები. შესაბამისად, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური დამოკიდებულება საქართველოს დანარჩენი რეგიონების მიმართ განსხვავებულ ხასიათს ატარებს.

ამ მხრივ ყველაზე ნაკლებ კანონიერ და, ხშირ შემთხვევაში კრიმინალურ, ეკონომიკურ აქტივობას აქვს ადგილი აფხაზეთის რეგიონში. ოფიციალური წყაროს ცნობით, უკანასკნელ პერიოდში გააქტიურდა უკანონო ეკონომიკური საქმიანობა აფხაზეთსა და საქართველოს დანარჩენ რეგიონებს შორის გამყოფ ზოლზე, მდინარე ენგურის მთელ გაყოლებაზე შავი ზღვიდან დაბა ჯვრამდე. ცენტრალური ხიდიდან თუ ნებისმიერი „თვალს მოფარებული" გადასასვლელიდან გადადის და გადმოდის სხვადასხვა სახის ტვირთი. აფხაზეთიდან ზუგდიდში უხვად მოედინება ფერადი ლითონების ჯართი და უაქციზო სიგარეტი, რომელიც სოხუმში უცხო ქვეყნების გემებით შედის, ხოლო აქედან კი ზუგდიდის გავლით მთელი საქართველოს მასშტაბით ვრცელდება. საქართველოს სხვა რეგიონებიდან აფხაზეთში შედის კვების პროდუქტები და დიდი რაოდენობით ნაღდი ფული. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიიდან ყოველთვიურად დაახლოებით 4 მილიონ 500 ათასი კოლოფი კონტრაბანდული სიგარეტი შემოდის, ანუ 9 ათასი ყუთი, რაც წელიწადში 108 ათასი ყუთი გამოდის. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე 1 ყუთი სიგარეტის შესასყიდი ფასი დაახლოებით 150 აშშ დოლარია, მივიღებთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან აფხაზეთში კონტრაბანდული სიგარეტის სანაცვლოდ გადინებული თანხების ოდენობას - 16 მლნ 200 ათას დოლარს.

მდინარე ენგურის გაყოლებაზე მიმდინარე ვაჭრობა შემაშფოთებელია როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური, სამართლებრივი და მორალური პრინციპებიდან გამომდინარე, ვინაიდან აფხაზეთში შესული კაპიტალი ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლების გაძლიერებას ემსახურება და ამ რეგიონს უფრო აშორებს დანარჩენი საქართველოსგან. მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოება, რომ უკანასკნელ პერიოდში აფხაზეთიდან შემოსულ საქონელს შორის სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს ნარკოტიკები, რომელიც აფხაზეთში ძირითადად თურქეთიდან ხვდება. ცხადია, ხსენებული ეკონომიკური საქმიანობა „ჩრდილოვანი" ხასიათისაა. ეს ფაქტი უარყოფითად მოქმედებს ქართულ-აფხაზური მოლაპარაკების მსვლელობაზეც, ვინაიდან აფხაზური მხარე პირდაპირ ადანაშაულებს საქართველოს ხელისუფლებას ჩრდილოვანი ბიზნესის ხელშეწყობაში და აცხადებს, რომ, საერთაშორისო დეკლარაციების მიღმა, ქართული მხარე თავის მერკანტილურ ზრახვებს ახორციელებს.

კაპიტალის გადინების მხრივ კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა შექმნილი ცხინვალის რეგიონში. ეს რეგიონი ჯერ კიდევ რჩება იმ „ჩაუკეტავ ხვრელად", საიდანაც ათეულობით გზა მიემართება საქართველოს სიღრმისაკენ. ყოველდღიურად ჩრდილოეთ ოსეთიდან როკის გვირაბის გავლით კონტრაბანდული საწვავით და სხვა იაფფასიანი რუსული პროდუქციით დატვირთული ასობით სატვირთო ავტომანქანა შემოდის, რომლებიც თბილისის ან ქუთაისისკენ მიემართება. გარდა საქართველოს დიდი ქალაქების მიმართულებით მოძრავი ამ ავტოკოლონებისა, ქვეყნის ეკონომიკისათვის უდიდესი ზარალის მომტანია ქალაქ ცხინვალის შესასვლელთან განლაგებული ერგნეთის ბაზრობა, საიდანაც კონტრაბანდული პროდუქცია წვრილი მოვაჭრეების საშუალებით ქვეყნის მთელი მასშტაბით ვრცელდება. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტროს საგანგებო ლეგიონის მონაცემებით, ერგნეთის ბაზრობიდან თბილისის მიმართულებით ყოველდღიურად 150-მდე მსუბუქი

ავტომანქანა მოძრაობს, რომლებითაც დაახლოებით 1 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაბანდული ტვირთი, ძირითადად რუსული წარმოების თამბაქოს ნაწარმი, შემოაქვთ თბილისში. გამოდის, რომ წლის განმავლობაში ერგნეთის ოფშორიდან მარტო დედაქალაქში დაახლოებით 365 მილიონი ლარის კონტრაბანდული საქონელი ილექება. ამ შემთხვევაშიც, პროდუქციის სანაცვლოდ ცხინვალის რეგიონში შესული ნაღდი ფული საქართველოდან გადინებულ კაპიტალად უნდა იქნეს მიჩნეული.

რაც შეეხება აჭარას, ადგილობრივი ხელისუფლება უკვე რამდენიმე წელია ცენტრალური ხელისუფლების წინაშე აყენებს საკითხს აჭარაში თავისუფალი სავაჭრო ზონისა და საექსპორტო წარმოების ზონის შემოღების თაობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საპარლამენტო ფრაქცია „აღორძინების“ მიერ შემუშავებული კანონპროექტი „თავისუფალი ზონის შესახებ“ არ იქნა მოწონებული საქართველოს პარლამენტის მიერ. ამის არგუმენტები ჩვენ უკვე განვიხილეთ. არსებულ ვითარებაში, როგორც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, ასევე დასავლეთის მსხვილი კორპორაციები და უცხოელი ინვესტორები უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან მთლიანად საქართველოს სტაბილურობით და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ზღვისპირა და შიდა რეგიონების გაკონტროლებით, ვიდრე თავისუფალი ეკონომიკური ზონების მეშვეობით გარკვეული რეგიონალური „ოლიგარქების“ გაძლიერებით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსეთის ფედერაციის ფინანსური მაგნატები, რომლებმაც არეულობის წლებში დიდი რაოდენობით კაპიტალი გაიტანეს დსთ-ს სივრცის ცალკეული სახელმწიფოებიდან, მათ შორის საქართველოდან, ამ ფულის უკან დაბრუნების საუკეთესო საშუალებად თვით თანამეგობრობის შიგნით თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას მიიჩნევენ. ამგვარი ინიციატივით დიდი ხანია გამოდის საეჭვო გზებით გამდიდრებული, საქვეყნოდ ცნობილი რუსი „ოლიგარქი“ ბორის ბერეზოვსკი. საქართველოში ყოფნისას ბ. ბერეზოვსკი, იმხანად დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი, პირდაპირ აცხადებდა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება იქ თავისუფალი ეკონომიკური ზონის შემოღებით მოხერხდებაო.

ცხადია, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შემოღება საქართველოში დღევანდელ ეტაპზე, მთელი რიგი ზემოთ დასახელებული ფაქტორის გათვალისწინებით, დადებით მოვლენად არ უნდა ჩაითვალოს. თუმცა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთთან დაკავშირებით საკითხი არც დგას ამ მიმართებით, რამეთუ ამ რეგიონების სეპარატისტი ლიდერები არსებულ გაურკვეველ ვითარებაში მშვენივრად გრძნობენ თავს, ფაქტიურად აწარმოებენ რა ოფშორულ საქმიანობას საქართველოს სხვა რეგიონების მიმართ და ითვისებენ იქიდან გადინებული კაპიტალის დიდ ნაწილს, რომელიც შემდგომ ისევ სეპარატისტული რეჟიმების განმტკიცებას ხმარდება.

მსოფლიოში მიმდინარე ანტიოფშორული კამპანიის ფონზე დისონანსად გაისმის ქართველი ბანკირების მოთხოვნა საბანკო ოფშორის შემოღებასთან დაკავშირებით. ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 233-ე მუხლს, რომლის თანახმად ბანკები და საბანკო ოპერაციების ცალკეულ სახეობათა შემსრულებელი სხვა ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გაუხსნან საანგარიშსწორებო ანგარიშები იმ დოკუმენტის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს საგადასახადო ორგანოების მიერ გადამხდელისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭებას, აცნობონ საგადასახადო ორგანოს გადამხდელისათვის აღნიშნული ანგარიშების გახსნის შესახებ და არ აწარმოონ ოპერაციები ამ ანგარიშის მიხედვით საბანკო დოკუმენტებში გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომრის მითითების გარეშე. ფულის მოზიდვის წინაპირობად ქართველი ბანკირები ანაბრების სრულ კონფიდენციალობას ასახელებენ. ქართველი ბანკირები თვლიან, რომ სახელმწიფომ არ უნდა არკვიოს ბანკში მოხვედრილი ფულის წარმომავლობა, რადგან სახელმწიფოს ზედმეტ ცნობისმოყვარეობას და მაკონტროლებელთა გადაჭარბებულ უფლებებს მივყავართ იქამდე, რომ „შავი ფული“ ბანკებს მიღმა ტრიალებს, თან სულ უფრო დიდი მასშტაბით.

როცა „შავი ფულის“ არსებობა მწვავე რეალობაა, მაშინ უპრიანია იგი სახელმწიფოს საფინანსო დაწესებულებებში მოძრაობდეს, ვიდრე „ჩრდილში“, და ელოდოს შესაფერის მომენტს ქვეყნის დასატოვებლად. ამ თვალსაზრისით ქართველი ბანკირების არგუმენტები ალურიცხავი ფულის მასის ბანკებში მიზიდვის თაობაზე უდაოდ იმსახურებს ყურადღებას. საერთოდ, ბანკებში ფულის შესვლა დადებითი და აუცილებელი პროცესია ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებისათვის. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს საქართველოს ხელისუფლება, როცა საერთაშორისო საქმიანი საზოგადოების ზეწოლის შედეგად ისეთი საქვეყნოდ ცნობილი საბანკო ოფშორიც კი, როგორიც შვეიცარიაა, ტაბუს ხსნის საბანკო ანგარიშების კონფიდენციალობას (აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ქართული ბანკები, რომლებიც, ნორმალური ბიზნესის ნაცვლად, უპირატესად სპეკულაციური თამაშით არიან დაკავებულნი სავალუტო ბაზარზე, ანდა ფულადი საშუალებების „განაღდებას“ უზრუნველყოფენ, არ სარგებლობენ ნდობით არც კერძო მეანაბრეების (რომლებიც თავის დანაზოგებს ნაღდ დოლარებში ინახავენ) და არც ფირმების (ამჯობინებენ ურთიერთშორის ანგარიშსწორებას ოფშორული ანგარიშების





მეშვეობით) მხრიდან.

საბანკო სისტემისადმი საწარმოების და მოსახლეობის ნდობის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ მოხდება შიდა საფინანსო ბაზრის მაქსიმალური გახსნა მსხვილი არარეზიდენტი ბანკებისათვის. ამისათვის უარი უნდა ითქვას საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური კაპიტალის მონაწილეობაზე რაიმე კვოტის დაწესებაზე. მოკლევადიან პერსპექტივაში უცხოური კაპიტალის გაფართოების ძირითადი პოზიტიური ეფექტი გამოიხატება საფინანსო ინსტიტუტების ხარისხის ამაღლებაში, მათი მდგომარეობის გაძლიერებაში და, შესაბამისად, საქართველოს საბანკო სისტემაში უნაღდო ანგარიშსწორების სისტემური რისკების შემცირებაში. საშუალოვადიან პერსპექტივაში უცხოური ბანკების რეალური მონაწილეობა უზრუნველყოფს საფინანსო სექტორში კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბებას და საკრედიტო რესურსების უფრო მეტ მისაწვდომობას სამამულო მწარმოებლების მხრიდან.

ქართველი ბანკირების შიში და განგაში რომელიმე მსხვილი უცხოური ბანკის მხრიდან ქართული საბანკო სისტემის გაკოტრებასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, აშკარად გაზვიადებულია. საბანკო სფეროში სიტუაციის ნორმალიზაციისათვის მოკლევადიან პერსპექტივაში, წინასწარი ზედამხედველობის გამკაცრებასთან ერთად, სავსებით საკმარისი იქნება საკრედიტო კავშირების, ურთიერთკრედიტის საზოგადოებათა და სხვათა მხარდაჭერა. ასეთი საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც თავისი მეანაბრე-წევრების კონტროლს ექვემდებარებიან, ხელს შეუწყობენ ქართული საფინანსო ინსტიტუტებისადმი ნდობის აღდგენას.

იმ შემთხვევაში, თუ ქართველ ბანკირთა მისწრაფება, გახადონ საქართველოს საბანკო სფერო გაუმჭვირვალე (გადააქციონ ოფშორად), რეალიზებული იქნება, მაშინ ეს სფერო გახდება საქართველოს ეკონომიკის კიდევ ერთი ოფშორული სეგმენტი. მაგრამ მოვლენათა ამგვარი განვითარება ნაკლებად რეალურია საქართველოს დონორ-ქვეყნებზე და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებზე მეტისმეტი დამოკიდებულების გამო. ეს უკანასკნელნი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ანტიოფშორული კამპანიის ავანგარდში არიან და მათ ხელთ არსებული ზეწოლის ბერკეტებს გამოიყენებენ, რათა არ დაუშვან საქართველოს ეკონომიკაში ოფშორული სეგმენტების დაკანონება.

---

### გამოყენებული ლიტერატურა:


1. Смородинская Н. Капустин А. Свободные экономические зоны, мировой опыт и российские перспективы. - Вопросы экономики, 1994, №12;
2. Файерабенд Й. Тайники для миллионов. Пер. с нем. Общ. ред. и вступит. ст. А.Ю. Юданова. - М. Прогресс, 1989;
3. ედუარდ შევარდნაძე. დამოუკიდებელი, განუყოფელი, დემოკრატიული საქართველოსთვის. საქართველოს პრეზიდენტის საპროგრამო გამოსვლა, თბ., 1995;
4. საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ. პარლამენტის კვლევითი სამსახურის ბიულეტენი, სერია „ეკონომიკა“, 1994, №3;
5. მოხსენება საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მიზანშეწონილობის შესახებ. - საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 2001;
6. ნარიმან ტერაშვილი. კაპიტალის გაქცევა. - ჟ. „მაკრო მიკრო ეკონომიკა“, 1999, №2.

# საინფორმაციო გვერდი

➢ საყურადღებოა, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის სტაბილური პარტნიორი ორგანიზაცია NOVIB-ისა და ბრიტანეთის საერთაშორსო განვითარების დეპარტემენტის მიერ დაფინასდა სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიკროპროექტი:

*„საქართველოში სათემო მოძრაობის გაძლიერება“*

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს სათემო ორგანიზაციების ლიდერების უნარჩვევების ამაღლებასა და მოსახლეობასთან მუშაობის თანამონაწილეობრივი ტექნიკების პრაქტიკაში დანერგვას, ასევე შესატყვის თემატიკაზე ქართულენოვანი პუბლიკაციის მომზადებასა და გავრცელებას. პროექტი იწყება 2001 წლის მაისს და გაგრძელდება ცხრა თვე.

პროექტი - „საქართველოში სათემო მოძრაობის გაძლიერება“ ითვალისწინებს ხუთი შერჩეული სათემო ორაგიზაციისა და ცენტრის რაიონული პარტნიორი ორგანიზაციებისათვის ტრენინგების ციკლის ჩატარებას და შემდეგ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად განხორციელებას, რაც კონკრეტული პროექტების შედგენაში აისახება. წარმოდგენილი პროექტებიდან კონკურსის საფუძველზე შეირჩევა ერთი, რომელსაც გაეწევა ფინანსური და სხვა სახის ტექნიკური დახმარება, ხოლო პროექტის მიმდინარეობის მონიტორინგსა და შეფასებას განახორციელებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი.

➢ გატყობინებთ, რომ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი კვლავ აგრძელებს სემინარულ მუშაობას, კერძოდ ფრიდრიხ ებერტის ფონდის დაფინანსებით „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკის“ სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელობით 2 აპრილს ჩაატარდა სემინარი თემებზე:

- *თბილისის ბიუჯეტი*
- *საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტები*

ცენტრის პოზიცია და რეკომენდაციები აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით შეჯერდა სემინარზე, ხოლო გამოთქმული წინადადებების საფუძველზე შემუშავებული მიმართვა დაეგზავნათ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. კერძოდ, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის, ურბანიზაციისა და მშენებლობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, სათბობ-ენერგეტიკის, იუსტიციისა და საგადასახადო შემოსავლების სამინისტროების, ეროვნული ბანკის, ქ. თბილისის მერიის, საკრებულოს, ფრაქციებისა და კომისიების წარმომადგენლებს.





# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაცია — საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. მისი წევრები ცდილობენ შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზების შემუშავებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრთან შექმნილია ექსპერტთა ქსელი. ექსპერტთა და ცენტრის თანამშრომელთა ერთობლივი ძალისხმევით განისაზღვრება პრობლემა, რომლის ანალიზის შედეგად მზადდება შესაბამისი მოხსენება ან დოკუმენტი. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და ინფორმირების მიზნით დამუშავებული ინფორმაცია რეგულარულად გამოიცემა ბიულეტენების, ბროშურების, საინფორმაციო ფურცლებისა და ლიფლეტების სახით, რომელთა უმეტესი ნაწილი უფასოდ მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებებს, პოლიტიკურ და არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სტრუქტურებს, მასმედიისა და მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს. ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მიზნით თემატურ საჯარო განხილვებსა და სემინარებზე ვიწვევთ ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ამგვარად, ცენტრი აქტიურად ცდილობს, გარკვეული გავლენა იქონიოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

საგულისხმოა, რომ ცენტრის ძირითადი საქმიანობა მიმართულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობისაკენ, რაც სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერაში გამოიხატება. ამ მხრივ, ჩვენი საქმიანობა ვრცელდება ქ. თბილისსა, ოზურგეთისა და ლაგოდეხის რაიონებში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი ცდილობს სათემო ორგანიზაციების პოპულარიზაციას და აღნიშნული მოძრაობის განვითარების ხელშეწყობას.

## *ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:*

- ➢ *საზოგადოება და დემოკრატია*
- ➢ *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- ➢ *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- ➢ *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

## *განხორციელებული და მიმდინარე პროექტები*

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ☞ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
- ☞ თვითმმართველობა საზოგადოების სამსახურში;
- ☞ შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის საერთაშორისო კონფერენციის მომზადება, ქსელის საქმიანობის პოპულარიზაცია;
- ☞ ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

## ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“.

# ცენტრის მხარდამჭერები

* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწერილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

* ცალეული ღონისძიებეის სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

## საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**

**მხარდამჭეროზით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.**

**ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.**

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ა, ბინა 22.
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net



## ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, ______________________

სამუშაო ადგილი ______________________

თანამდებობა ______________________

მისამართი ______________________

ტელეფონი ______________ ფაქსი ______________

## კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება ____________________

მისამართი ____________________

ტელეფონი ____________________ ფაქსი __________

საკონტაქტო პირი ____________________

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

დაიბეჭდა შ.პ.ს. „კომპიუტერში"
ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა №3